დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
# ასავალ დასავალი
2025 წლის 3 – 9 მარტი
N10 1581
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

რუსეთი რამდენადაც მართალია უკრაინასთან, იმდენად მტყუანია საქართველოსთან! 7





## უკრაინის ვადაგასულ პრეზიდენტს ოვალურ კაბინეტში მონიკა ლევინსკი უქნეს! 2-3



4-5

# Cyka Blyat, მშვიდობით!



**რემინისცენციები მონიკა ლევინსკის თემაზე,**

რომელიც 1996 წელს თეთრ სახლში სტაჟიორად მუშაობდა და პრეზიდენტ ბილ კლინტონთან ოვალურ კაბინეტში ორალური სექსით იყო დაკავებული





# ხაზარაძის გეგელნერატი 11

**ჯეფრი სილვერმანი:**



ზელენსკიმ ვერ გააცნობიერა, რომ ოვალურ კაბინეტში მძინარე ჯო აღარ ზის და იქ ჩეკებს აღარ გამოუწერენ! 2

„ზელენსკი უკრაინელი ხალხის რისხვას ვერ გადაურჩება!“

**მიხეილ ცაგარელი:**



პოლიტიკური ქარიშხალი 8-9 ანი დაიწყება!

„ივანიშვილის გათვლები იყო არნახულად ზუსტი!“

მიშა მშვილდაძე, როგორც კისა ვორობია-ნინოვი 10



**მათხოვრები**

„ჟე ნე მანჟ პა სის ჟურ!“

# სტალინი ფარულმა დასმა მოკლა! 15



„მე და მამიდაჩემი ალექსანდრა ჯაფარიძე სვანეთიდან თბილისში სატვირთო თვითმფრინავით ჩამოვფრინდით და თბილისში გურამ თიკანაძის დაღუპვის ამბავი ჩამოვიტანეთ!“ 12-13



**ლეგენდარული ალპინისტების მემკვიდრე მოგვითხრობს**

ქართულ-ენოვანი ვიკიპედი-ისათვის საქართველოს პრეზიდენტი კვლავაც სალომე ზურაბიშვილია! 14








# ჯეფრი სილვერმანი:

# ზელენსკიმ ვერ გააცნობიერა, რომ ოვალურ კაბინეტში მძინარე ჯო აღარ ზის და იქ ჩეკებს აღარ გამოუწერენ!

***ამერიკელი ჟურნალისტი, ჟურნალ „ვეტერანს თუდეის“ საქართველოს ბიუროს უფროსი ჯეფრი სილვერმანი აფასებს გასულ კვირას ვოლოდიმირ ზელენსკის შეხვედრას ამერიკის პრეზიდენტთან დონალდ ტრამპთან თეთრ სახლში:***

— თეთრ სახლში ტრამპისა და ზელენსკის შეხვედრა რომ სკანდალით დამთავრდა, არ გამკვირვებია, რადგან **ტრამპი,** სანამ პრეზიდენტი გახდებოდა, **ზელენსკიზე** სრულიად სამართლიანად ამბობდა — **ისტორიაში ყველაზე დიდი ვაჭარია, ამერიკაში ჩამოდის და მილიარდებით ბრუნდებაო.**

**ზელენსკი** მიეჩვია იოლ ფულს და გმირის წოდებას, დაიჯერა, რომ მსოფლიო ლიდერია, ამიტომაც გაბედა თეთრ სახლში აურზაურის მოწყობა. მან უპატივცემულობა გამოიჩინა არამარტო ამერიკის პრეზიდენტის, არამედ ვიცე-პრეზიდენტ **ჯეი დი ვენსის** მიმართ. **ზელენსკიმ** ვერ გააცნობიერა, რომ ოვალურ კაბინეტში **მძინარე ჯო** აღარ ზის და იქ ჩეკებს აღარავინ გამოუწერს. ამ შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა **ტრამპის** სიტყვები, რომ **ზელენსკი** მილიონობით უკრაინელის სიცოცხლით თამაშობს და სულაც არ სურს ცეცხლის შეწყვეტა. მსოფლიომ საკუთარი თვალით ნახა და საკუთარი ყურით მოისმინა, რომ **უკრაინის ვადაგასული პრეზიდენტი** ტირანია, გრძნობს თამაშის დასასრულს და თავგვივით არის მიმწყვდეული. **ზელენსკი** ყველანაირად შეეცადა **ტრამპის** დამცირებას თავისსავე კაბინეტში, მაგრამ არ გამოუვიდა. ახლა ცდილობს, მსოფლიო როგორმე მესამე მსოფლიო ომში ჩართოს!

**— ზელენსკი ტრამპთან შეხვედრაზე მომზადებული მივიდა?**

— ზელენსკიმდე ტრამპთან ჩასული იყვნენ **ემანუილ მაკრონი** და ინგლისის პრემიერ-მინისტრი **კირ სტარმერი.** ტრამპმა მაკრონი მაგიდის კუთხეში დასვა, იმ უბედურმა კი მხოლოდ ის მოახერხა, რომ მაგიდის კიდეს იდაყვით ჩამოყრდნობოდა, ხოლო **სტარმერი** როგორი გაღიმებულიც ჩავიდა, ისევე გამობრუნდა. მათ **ტრამპისგან** ის სიტყვა ვერ მოისმინეს, რაც სურდათ — ომის უპირობო გაგრძელება უკრაინაში და კბილებამდე შეიარაღება. ახლა კი ეს **კლოუნი ზელენსკი** ჩავიდა ამერიკაში, უკრაინის წიაღისეულის ამერიკისთვის მიწოდებაზე ხელი უნდა მოეწერა, მაგრამ თეთრ სახლში ქუჩის ბიჭივით გამოცხადებულმა, ასევე ქუჩის ბიჭივით ილაპარაკა. არავითარი ხელშეკრულება არ დადებულა და **ზელენსკიმ** ახლა ხმამაღლა უნდა თქვას, რა **100-წლიანი შეთანხმება დადო დიდ ბრიტანეთთან, გადასცა თუ არა მათ უკრაინის წიაღისეულზე უფლებები და რა ცირკის მოწყობა დაავალა მას ფარულმა მთავრობამ?!**

ტრამპთან შეხვედრაზე ზელენსკი ან ნასვამი მივიდა, ან კიდევ უფრო მძიმე ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ იყო. არავის აქვს უფლება, უპატივცემულო ტონით ელაპარაკოს სხვა ადამიანს, განსაკუთრებით კი, უძლიერესი ქვეყნის პრეზიდენტს **დონალდ ტრამპს,** რომელიც უკრაინის გადარჩენის ერთადერთი იმედი და გარანტია.

რაც მოხდა, ეს იყო გარდამტეხი მომენტი არამარტო ამერიკა-უკრაინის ურთიერთობაში, არამედ ამერიკასა და ევროპას შორის. ახლა საფრანგეთი და გერმანია სასოწარკვეთილად ცდილობენ საკუთარი როლის შენარჩუნებას. არ დაგავიწყდეთ, **მაკრონი** როტშილდებთან ბანკში მსახურობდა, ხოლო გერმანიის კანცლერობის ახლანდელი კანდიდატი **ფრიდრიხ მერცი** „ბლექროკში“ მუშაობდა. როტშილდები, მოგეხსენებათ, ვინც არიან, ხოლო ბლექროკი ის ფინანსური მონსტრია, რომელიც დაპატრონებულია უკრაინის მიწებს და პრეტენზიას გამოთქვამს — **ეს მიწები უკვე ჩვენია და უკრაინელ ჯარისკაცებს აქ ნუ ასაფლავებთო.**

**— ამ სკანდალს გაგრძელება თუ უწერია?**

— ეს სკანდალი უბრალოდ არ ჩაივლის, ევროპის რეაქციული წრეები ისევ შეეცდებიან, ის ნაპერწკალი, რომლის დანთებაც **ზელენსკის** დაავალეს, კიდევ უფრო ააგიზგიზონ. თუმცა, **ზელენსკის,** რაც უნდა გუნდრუკი უკმიონ, მაინც მგონია, რომ ნელ-ნელა მისგან დაიწყებენ დისტანცირებას. ევროპა ამერიკას ღიად ვერ დაუპირისპირდება, ვერც მის ფულსა და იარაღზე იტყვის უარს. ამასთან, ვერც ის ფაქტი მიეცემა დავიწყებას, რომ ამერიკამ გადამწყვეტი როლი ითამაშა 2014 წელს უკრაინაში მოწყობილ გადატრიალებაში და, მხარს უჭერდა ნეო-ნაცისტურ ელემენტებს. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იმხანად სწორედ ამერიკამ ნატოს სხვა წევრებთან ერთად, დააფინანსა და აღჭურვა უკრაინა საომრად, ხოლო **ზელენსკიმ** თანხმობა განაცხადა, ბოლო უკრაინელამდე ეომა. **ახლა ამერიკა თავის ფულს ითხოვს, ხოლო ზელენსკის სხვა პატრონების წინაშე აქვს ვალდებულებები.** ოვალურ კაბინეტში ამიტომაც იყურებოდა ნაცემი ძაღლივით.

ამერიკის მხრიდან ამ შეხვედრის მიზანი იყო მსოფლიოსთვის ეჩვენებინათ, რომ **ტრამპმა** ზუსტად იცის, ვინ არის **ზელენსკი** და რა თამაშში მონაწილეობს. **ოვალურ კაბინეტში ზელენსკის მიუთითეს, რომ დღეს სწორედ ტრამპი არის მსოფლიო ლიდერი და სწორედ ის განსაზღვრავს უკრაინის კონფლიქტის მომავალს.**

მართალია, ზელენსკი ისევ აგრძელებს მსხვერპლის როლში ყოფნას, მაგრამ მისი სცენარი მოძველებული და გაცვეთილია. ევროპის ქვეყნებმა რამდენადაც არ უნდა გაზარდონ **ზელენსკის** ფინანსური დახმარება, ამერიკის გარეშე მათი ფასი ნულის ტოლია. **მიაქციეთ ყურადღება — ზელენსკი ტრამპს დაემუქრა კიდეც, ომის ქარცეცხლიდან ოკეანე კი გაშორებთ, მაგრამ შეიძლება, მალე ომის სურნელი თქვენც იგრძნოთო...**

**— ამერიკიდან ზელენსკი ლონდონში ჩავიდა...**

— ბრიტანეთმა უკრაინას რამდენიმე მილიარდი ფუნტი სტერლინგი გამოუყო, მაგრამ საბოლოოდ ვის ჯიბეში აღმოჩნდება ეს თანხა, არავინ უწყის. **ლონდონში ზელენსკისა და ევროპელი ლიდერების შეხვედრები, შესაძლოა, ახალი ბლოკის შექმნასაც ემსახურებოდეს და თუკი ევროპული ქვეყნები ამ გზას დაადგებიან, ისინი მესამე მსოფლიო ომის რისკის ქვეშ აღმოჩნდებიან.**

ევროკომისიის პრეზიდენტის **ურსულა ფონ დერ ლაიენის** განცხადებით, უკრაინის დასახმარებლად ევროკავშირს 700 მილიარდი ევროს გამოყოფა სურს და, რა თქმა უნდა, ევროკავშირს ამის გაკეთება შეუძლია კიდეც, მაგრამ ეს ყველაფერი მას მთლიანად გაანადგურებს. დიდი ალბათობით, სწორედ ეს გადაწყვეტილება გამოიწვევს მესამე მსოფლიო ომს. სხვა მხრივ კი ნათელია, რომ უკრაინამ და მისმა დასავლელმა მხარდამჭერებმა ეს ომი უკვე წააგეს!

**— მიაღწევს თუ არა ტრამპი მშვიდობას?**

— ჯერჯერობით, ეს საკითხი ღიად რჩება. რუსეთი დროებით თავს იკავებს, თუმცა, მოლაპარაკების გზებს ეძებს, რათა უზრუნველყოს უკრაინის ნეიტრალიტეტი, აღმოფხვრას ნატოს მიერ მისი მილიტარიზაციის შესაძლებლობა და დაიცვას რუსულენოვანი უკრაინელების უფლებები. **უკრაინა საბოლოოდ უნდა გადაიქცეს ბუფერულ ზონად, ნეიტრალურ ტერიტორიად რუსეთსა და მის პოტენციურ მტრებს შორის.** ზელენსკი ცდილობდა, ამერიკელები შეეშინებინა, თითქოს მათ რუსეთის მხრიდან საფრთხე ელოდებათ და მხოლოდ გეოგრაფიული მანძილი იცავთ მათ. თუმცა, თანამედროვე იარაღის პირობებში, მანძილებს დიდი მნიშვნელობა არა აქვს. თუკი ევროპული ქვეყნები ომის გზას აირჩევენ, ისინი მსოფლიო ომის საფრთხეს შექმნიან. ევროპელები მიჩვეულნი არიან თავიანთ კოლონიურ შეხედულებებს და მათთვის რთულია ამ პერსპექტივიდან გამოსვლა. ისინი მიჩვეულნი არიან ყველაფრის მოგვარებას ძალისმიერი მეთოდებით, ხოლო მშვიდობიანი დიალოგი და კომპრომისის გზათ მათთვის უცხოა.

**— როგორ წარმოგიდგენიათ ზელენსკის პოლიტიკური მომავალი, მითუმეტეს, რომ მოღალატე სალომე ზურაბიშვილის მსგავსად, მისი საპრეზიდენტო ვადაც გასულია...**

— **ზელენსკისა და მის ცოლს** ნიკოლაე და ელენა ჩაუშესკუების, ბენიტო მუსოლინისა და კლარა პეტაჩის მომავალი აქვთ. შესაძლოა, მან გაქცევაც მოახერხოს და სისხლისღვრით ნაშოვნი ფულით ნაყიდ იახტაზე ან ერთ-ერთ ვილაში დაიმალოს კიდეც, მაგრამ უკრაინელი ხალხის რისხვას ვერ გადაურჩება!

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიტაშვილი***



## კვირგვინოსნები

***ირაკლი კობახიძე***
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



კიდევ ერთხელ გაივლო მკაფიო ზღვარი **ომის პარტიასა და მშვიდობის პარტიას** შორის. **პრეზიდენტი ტრამპი** და მისი სამშვიდობო ძალისხმევა ერთმანეთის მიყოლებით დაგმეს ადამიანებმა, რომლებიც პასუხისმგებელი არიან იმაზე, რომ სისხლისმღვრელი ომი დაუშვეს და უკრაინა და ათასობით უკრაინელის სიცოცხლე ცივსისხლიანად გაწირეს.

**გლობალურმა ომის პარტიამ პრეზიდენტ ტრამპის** წინააღმდეგ მყისიერად დაამობილიზა ჩვენთვის კარგად ნაცნობი სპიკერები — **ჯინ შაჰინით დაწყებული, ბრიუსელის მრავალრიცხოვანი ჩინოვნიკებით დამთავრებული.** მათ არ ჩამორჩნენ არც **ქართული რადიკალური ოპოზიციის ლიდერები,** რომლებიც სულ რაღაც ერთი თვის წინ **პრეზიდენტ ტრამპის** ინაუგურაციის უკანა ოთახში გადაღებული „სელფებით“ იწონებდნენ თავს.

**გამოჩნდა ისიც, რომ გლობალური ომის პარტია და დიფ სთეითი ომს ასე მარტივად არ შეელევიან.**

ბრძოლა ომის პარტიასა და მშვიდობის მოსურნე ძალებს შორის გადამწყვეტ ფაზაში შედის. რაც უფრო ადრე დასრულდება ომი უკრაინაში, მით უფრო ნაკლები უკრაინელის სიცოცხლე გაიწირება და მით უფრო ადრე დაისადგურებს მშვიდობა. **პრეზიდენტ ტრამპს გამძლეობას და მხნეობას ვუსურვებ ამ რთულ ბრძოლაში!**

***შალვა პაპუაშვილი***
*პარლამენტის თავმჯდომარე*



**სამი წლის წინ გადავრჩით ახალ ომს,** სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ხელახალ ხელყოფას; **სამი წლის წინ გადავრჩით სისხლისღვრას,** ახალ ცრემლს, შავებში ჩაცმულ ახალ ადამიანებს; **სამი წლის წინ აქეთკენ გვიბიძგებდნენ** 21-ე საუკუნის ორჯონიკიძეები, რომლებიც სამი წლის წინ ითხოვდნენ საქართველოს ხელისუფლებისგან ესკალაციას, სანქციების დაწესებას და მოხალისე მებრძოლების გაგზავნას, ანუ **საქართველოსგან ითხოვდნენ ომში შესვლას.**

„რეზონანსი“

***კახა კალაძე***
*თბილისის მერი*



**ტრამპმა** მკაფიოდ დაანახა ყველას, თუ ვის სურს **ომი და ვის — მშვიდობა.**

„იმედინიუსი“

# უკრაინის ვადაგასულ პრეზიდენტს ოვალურ კაბინეტში მონიკა ლევინსკი უქნეს!

*უკრაინის ვადაგასული პრეზიდენტისა და დონალდ ტრამპის შეხვედრა ხმაურიანი სკანდალით დასრულდა, რომლის მსგავსიც არ ახსოვს მსოფლიოს მას შემდეგ, რაც 1960 წლის 12 ოქტომბერს გაეროს ტრიბუნაზე ნიკიტა ხრუშჩოვმა ფეხსაცმელი აბაკუნა და აქეთ-იქით იქნია. ეჭვგარეშეა, რომ ურთიერთობა საშვილიშვილოდ თუ არა, კარგა ხნით გაფუჭდა — ტრამპი პირდაპირ დაემუქრა ზელენსკის, რომ შეწყვეტს უკრაინის დახმარებას, თუკი ეს უკანასკნელი არ ჩაერთვება კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში. ზელენსკის უარმა — წავიდეს რაიმე დათმობაზე და თავხედურმა მოთხოვნამ — კვლავინდებურად მიიღოს ამერიკული სამხედრო დახმარება, სერიოზულად განარისხა ტრამპი და, რბილად რომ ვთქვათ, უკრაინის მასხარა პრეზიდენტი თეთრი სახლიდან გამოუძახა.*



**რემინისცენციები მონიკა ლევინსკის თემაზე,**

**რომელიც 1996 წელს თეთრ სახლში სტაჟიორად მუშაობდა და პრეზიდენტ ბილ კლინტონთან ოვალურ კაბინეტში ორალური სექსით იყო დაკავებული**

არადა, მოლაპარაკებების დაწყებამდე ტრამპი იმედს გამოთქვამდა, რომ მხარეები შეძლებენ, მიაღწიონ მასშტაბურ შეთანხმებას, რომ მას და რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინს** აქვთ კარგი ურთიერთობა და მზაობა კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისათვის. **აქვე ამერიკის პრეზიდენტი აღნიშნავდა, რომ პერსპექტიული თანამშრომლობის კუთხით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა უკრაინასთან ხელმოსაწერ დოკუმენტს იშვიათი მინერალების იმპორტთან დაკავშირებით.**

ამერიკის პრეზიდენტის მხრიდან გაჟღერებული იმედიანი პერსპექტივის კვალდაკვალ **უკრაინელმა მასხარამ** იკითხა:

**— მე ვიცი, რისთვის არის მზად ევროპა. მე მინდა, ვკითხო პრეზიდენტ ტრამპს — რისთვის არის მზად ამერიკის შეერთებული შტატები?**

დაპირისპირება დაიწყო მას შემდეგ, რაც ოვალურ კაბინეტში **ტრამპმა** განუცხადა ვიზიტორს, რომ **ზელენსკის** მოუწევს კომპრომისებზე წასვლა.

**ზელენსკი:** — ჩვენ არასოდეს მივიღებთ წინადადებას მხოლოდ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რადგან რუსეთი დაარღვევს ამ შეთანხმებას.

აქვე **ზელენსკიმ** მოუწოდა ამერიკას, მისცეს გარანტიები დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს უკრაინაში მშვიდობისმყოფელთა შესაყვანად, ხოლო ჟურნალისტის შეკითხვაზე — **რა მოხდება, თუკი რუსეთი დაარღვევს შეთანხმებას უკრაინაში კონფლიქტის მოგვარების შესახებ?** — **ტრამპმა** მოსწრებულად მიუგო: **„და რა მოხდება, თუკი ბომბი დაგეცემათ თავზე?“**

**ტრამპი:** — მე არ მსურს, ვიფიქრო უსაფრთხოებაზე ამ წუთებში, თავდაპირველად საჭიროა, შედგეს შეთანხმება. უკანასკნელი კვირის მანძილზე როგორც ერთმა, ისე მეორე მხარემ 2-3 ათასი ჯარისკაცი დაკარგა.

ძირითადი დაპირისპირება მოჰყვა ჟურნალისტის შეკითხვას: **„ახლა მე ველაპარაკები ჩემს მეგობრებს პოლონეთში, რომლებიც შეშფოთებულნი არიან პუტინთან თქვენი მეტისმეტი დაახლოებით. რას ეტყოდით მათ?“**

**ტრამპი:** — თუკი მე არ მექნება ურთიერთობა ორივე მხარესთან, გარიგება ვერ შედგება. თქვენ გსურთ, რომ მე საშინელებები ვილაპარაკო **პუტინზე** და შემდეგ ვუთხრა: **„გამარჯობა, ვლადიმირ, როგორ მიდის ჩვენი გარიგება?“** ასეთი რამ არ მუშაობს. **მე არა ვარ პუტინის მოკავშირე და არც არავის მოკავშირე. მე გახლავართ ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირე მთელი მსოფლიოს კეთილდღეობისათვის... მე ვარ მშვიდობის მოკავშირე!**

ხედავთ, როგორი ზიზღი აქვს მას **პუტინის** მიმართ! **(ტრამპი ხელს იშვერს ზელენსკისაკენ)**. ჩემთვის ძალიან ძნელია, მივაღწიო შეთანხმებას ასეთი სიძულვილის პირობებში. მას აქვს უდიდესი ზიზღი, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ არც მეორე მხარეა მისით აღფრთოვანებული. მე მინდა, ეს ყველაფერი აღმოვფხვრა... მე კავშირში ვარ ევროპასთან და მინდა, ვნახო, შევძლებთ თუ არა ამას. **თქვენ გსურთ, რომ მე ვიყო ხისტი. მე შემიძლია, ვიყო ხისტი და ყველა სხვა ადამიანზე მკაცრი და უხეში, ვინც კი ოდესმე გინახავთ. მე ვიქნები ასეთი ხისტი, მაგრამ თქვენ ამ შემთხვევაში ვერასოდეს მიაღწევთ შეთანხმებას.** კარგით! კიდევ ერთი კითხვა... (ტრამპი მიუთითებს ვიცე-პრეზიდენტ **ჯეი დი ვენსზე**).

**ვენსი:** — ჩვენ ოთხი წლის მანძილზე გვყავდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, რომელიც გამოდიოდა პრესკონფერენციებზე და უხეშად საუბრობდა **ვლადიმერ პუტინზე,** რომელიც შემდგომ შეიჭრა უკრაინაში და დაანგრია ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი. არადა, გზა მშვიდობისა და აყვავებისკენ დიპლომატიაზე

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*



**ამერიკის პრეზიდენტს დანახვისთანავე არ მოეწონა ბრონირებული ავტომობილით უპიჯაკოდ მოსული და შავ კომუფლაჟში გამოწყობილი ზელენსკის ფამილარობა.**

## *დონალდ ტრამპი:*

## ხედავთ, როგორი ზიზღი აქვს მას პუტინის მიმართ! ჩემთვის ძალიან ძნელია, მივაღწიო შეთანხმებას ასეთი სიძულვილის პირობებში!

## კვირგვინოსნები

### მიხეილ ყაველაშვილი

*საქართველოს პრეზიდენტი*



გვჯერა, **ევროკავშირშიც შეიცვლება ვითარება,** ის ძალები იქნებიან წარმოდგენილი, ვინც **საერთო ღირებულებებს პატივს სცემენ,** სხვა შემთხვევაში, **ჩვენთვის პირველი ეროვნული ინტერესია.**

„პირველი არხი“

### მამუკა მდინარაძე

*საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი*



2025 წლის იანვარში **ეკონომიკურმა ზრდამ 11.1% შეადგინა.** ასევე, იანვარში **ექსპორტი გაიზარდა** 19.3%-ით და 403.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო ფონდის თანახმად, 2025-2029 წლებში **საქართველოს ექნება ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა** მეზობელ, რეგიონის, ევროკავშირის კანდიდატ და, ზოგადად, ევროპის ქვეყნებს შორის.

„რუსთავი-2“

### მარკ ჯეიფი

*ნიუ-იორკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი*



**ჩვენ ვეძებთ ისეთ პარტნიორებს,** რომლებმაც იციან, რა არის დემოკრატია, ვაჭრობა, ოჯახური ღირებულებები და **ჩვენ უკვე ვიპოვეთ ასეთი მეგობარი საქართველოს სახით.** ვფიქრობთ, წარმატებული წელი იქნება იმისთვის, რომ **ვაკეთოთ მეტი ბიზნესი, დავამყაროთ მშვიდობა და განვავითაროთ სავაჭრო ურთიერთობები.**

„რუსთავი-2“

### დიმიტრი ხუნდაძე

*„ხალხის ძალის“ გენერალური მდივანი*



**რუსეთის მარცხის მოლოდინი არ გამართლდა** და ნატო-ს მეტი საფიქრალი გაუჩნდა. ამ ურთულეს რეალობაში **ყველაზე წინდახედული პოლიტიკა საქართველომ აწარმოა,** რაც ყოველდღიურად დასტურდება.

„რეპორტიორი“

# უკრაინის ვადაგასულ პრეზიდენტს ოვალურ კაბინეტში მონიკა ლევინსკი უქნეს!



**რემინისცენციები მონიკა ლევინსკის თემაზე,**
**რომელიც 1996 წელს თეთრ სახლში სტაჟიორად მუშაობდა და პრეზიდენტ ბილ კლინტონთან ოვალურ კაბინეტში ორალური სექსით იყო დაკავებული**

*დასაწყისი მე-3 გვერდზე*

გადის. ჩვენ გამოვცადეთ **ჯო ბაიდენის** გზაც — გულში მჯიღების ცემა და თავის მოჩვენება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სიტყვები მეტს ნიშნავს, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მოქმედება. **ის, რაც ამერიკას დიადად აქცევს, გახლავთ სწორედ დიპლომატიური ქმედება.** სწორედ ამას აკეთებს **პრეზიდენტი ტრამპი.**

**ზელენსკი:** — შეიძლება, შეგეკითხოთ?

**ვენსი:** — რასაკვირველია.

**ზელენსკი:** — კარგით, მან მოახდინა ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია — უკრაინის დიდი ნაწილის, აღმოსავლეთის ტერიტორიებისა და ყირიმის ოკუპაცია 2014 წელს. ასე რომ, მრავალი წლის მანძილზე, და მე არ ვლაპარაკობ მხოლოდ **ბაიდენზე,** დროის იმ პერიოდში იყო **(ზელენსკი თითების მოხვრით ითვლის აშშ-ის მმართველებს)** **პრეზიდენტი ობამა,** შემდეგ — **პრეზიდენტი ტრამპი,** შემდეგ — **პრეზიდენტი ბაიდენი,** შემდეგ — **პრეზიდენტი ტრამპი** და, ღმერთმა ქნას, ამჟამად **პრეზიდენტმა ტრამპმა** შეაჩეროს იგი. მაგრამ 2014 წელს იგი არავინ შეაჩერა. მან კი, უბრალოდ, მოახდინა ოკუპაცია და წაიღო ტერიტორიები. გესმით — ის კლავდა ადამიანებს...

**ტრამპი:** — 2015?

**ზელენსკი:** — 2014.

**ვენსი:** — ო, 2014!

**ზელენსკი:** — დიახ, დიახ, დიახ, სწორედ ასე.

**ტრამპი:** — მე მაშინ აქ არ ვიყავი!

**ზელენსკი:** — კი მაგრამ...

**ვენსი:** — სწორედაც ასე...

**ზელენსკი:** — კი მაგრამ, 2014-დან 2022 წლის ჩათვლით ვითარება ასეთივე იყო — ადამიანები კვდებოდნენ და ის ვერავინ შეაჩერა. თქვენ იცით, რომ ჩვენ გვქონდა მასთან მოლაპარაკებები, ბევრი მოლაპარაკება, მრავალმხრივი მოლაპარაკებები და მე, როგორც ახალმა პრეზიდენტმა, 2019 წელს ხელიც კი მოვაწერე მასთან შეთანხმებას. **მაკრონმა და მერკელმაც** მოაწერეს ხელი ცეცხლის შეწყვეტაზე. ყველა მათგანი მეუბნებოდა, რომ ის არასოდეს წავა... ჩვენ ხელი მოვაწერეთ ბუნებრივი აირის კონტრაქტსაც... მაგრამ ამის შემდეგ მან დაარღვია ზავი, მოკლა ჩვენი ადამიანები, არ გვიცვლიდა ტყვეებს... რომელ დიპლომატიაზეა საუბარი, ჯეი დი? რას გულისხმობთ?

**ვენსი:** — მე ვლაპარაკობ ისეთ დიპლომატიაზე, რომელიც დაასრულებს თქვენი ქვეყნის რღვევას **(ზელენსკი და ვენსი ლაპარაკობენ ერთდროულად და საუბარს აწყვეტინებენ ერთმანეთს).** ბატონო პრეზიდენტო, თქვენდამი პატივისცემის მიუხედავად, ვფიქრობ, რომ თქვენი მხრიდან უპატივცემულობაა, მოხვიდეთ ოვალურ კაბინეტში და ცდილობდეთ, განიხილოთ ეს საკითხები ამერიკული მედიის წინაშე. ამჟამად თქვენ აიძულებთ წვევამდელებს, გაემართონ წინა ხაზზე...

ვიცე-პრეზიდენტმა **ჯეი დი ვენსმა** შენიშნა, რომ საომარი მოქმედებების დასამთავრებლად საჭიროა მოლაპარაკება ორივე მხარესთან, რაც ზელენსკიმ გააპროტესტა, რადგან **პუტინისადმი** ნდობა აქვს დაკარგული.

**ვენსი:** — კი მაგრამ უკრაინაში თითქმის აღარ დარჩნენ კაცები. ვისი მეშვეობით იომებთ? თქვენ არმიის შევსებასაც ვერ ახერხებთ!

**ტრამპი: — თქვენი ქვეყანა დიდ განსაცდელშია. მე ეს ვიცი. თქვენ ვერ იგებთ ომს. თქვენ გაქვთ საოცრად კარგი შანსი, ჩვენი წყალობით ამ მდგომარეობიდან გამოხვიდეთ. ჩვენ მოგეცით ამსულელი პრეზიდენტის ხელით (გულისხმობს ბაიდენს. რედ.) 350 მილიარდი დოლარი, გადმოგეცით სამხედრო შეიარაღება**. ასე რომ არ ყოფილიყო, ომი ორ კვირაში ან სულაც სამ დღეში დამთავრდებოდა. გამოიყენეთ არსებული შანსი, რათა შეწყდეს ტყვიების ზუზუნი და თქვენმა ხალხმა აღარ იომოს. თქვენ ამბობთ, რომ არ გსურთ ცეცხლის შეწყვეტა? სამაგიეროდ, მე მინდა, რომ ცეცხლი შეწყდეს...



***დონალდ ტრამპი:***

**მან გამოხატა უპატივცემულობა შეერთებული შტატების მიმართ ოვალურ დარბაზში. მას შეუძლია დაბრუნდეს, როდესაც მზად იქნება მშვიდობისათვის.**

## კვირგვინოსნები

**გია ვოლსკი**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



აქციებს ერთი მიზანი აქვს — ამ წინააღმდეგობის მოძრაობას **ნაციონალური მოძრაობის სისხლიანი სეგმენტი** ჩამოაშორონ და **სალომე ზურაბიშვილი** — ეს ჩვეულებრივი, რიგითი, **ნომრიანი აგენტურა და მისი გარემოცვა** წინ წამოწიონ, როგორც ოპოზიციის ლიდერი.

„რეზონანსი“

**ირაკლი ქადაგიშვილი**
*პარლამენტარი*



ოპოზიციას არჩევნები თუ აინტერესებს, **ხუთ-ექვს თვეში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მიიღონ მონაწილეობა,** აჩვენონ, რა რეიტინგი აქვთ.

„პირველი არხი“

**არჩილ გორდულაძე**
*პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე*



ჩვენი ოპოზიცია ერთი **ჯაშუშური ქსელის** წარმომადგენელია, რომელიც **ქვეყნის ოპოზიციაშია და არა — პოლიტიკურ ოპოზიციაში.**

„პირველი არხი“

**თორნიკე ჭეიშვილი**
*პარლამენტარი*



**საქართველოს ადგილი არის საქართველოში,** იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ ყოველთვის წინა პლანზე უნდა წამოვწიოთ **ჩვენი ეროვნული ინტერესები** და სწორედ ამით არის დაკავებული საქართველოს ხელისუფლება.

„TV იმედი“

**ანტონიო გუტიერეში**
*გაეროს გენერალური მდივანი*



**საქართველოს ხელისუფლებას სწორი პოლიტიკა აქვს.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ზელენსკი:** — ჰკითხეთ ამის თაობაზე ჩვენს ხალხს!

**ტრამპმა** მრავალმნიშვნელოვნად შენიშნა, რომ ყველაფერი მესამე მსოფლიო ომისაკენ მიდის და ზელენსკის არა აქვს უფლება, ცეცხლს ეთამაშოს.

**ზელენსკი:** — ომთან დაკავშირებით ყველას აქვს პრობლემა, თქვენ ოკეანე გაქრავთ ზღუდედ, მაგრამ თქვენ მაინც **იგრძნობთ!**

**ტრამპი:** — ნუ გვეტყვით, რომ ჩვენ **ვიგრძნობთ! ჩვენ კარგად ვიქნებით! ჩვენ მშვენივრად ვიქნებით! ჩვენ ვიქნებით ღონიერნი! ჩვენ ვიქნებით ძლიერნი! თქვენ ახლა არა ხართ ომის დაწყებიდან ყველაზე მომგებიან პოზიციაში. თქვენ არ გიჭირავთ ხელში ძლიერი კარტები.**

**ზელენსკი:** — აქ ჩვენ კარტის სათამაშოდ არ მოვსულვართ.

**ტრამპი უყვირის ზელენსკის:** — თქვენ არ შეგიძლიათ, გვიკარნახოთ — მოგვეცით ის და მოგვეცით ეს... **ჩვენ მოგეცით 350 მილიარდი. თქვენ ახლა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებით. ჩვენ გვსურს, გადავარჩინოთ თქვენი ქვეყანა და შევაჩეროთ ომი! ან ვაწერთ ხელს შეთანხმებას, ან ჩვენ გტოვებთ. თქვენ არ გაქვთ ძლიერი პოზიცია. თქვენ უნდა გამოხატავდეთ ჩვენ მიმართ მადლიერებას, მაგრამ ამას არ აკეთებთ და ეს ცუდია!**

**ზელენსკი** ცდილობდა, შეეწყვეტინებინა საუბარი **ტრამპისათვის** და ლაპარაკობდა პარალელურ რეჟიმში, რამაც ამერიკის პრეზიდენტი განარისხა და „Тупой президент“-ად მოიხსენია. ერთხანს **ზელენსკი** დადუმდა და როდესაც კვლავ ითხოვა სიტყვა, ტრამპმა უმალ მიუგო: **თქვენ ისედაც ბევრი თქვით!**

მოგვიანებით „ფოქს ნიუსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში **უკრაინელმა მასხარამ** აღნიშნა, რომ არ აპირებს, ბოდიში მოუხადოს ტრამპს: **„როცა ამბობენ, რომ უკრაინა დანგრეულია, უკრაინელი ჯარისკაცები გარბიან, ხოლო პრეზიდენტი დიქტატორია, როგორი რეაქცია უნდა მქონოდა?“**

**„ფოქს ნიუსის“** ჟურნალისტმა **ჯეკი ჰაინრიხმა** გაარკვია, რომ **ტრამპმა** და **მისმა გუნდმა** ზელენსკი თეთრი სახლიდან გამოაგდო. მათ არ მოეწონათ, რომ უკრაინის ვადაგასული პრეზიდენტი მხრებს იჩეჩავდა და თვალებს აბრიალებდა.

საგულისხმოა, რომ **აშშ-დან გამოპანღურებული ზელენსკის** მხარე დაიჭირეს ევროპაში. **პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა დონალდ ტუსკმა** აღნიშნა, რომ უკრაინას მარტო არ დატოვებენ, ხოლო **ჩეხეთის პრეზიდენტის პეტრ პაველის** სიტყვებით, ამჟამად პრაღა, როგორც არასდროს, ისე ახლოა კიევთან და დადგა დრო, ევროპამ გადამწყვეტი სიტყვა თქვას.

**თეთრი სახლის ინციდენტი გავლენას მოახდენს აშშ-ისა და ევროპის ურთიერთობებზე!** — აღნიშნა ყოფილმა ამერიკელმა მზვერავმა **სკოტ რიტტერმა** სოციალურ ქსელ X-ში. მისი აზრით, ეს იყო ხაფანგი ევროპის ქვეყნებისათვის, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებს გამოუჩნდა ახალი მეგობარი რუსეთის სახით, რომელსაც მრავალ უპირატესობასთან ერთად, ჰყავს არმია — **შემძლე ევროპის განადგურებისა.**



უკრაინის ვადაგასული პრეზიდენტისა და ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲢᲠᲐᲛᲞᲘᲡ შეხვედრა ხმაურიანი სკანდალით დასრულდა, რომლის მსგავსიც არ ახსოვს მსოფლიოს მას შემდეგ, რაც 1960 წლის 12 ოქტომბერს გაეროს ტრიბუნაზე ᲜᲘᲙᲘᲢᲐ ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲛᲐ ფეხსაცმელი აბაკუნა და აქეთ-იქით იქნია.




🇺🇦😡🇺🇸Как Зеленский обматерил вице-президента США

*- Вы были на Украине?*

*- Я смотрел сторис.*

*- С*ка б**ть.*

უკრაინის ვადაგასულმა პრეზიდენტმა **ზელენსკიმ** მიაგინა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ **ჯეი დი ვენსს,** როცა მან მიუთითა, რომ აქვთ სერიოზული პრობლემები პირადი შემადგენლობის შევსების კუთხით და კიევი ბრძოლას ბრძოლაზე აგებს. ზელენსკის კითხვაზე — **იმყოფებოდა თუ არა ამერიკელი პოლიტიკოსი უკრაინაში?** — **ვენსმა** მიუგო, რომ იცნობს და უნახავს სხვადასხვა ისტორიები, რასაც მოჰყვა ზელენსკის ჩაბუტბუტება უცენზურო სიტყვებით რუსულ ენაზე: **Сука. Блядь...**

Ха-ха-ха
DJ Blyatman!
Russian Village Boys! (Cyka
Ха-ха-ха
I don't care where are you fr
Let's destroy your fucking ho
Nobody can stop me (Я русс
Are you ready? (Yes, I'm ready)
Раз, два, три!
Russian gang, here we go
Every weekend make it boom
Our bass inside your soul
And you might get blown
Village Boys и DJ Blyatman разрывают ваши хаты
Да нам просто поебать, скажем вместе: "Сука блять!"
Блять!
Сука, сука, сука блять!
Блять!
Ха-ха-ха
Сука, сука, сука, блять
Буду вечно повторять
Оп давай, давай опять
Сука, сука, сука блять
Буду вечно повторять
Сука, сука, сука блять

**საბედნიეროდ, უკრაინის ვადაგასულმა პრეზიდენტმა ბოლომდე არ წაიმღერა უცენზურო რუსული სიმღერა cyka blyat (სუკა ბლიად) დიჯეი ბლიატმენის რეპერტუარიდან**







# P.S.

ფაქტობრივად, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო — **უკრაინის ვადაგასული პრეზიდენტი,** რომელსაც **ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲢᲠᲐᲛᲞᲛᲐ** თავის სოციალურ ქსელში ჯერ კიდევ ორი კვირის წინათ უწოდა **„დიქტატორი არჩევნების გარეშე“**, თეთრი სახლიდან გააგდეს და უთხრეს — **აქ მხოლოდ მაშინ შეგიძლია დაბრუნდე, როცა მშვიდობისთვის მზად იქნებიო!**

მაგრამ სურს კი მშვიდობა უკრაინის **ᲕᲐᲓᲐᲒᲐᲡᲣᲚ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ?**

ამაში თვით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი **ᲛᲐᲠᲙᲝ ᲠᲣᲑᲘᲝᲪ** არ არის დარწმუნებული, რომელმაც განაცხადა: ***„შესაძლოა, ზელენსკის სამშვიდობო შეთანხმება არც კი სურდეს. ის ამბობს, რომ უნდა, მაგრამ იქნებ, სინამდვილეში, არ უნდა?!“***

ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია — თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში **მონიკალევინსკირებული** და მერე იქიდან გაგდებული **ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘ ალარც ომისთვის გამოდგება და აღარც — მშვიდობისთვის!**

## კვირგვინოსნები

**მეუფე იაკობი**
*ბოდბელი ეპისკოპოსი*



ახალი დაბრუნებული ვარ ამერიკიდან. **კითხვაც არ აქვთ საერთოდ ქართულ არჩევნებზე.** მართალია, ფიქრობენ, რომ უკეთესად შეიძლება, ჩატარდეს, მაგრამ რა სისულელეა — **არავითარი „კიდევ არჩევნებიო“.**

„ᲘᲛᲔᲓᲘᲜᲘᲣᲡᲘ“

**ირაკლი კირცხალია**
*ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პირველი მოადგილე*



**„ფარას“ ასლი** მხოლოდ და მხოლოდ ემსახურება **ჩვენი სახელმწიფოებრიობის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის გამყარებას** — საქართველო არ არის რაღაც **ექსპერიმენტების ჩატარების პოლიგონი.**

„TV ᲘᲛᲔᲓᲘ“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



**ᲙᲐᲘᲐ ᲙᲐᲚᲐᲡᲘ** უსამართლო და არაობიექტურია, ასევეა **ᲣᲠᲡᲣᲚᲐ ᲤᲝᲜ ᲓᲔᲠ ᲚᲐᲘᲔᲜᲘᲪ.** კალასი **ჩვენ ნოტაციებს გვიკითხავდა,** მისი მეუღლე კი, მგონი, **დღემდე აგრძელებს რუსეთთან ვაჭრობას.**

„ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲮᲘ“

**კაია კალასი**
*საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი*



**ყველა დემონსტრანტი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს,** ნაბიჯები, რომლებსაც საქართველო დგამს, **არ არის ევროპის მიმართულებით გადადგმული.** წარვადგინეთ სანქციები მათ მიმართ, ვინც **პროტესტის მშვიდობიანი მონაწილეების წინააღმდეგ ძალადობას იყენებს,** ამ ეტაპზე ვერ შევძელით ორი ქვეყნის დარწმუნება, მაგრამ **მცდელობას გავაგრძელებთ.**

„ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲮᲘ“

**სალომე ზურაბიშვილი**
*ყოფილი პრეზიდენტი*



სხვა **მშვიდობიანი გამოსავალი არ არსებობს,** თუ არა არჩევნები!

„ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲮᲘ“

# ჯამბაზთა ბანაკი ცას მიემგზავრება!




## ეს ჯამბაზიც გაწირეს, მისი ხროვაც გაწირეს და, რაც მთავარია, უკრაინა გაწირეს!

***ჯერ კიდევ 2022 წლის გაზაფხულზე ვწერდი, რომ ყველაფერი ასე ტრაგიკულად დასრულდებოდა. მაშინ პირადში მიხტებოდნენ ვიღაც ბოგანოები და ჩიქორთული ქართულით, სასვენი ნიშნების გარეშე მლანძღავდნენ — ამხელა კაცი ხარ, რეებსა „სწერამო“?! ერთი-ორს კი გავუგზავნე საკადრისი პასუხი და ისიც შევახსენე, ამხელა კაცი რომ ვარ, ამიტომაც „ვწერამ“ ასე-მეთქი, მაგრამ მერე მივხვდი, აზრი არ ჰქონდა, ამ უაზროდ აღტყინებულ ბრბოს ვერაფერს შევაგნებინებდი.***

და მაინც, საიდან ვიცოდი, რომ უკრაინაში წამოწყებული ავანტიურა ასე ტრაგიკულად დასრულდებოდა?

1. **წავიკითხე წიგნები და ვნახე ფილმები იმის თაობაზედ,** რა დაემართა ნაპოლეონს, როცა გადაწყვიტა რუსეთის აღება და მოსკოვშიც კი შეიჭრა!

2. **წავიკითხე წიგნები და ვნახე ფილმები იმის თაობაზედ,** რა დაემართა ჰიტლერს, როცა გადაწყვიტა რუსეთის აღება და მოსკოვს რამდენიმე კილომეტრით მიუახლოვდა!

3. **გადავხედე რუსეთის მანამდელ ისტორიას, გავაანალიზე და მივხვდი,** ეს უზარმაზარი ქვეყანა რომ დაამარცხო, ზესახელმწიფო უნდა იყო და შესაბამისი სამხედრო შესაძლებლობებიც უნდა გქონდეს. ასეთი სახელმწიფო კი დღეს დედამიწის ზურგზე არ არსებობს. ესეც რომ არა, ცალკე შესასწავლია რუსი ხალხის ფსიქოლოგია და მისი ბრძოლისუნარიანობა — რაზეც წავა რუსი „სალდათი“, იმაზე ვერ და არ წავა აშშ-ელი თუ სხვა ქვეყნის დაქირავებული „პალეტმაისტერი“!

4. **მე 2 წელიწადი ვიმსახურე საბჭოთა ჯარში.** ვიყავი ვლადივოსტოკში, ე.წ. „მარსკოი პეხოტაში“, წყნარი ოკეანის სანაპიროზე. თბილისის აეროპორტიდან ავფრინდით და სანამ ადგილზე დავეშვებოდით, 16 საათი ვიყავით ჰაერში. ორჯერ დაჯდა თვითმფრინავი საწვავის შესავსებად. ლაგოდეხიდან ბათუმამდე თვითმფრინავი მანძილს რამდენ წუთში ფარავს? 10 წუთში? 20 წუთში? იქნებ ნახევარ საათში? ეს არის ჩვენი ქვეყნის თავი და ბოლო, ვის უნდა ებრძოლო? ვინ უნდა დაამარცხო?

**მე ზემოდან დავხედე ამ ქვეყანას და ის სურათი დღემდე არ ამომდის თვალებიდან** — ეს არის უკიდეგანო სახელმწიფო... კარგია, ცუდია, აგრესორია, ბოროტია, კეთილია, ამაზე არ ვკამათობ, თუ ომი გწადია, ნება იბოძე, ამ ქვეყნის ავანჩავანი კარგად შეისწავლე და როცა შეისწავლი, დარწმუნებული ვარ, ომი აღარ მოგინდება!

### ალბათ, გაიფიქრებთ, განა ნაპოლეონმა და ჰიტლერმა არ შეისწავლეს? განა ომი ისე დაიწყეს? როგორც ჩანს, კარგად არ შეისწავლეს, თორემ ერთი „ტრუსიკ-მაიკით“ და ტლაპოიანი ცხენით არ დაბრუნდებოდა

### პარიზში, ხოლო მეორე საკუთარი ხელით არ დაასრულებდა სიცოცხლეს.

**ტრამპი პრაქტიკოსია!**

**ტრამპს ნამდვილად აქვს** ანალიტიკური აზროვნება!

**ტრამპი კარგად ხედავს,** ვისთან აქვს საქმე და ცდილობს, სხვანაირად მოაგვაროს პრობლემები!

**ტრამპმა მშვენივრად იცის,** რომ ხშირად „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა „ტკბილად მოუბარი“, სხვა გზა უბრალოდ არ არსებობს!

**ეს ჩვენთვისაც კარგი გაკვეთილია!**

არ იქნება ეს **პუტინი?** იქნება **სხვა პუტინი!** ვინც არ უნდა მოვიდეს რუსეთის ხელისუფლებაში, ყველა იქნება **პუტინი, პუტინი და არაფერი სხვა!**

ამიტომ:

ჩვენ გვჭირდება გასაღები, რომელიც ამ ქვეყანას მოერგება!

ჩვენ ვერ გადავსახლდებით, ვერც რუსები გადასახლდებიან, მეზობელი კი, ავია თუ კარგი, მაინც მეზობელია და ყოველთვის ექნება თავისი ინტერესები.

როდესაც 2008 წლის აგვისტოში **სააკაშვილის** ხროვამ აფხაზეთისა და ცხინვალის „დაბრუნება“ გადაწყვიტა, საომარი მოქმედებების დაწყებამდე **შოთა მალაშხიას** დავურეკე, კომენტარი ვთხოვე. დამიდასტურა — **ვიწყებთო, თანაც ისეთი გაწვრთნილი ჯარი გვყავს, თავისუფლად შეგვიძლია, კრემლის თავზე ქართული დროშა ავაფრიალოთო.** იმედია, ხუმრობთ, ბატონო შოთა-მეთქი. **არა, რას ვხუმრობ, მართლა ეგრეა, ჩვენი ჯარი ამერიკელებმა გაწვრთნესო.**

როგორ ააფრიალეს ქართული დროშა კრემლის თავზე, ალბათ, გახსოვთ. შემდეგ უკრაინელებმა მოინდომეს იგივე, მაგრამ იმასაც ვხედავთ, რა ხდება. **2 წელიწადი ვიცხოვრე უკრაინელებთან ერთად ერთ ყაზარმაში, ხშირად მიკვირდა, რაღაც საკითხებში არაადეკვატურები რატომ არიან-მეთქი? ეს ფენომენი დღემდე ვერ ამოვხსენი, ამ ერს რაღაც სჭირს — განდიდების მანია? არ ვიცი, არ მინდა, როცა საქმე ერს ეხება, უფრო ღრმა წიაღსვლებს ვერ გავაკეთებ.** ბოლო-ბოლო, ავანტიურისტებმა გერმანელები გააბრიყვეს და უკრაინელებს ვეღარ გააბრიყვებდნენ?!

**გაწირეს!**

**ეს ჯამბაზიც გაწირეს, მისი ხროვაც გაწირეს და, რაც მთავარია, უკრაინა გაწირეს!**

ჰოდა, ამერიკიდან გამოძევებული **ჯამბაზთა ბანაკი** ცას მიემგზავრება იმ იმედით, რომ **ცას მაინც გამოეკეროს!** არადა, დააჯერებ კი მაგ შარახვეტიებს, რომ კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე **ცას არავინ გამოკერებია?!**

***გელა ზედელაშვილი***

## კვირგვინოსნები

**ლევან მაჭავარიანი**
*პარლამენტარი*



ბატონ **ბიძინა ივანიშვილს** ფიზიკურად არ გააჩნია აქტივები ბრიტანეთში, შესაბამისად, **რა უნდა დასანქცირდეს,** ძალიან გასაკვირია.

„რეზონანსი“

**პაატა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ გენერალური მდივანი*



ბრიტანეთი ძალიან ბევრ ოფშორულ კუნძულს ფლობს და **ბიძინა ივანიშვილს** ძალიან ბევრი ოფშორული კომპანია აქვს, ამიტომ **ბრიტანული სანქციები უფრო მტკივნეულია მისთვის** და მისი ხელისუფლებისთვის, ვიდრე ამერიკის.

„ახალი თაობა“

**გიორგი სიხარულიძე**
*საზოგადოება „ქართლოსის“ წევრი*



**გლობალური დიფსთეითის უპირობო მორჩილებამ 2008 წელს მიგვიყვანა კიდევ ერთ მძიმე მარცხთან ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.** შესაბამისად, ეს არის ძალიან დიდი გაკვეთილები. **ისე ფხიზლად და ისე მედგრად უნდა ვიყოთ** ეროვნული ინტერესების დასაცავად, როგორც არასდროს.

„იმედინიუსი“

**ირაკლი ბაბლუაშვილი**
*ანალიტიკური გადაცემა „ინტელექტის“ წამყვანი*



**ტრამპს აქვს დემენცია** და ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ, **რასაც აკეთებს, ამის ბრალია.**

„ფორმულა“

# რუსეთი რამდენადაც მართალია უკრაინასთან, იმდენად მტყუანია საქართველოსთან!

***რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში ქართველების გარეშე კიდევ ერთი „საპრეზიდენტო არჩევნები“ ჩატარდა და 1 მარტს გამართულმა მეორე ტურმა „გამარჯვებულიც“ გამოავლინა — ბადრა გუნბა, რომელმაც ხმათა 54 პროცენტი მიიღო!***

დამარცხებული **ადგურ არძინბა,** რომელმაც წინა „პრეზიდენტი“ **ასლან ბჟანია** 2024 წლის 19 ნოემბერს დაამხო, ცხადია, **რუსი ოკუპანტების ძაღლიშვილია,** მაგრამ გუნბა, რომელმაც ქართველების სიძულვილით, თავისი ნამდვილი სახელი **ბადრი** დაიმახინჯა და **ბადრად** გადააკეთა, კიდევ უფრო მეტად ძაღლიშვილია. **ბადრა** მზად არის, რუსებს აპარტამენტებიც დაუთმოს და დაასრულოს ის დაპირისპირებაც, რომელიც **აფსუებსა და რუსებს შორის დიდი ხანია მწიფს.**

უზარმაზარი და თანაც ზესტრატეგიული ტერიტორია, რომლის აღებაც ვერც **ბაგრამიანის სომხურმა ბატალიონმა** შეძლო, ვერც **აფსუებმა** და ვერც რუსეთის სპეცდანიშნულების რაზმებმა!

საერთოდ, მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ **აფსუათა** გვარების 80 პროცენტზე მეტი ქართული წარმომავლობისაა... **გულიაც** ქართული გვარია ისევე, როგორც **ჯინჯოლია, კობახია და კვიცინია.** ეს უკანასკნელნი **გააფსუებული კვიციანები** არიან, რომლებმაც თავიანთი ნამდვილი წარმომავლობის შესახებ ზუსტად იციან და **კვიცინია კვიციანზე** არავითარ შემთხვევაში არ დაქორწინდება.

**გააფსუებულ ქართველზე** უფრო დიდი მტერი საქართველოს არ ჰყავს. აი, მაგალითად, ტვინნაღრძობი **იური ლვინჯილია, რომელიც ამტკიცებს, რომ მეგრელები ქართველები არ არიან, სიცოცხლის ღირსი არ არის, რადგან მტერია.** ასეთებს **ლავრენტი ბერია** ხვრეტდა და, ჩვენი აზრით, სამართლიანადაც!

მოკლედ, რუსეთი უკვე მერამდენე „არჩევნებს“ გვიტარებს **აფხაზეთში,** რასაც გაერო, ევროკავშირი და ყველა გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაცია გმობს და არ ცნობს, მაგრამ საქართველოსთვის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ხსნის რეალური გზა არა და არ ჩანს.

**რუსეთი რამდენადაც მართალია უკრაინასთან, იმდენად მტყუანია საქართველოსთან!**

არასოდეს უკრაინას სახელმწიფოებრიობა არ ჰქონია და უკრაინელი ერიც მე-17 საუკუნის მიწურულს ჩამოყალიბდა... ეს უზარმაზარი და უმდიდრესი ტერიტორია რამდენიმე სახელმწიფოს, მათ შორის, რუსეთს, პოლონეთს, ლიტვის დიდ სამთავროსა და შემდეგ რეჩ-პოსპოლიტას ჰქონდათ გადანაწილებული. უფრო მეტიც, **საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ რუსეთმა ე.წ. მარადიული ზავით 1686 წელს კიევი რეჩ-პოსპოლიტასგან 146 ათას მანეთად იყიდა.** ამასთან, რეჩ-პოსპოლიტამ უარი თქვა **ზაპოროჟიეს სეჩის** პროტექტორატზე... მე-16-მე-18 საუკუნეებში **ზაპოროჟიეს სეჩი** დღევანდელი უკრაინის ტერიტორიაზე იყო ერთადერთი სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რომელიც სახელმწიფოებრიობის რაღაც ნიშნებს ატარებდა. ეს გახლდათ უკრაინელი კაზაკების ორგანიზაცია, რომელიც ხის კოშკებს — „სეჩებს“ აგებდა და ძალიან ეფექტურად ებრძოდა როგორც ოსმალეთის იმპერიას, ისე ყირიმის სახანოსა და პოლონელ მტაცებლებს. რუსეთი ამ ყველაფერს მშვიდად ეგუებოდა, რადგან **ზაპოროჟიეს სეჩი** რუსულ საქმეს აკეთებდა, მაგრამ მე-18 საუკუნის დასაწყისში, ნარვასთან მარცხის შემდეგ, რაც **ზაპოროჟიეს სეჩმა** შვედების მხარე დაიჭირა, ხოლო უფრო მოგვიანებით, მე-18 საუკუნის 70-იან წლებში, უკრაინელი კაზაკები **პუგაჩოვის** მოძრაობის ავანგარდში აღმოჩნდნენ, რუსეთის იმპერიამ **ზაპოროჟიეს სეჩი** საერთოდ გააუქმა და მოსპო...

მოკლედ, სტალინამდე უკრაინის სახელმწიფო ფიქცია გახლდათ... **სტალინი** საბჭოთა უკრაინას აძლიერებდა და რუსეთის ცენტრალური ტერიტორიების მიწებს უერთებდა. უფრო მეტიც, **ბელადი განსაკუთრებით ზრუნავდა უკრაინული ენის სტატუსზე და უკრაინის ცეკაში ყველას ავალდებულებდა, სცოდნოდათ უკრაინული და ელაპარაკათ უკრაინულად.**

მერე იყო და, სულელმა **ნიკიტა ხრუშჩოვმა,** რომელსაც **სტალინი** უკიჟინებდა — **შენ რუსი კი არა, უკრაინელი ხარ და სინამდვილეში მიკიტა გქვია!** — რუსებისა და უკრაინელების ურთიერთობაში დიდი ბომბი ჩადო და პერეიასლავის რადის 300 წლისთავზე, 1954 წელს, ყირიმი რუსეთს ჩამოაშორა და უკრაინას შეუერთა. მოგეხსენებათ, 1654 წლის 18 იანვარს ზაპოროჟიელ კაზაკთა ჰეტმანმა **ბოგდან ხმელნიცკიმ** რუსთხელმწიფე **ალექსი მიხეილის ძე რომანოვის** სიუზერენობა აღიარა, რაც რუსული ისტორიოგრაფიის მიერ შეფასებულია, როგორც „უკრაინის რუსეთთან შეერთება“.

ერთი სიტყვით, **„დამოუკიდებელი და თავისუფალი უკრაინა“** ისტორიის ანაქრონიზმი და ყურით მოთრეული ამბავია. ასეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო დედამიწაზე 1991 წლის 22 დეკემბრამდე არ არსებობდა... ამდენად, **პუტინის** დამპყრობლური მიზნებს უკრაინის მიმართ ისტორიული საფუძველი აქვს და გასაგებია, მაგრამ **გაუგებარია და დიდი უსამართლობაა რუსთხელმწიფის დამოკიდებულება პატარა საქართველოსადმი, რომელსაც კრემლმა ბინძური ჩექმა პირდაპირ ხერხემალზე დააჭირა და ჯერ აფხაზეთი წაგლიჯა, ხოლო შემდეგ — ცხინვალის რეგიონი, ანუ შიდა ქართლის დიდი ნაწილი.**

აუტანელი და სულისშემძვრელი ის გახლავთ, რომ რუსეთმა ეს ყველაფერი ჩაიდინა საშინელი ცინიზმისა და ქართველი ერისთვის სულში ჩაფურთხების ფონზე, როცა ოკუპირებული აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან ქართველები პირწმინდად გამოდევნა, ქართული ენა აკრძალა და ქართველობისთვის ადამიანებს დღემდე ხვრეტს!

რუსეთმა საქართველოში, რომელიც შუმერებისა და ხეთების ცივილიზაციასთან გახლავთ წილნაყარი, შექმნა და გააძლიერა ნახევრად ტერორისტული რეჟიმები, **სადაც ეთნიკური ქართველების გასანადგურებლად და ქართული სულის ამოსაშანთავად სამარცხვინო აპარტეიდი და ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის კვაზიფაშისტური „წესრიგია“ გამეფებული!**

აი, ასეთია რუსეთი, რომელიც ომში ძლიერდება, რომელმაც ევროპის თავზე უკვე მერამდენად გაიარა და რომელსაც ამერიკა გაურიგდა, რადგან **არ არსებობს ძალა, რომელიც პუტინს გააჩერებს და უკრაინაზე უარს ათქმევინებს!**

## უკრაინის ბედი უკვე გადაწყვეტილია, ახლა მთელი საქართველოს ფიქრი იმაზე უნდა იყოს მომართული, ეს ქვეყანა აფხაზეთთან და ცხინვალთან ერთად ჩაერთვება ახალი მსოფლიო წესრიგის ფერხულში თუ ისევ დაჩეხილებსა და ხეიბრებს მოგვიწევს ისტორიის თემშარაზე ბოდიალი...

**ბადრა გუნბას** გამარჯვება უკვე მიულოცა რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ცენტრალური კომისიის თავმჯდომარე **დავით მარშანმა, რომელიც ასევე გააფსუებული ქართველია** და ქართველების სიძულვილით თავადური წარმოშობის საკუთარი გვარი — **მარშანია მარშანად** გადააკეთა.

ცხადია, **წინა „პრეზიდენტი“ ბჟანიაც გააფსუებული ქართველი იყო.** იგივე შეიძლება ითქვას რუსული ალფაბეტის საფუძველზე აფსუათა ანბანის შემქმნელ **დიმიტრი გულიაზეც,** რომელმაც სასიკვდილო სარეცელზე აღიარა და თქვა — **„აფხაზი ქართველია“!**

ქართველებმა **გულიას** ეს ფრაზა აიტაცეს და ხზოს აღტაცებას მიეცნენ. არადა, დიმიტრი **გულიამ** ისტორიული სიმართლე გააჟღერა და განაცხადა ის, რაც ისედაც ცნობილი იყო — **„აფხაზი ქართველია!“**

**დიმიტრი გულიას** არ უთქვამს — **აფსუაა ქართველიო!** მან თქვა, **აფხაზი ქართველიაო!**

ამას უხსოვარი დროიდან მოყოლებული ამბობენ და ერთხმად აღიარებენ არაბი, სპარსი, ბიზანტიელი და დასავლეთ ევროპელი მოგზაურები, ისტორიკოსები, გეოგრაფები თუ საეკლესიო მოღვაწენი. **ეს ჩვენ, მხოლოდ ქართველებმა ვერ გავიგეთ და გავაცნობიერეთ და მე-16 საუკუნის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში ჩამოსახლებულ აფსუებს დავარქვით აფხაზები ისევე, როგორც ბიჭვინთას — პიცუნდა.**

როცა ეს მოხდა, სწორედ მაშინ გაგვისხლტა ხელიდან აფხაზეთი... შემდეგ აფხაზეთის საბოლოოდ დაკარგვაში **შევარდნაძეც „წამოგვეშველა“,** როცა 1992 წლის 14 აგვისტოს ენგურს გაღმა საქართველოში ხუნტის ჯარი შეიყვანა და ომი ატეხა. საბოლოო წერტილი კი **სააკაშვილმა** დაუსვა ყოველივეს, რომელმაც **კოდორის ხეობა „ზემო აფხაზეთად“** გადანათლა და ტყვიის გასროლის გარეშე ჩააბარა

**პუტინის მტაცებლურ მიზნებს უკრაინის მიმართ ისტორიული საფუძველი აქვს და გასაგებია, მაგრამ გაუგებარია და დიდი უსამართლობაა რუსთხელმწიფის დამოკიდებულება პატარა საქართველოსადმი, რომელსაც კრემლმა ბინძური ჩექმა პირდაპირ ხერხემალზე დააჭირა და ჯერ აფხაზეთი წაგლიჯა, ხოლო შემდეგ — ცხინვალის რეგიონი!**

ჯერჯერობით **ქართველი საზოგადოება** არავითარ ნიშანწყალს არ ამჟღავნებს იმის გასააზრებლად, რომ საქართველო გასაერთიანებელია და აფხაზეთი და ცხინვალი დასაბრუნებელი!

**როცა ქართველი ერი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებას მოინდომებს, ეს ტერიტორიები დაბრუნდება!**

მანამდე კი, როგორც **დიდი ილია** იტყოდა, **„მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი“** და **„ვდიოთ სხვა ვარსკვლავს“,** რომელიც კრემლის, ვაშინგტონის, სარაი თოფქაფის, ეჩმიაძინის, კიევის, ბაქოსა და ბრიუსელის კი არა, საქართველოს ზეცას გაანათებს!

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ირაკლი გოგავა**
*ანალიტიკოსი*



ასეთი ეკონომიკური რყევა **იმ გარე ძალების დაკვეთაა,** რომლებიც ცდილობენ, **საქართველოში ხელისუფლება დაამხონ** და თავისი მარიონეტებით ჩაანაცვლონ. **უნდათ, ხელისუფლების სათავეში ის ხალხი მოიყვანონ, რომლებიც ქვეყანას მიმდინარე ომში ჩააბამენ,** როგორც 2004 და 2008 წლებში **სააკაშვილმა** დავალებით გააკეთა.

„რეზონანსი“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ექსპერტი*



**ირაკლი ალასანიას** მიერ დაწყებული მოძრაობები **პოლიტიკაში დასაბრუნებლად,** ვფიქრობ, ჩანასახშივე განწირულია. **ის ვერც „მეფე“ იქნება და ვერც — „ლაზიერი“.** „მხედრად“ ან „ეტლად“ შეიძლება, გამოდგეს.

„იმედინიუსი“

**ბრანისლავ ონდრუში**
*ევროპარლამენტის წევრი*



თუკი გვსურს, საქართველო მივიღოთ ევროკავშირში, მაშინ **ჩვენ უნდა გადავტვირთოთ ურთიერთობები, საქართველოს ხელისუფლება მივიღოთ, როგორც რეალური პარტნიორი** და დიალოგის გზით მოვაგვაროთ დავები.

„TV იმედი“

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



ჩემი პრეზიდენტობის დროს **ბაბუაჩემი გარდაიცვალა და ბებიაჩემს გადასცა მემკვიდრეობით თავისი წილი.** აღმოჩნდა, რომ **წილი ჰქონდა რესტორან „წისქვილში“.** ხმის აწევით ვუთხარი, **რომ გადაეფორმებინა წილი უფასოდ ყველა სხვა პარტნიორზე.** არაფერი საკუთარი თავისთვის და ყველაფერი საკუთარი ქვეყნისთვის — ეს იყო და არის ჩემი პრინციპი.

„პირველი არხი“



# „არავის ვურჩევ მარტში სესხის აღებას, დაბრუნებისას პრობლემები შეექმნება!“

## მიხეილ ცაგარელი:

# პოლიტიკური ქარიშხალი

*— სამყარო რადიკალურად იცვლება, სავარაუდოდ, 2026 წლისთვის ახალი იალტის კონფერენცია ჩინეთის მონაწილეობით გაიმართება, სადაც მსოფლიოს მართვის ახალი წესები დადგინდება,* — ***აცხადებს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი და არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ანალიზსა და პროგნოზს აკეთებს:***

— პოლიტიკურ ქარიშხალს ჯერ არ გადაუვლია, პირიქით, წინ არის მნიშვნელოვანი პროცესები, ამიტომ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის, რაც ცის კაბადონზე ხდება.

**— რა ხდება ცის კაბადონზე?**

— სიმშვიდე ნამდვილად არ არის. მარტში ორი დაბნელების დერეფანი გვაქვს გასავლელი — **14 მარტს მთვარის დაბნელება, 29 მარტს — მზის.** ამ დროს მაღალია კონფლიქტების, ცდუნებების, ჯანმრთელობის გაუარესების, ადამიანებში დეპრესიის, აგრესიის, ეგოიზმის გაძლიერების ალბათობა. ეს პერიოდი ყველასგან განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს.

20 მარტამდე მზე **თევზების ზოდიაქოს** გადის, რომელიც მატყუარათა სამეფოში შედის. ამიტომ მაღალი იქნება ფანტაზიების, ლამაზად შეფუთული იდეებისა თუ პროექტების ტენდენციები. არ უნდა მოვაწეროთ ხელი ხელშეკრულებებს ისე, თუ ყველა პუნქტს ზედმიწევნით არ გადავამოწმებთ.

3 მარტს გონებისა და ინტელექტის მმართველი პლანეტა მერკური ვერძის ზოდიაქოში გადაინაცვლებს. 20 მარტს მას მზე შეუერთდება, რომელიც ასევე დატოვებს თევზების მატყუარა ნიშანს. 3 მარტიდან სანახევროდ და 20 მარტიდან სრულად ვერძის მოედანზე ვიცხოვრებთ.

**— ეს რას ნიშნავს?**

— **ვერძი ყველაზე აგრესიული ნიშანია. მას ომის და კონფლიქტების მმართველი პლანეტა მარსი მართავს.** თუ აქამდე ბევრი იყო ფანტაზიები, ილუზიები, მოტყუების ტენდენციები, 20 მარტიდან თევზებისთვის დამახასიათებელი დიპლომატია მეორე პლანზე გადაინაცვლებს და ადამიანებში მოიმატებს პირდაპირობა. ყველა მოინდომებს ეგოიზმით, დიქტატორული მიწოლით, სიჯიუტით და აგრესიული გამოვლინებებით მიაღწიოს მიზანს. სიფრთხილე გვმართებს, რომ გადაწყვეტილებების მიღებისას სულსწრაფობამ არ იჩინოს თავი და არ ავყვეთ პროვოკაციებს.

ასევე, 1 მარტიდან პლანეტა ვენერა რეტროგრადული, უკუმავალი ხდება და მას შეუერთდება გონების, ინტელექტის, კომუნიკაციის მმართველი პლანეტა მერკური. ვენერასთან ერთად სამი კვირით ისიც უკუმავალი გახდება.

**— ანუ?**

— როცა მერკური უკუმავალია, ეს ნიშნავს იმას, რომ გართულდება ახალი იდეების, პროექტების რეალიზაცია, მოლაპარაკების წარმოება და კომუნიკაცია ადამიანებს შორის. კარგი იქნება, თუ გადახედავთ და გააანალიზებთ ძველ იდეებს, რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ განახორციელეთ. ამ პერიოდში მთავარი კოსმიური ამოცანა არის ძველ საქმეებთან მიტრიალება, გაანალიზება და მისი ახლებურად შესრულება. ახალი საქმეების წამოწყება მიზანშეწონილი არ არის.

რადგანაც პლანეტა ვენერაც უკუმავალია, მოხდება ძველი სასიყვარულო ურთიერთობების დაბრუნება. დიდია ალბათობა იმისა, რომ გამოჩნდეს ძველი სიყვარული. ვინც მარტოა, ეს შეიძლება მისთვის სასიამოვნო იყოს, მაგრამ, ვისაც ოჯახი აქვს, პრობლემების მომტანი იქნება.

პლანეტა ვენერა მარტო სიყვარულის მმართველი არ არის, ფულის ერთ-ერთი მმართველიცაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკურ სისტემაში ფინანსური კუთხითაც მოხდება ცვლილებები — ვისაც თანხა ჰქონდა გასესხებული, დაიბრუნებს ან, პირიქით, ვალში ჩავარდება. **არავის ვურჩევ მარტში სესხის აღებას, დაბრუნებისას პრობლემები შეექმნება.** ფულთან მიმართებაში ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. ასევე ჩემი რჩევაა, მარტში პლასტიკური ოპერაციები არ გაიკეთოთ. შეიძლება ოპერაციის თავიდან გაკეთება დაგჭირდეთ და პრობლემები შეგექმნათ.

გარდა ამისა, 27 მარტიდან შავი მთვარე — მეცხრე მოციქული სატანისა — რომელსაც ლილიტის სახელწოდებით ვიცნობთ, შედის მორიელის ნიშანში, სადაც ის ყველაზე ძლიერია და კარგად გრძნობს თავს. მორიელი არის საომარი ნიშანი, ამიტომ გაძლიერდება ომის რიტორიკა, საომარი სიტუაციები, ადამიანები უფრო ულმობელები გახდებიან, მორიელისებრი გესლიანი სიტყვებით პირდაპირ შუბლში მიახლიან ყველას ყველაფერს, რაც საპასუხო რეაქციებს, კონფლიქტებსა და დაძაბულობას გამოიწვევს. ადამიანებში გაძლიერდება სუიციდური ტენდენციები, სექსუალური ძალადობის ფაქტები და ვენერიული დაავადებები. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, **შავი მთვარის მორიელში გადასვლით არნახულად გაძლიერდება შავი მაგია, როგორც თვალის აღების კუთხით, ასევე შავი მაგიის გამოყენებით.** იქნება გაუთავებელი შავმაგიური შეტევები, რის გამოც შეიძლება მსხვერპლმაც მოიმატოს.

წარმოიდგინეთ, მარტში გვაქვს დაბნელებები, ორი რეტროგრადული პლანეტა ხდება უკუმავალი და პლუს ემატება შავი მთვარის გადასვლა მორიელის აგრესიულ, ბოღმიან და შურიან ნიშანში. ამიტომ ემოციის და აგრესიის კონტროლი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ყველასთვის. ერთადერთი, რაც ამ რთული პერიოდის გავლაში დაგვეხმარება და კოსმიურ შტორმს შედარებით დააშოშმინებს, არის ის, რომ მარტში დედამიწა პოზიტიურ ენერგოველშია.

**— კოსმიური შტორმი გასაგებია, პოლიტიკურ შტორმზე რას გვეტყვით, კრიზისი გავიარეთ?**

— კიდევ ერთხელ აღვნიშნავ — პოლიტიკური ქარიშხალი აწი იწყება. **20 მარტიდან ვერძის ზოდიაქოში გადავდივართ, ეს პერიოდი კი ისტორიულად საქართველოსთვის მშვიდი არასდროს ყოფილა.** მთელ მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოშიც დაიძაბება პოლიტიკური სიტუაცია, თუმცა, კატასტროფას ნუ ველოდებით, უბრალოდ, ნერვების მომშლელი სიტუაციები იქნება.

მართალია, აქციის მოთავეებს ამერიკიდან ფული შეუწყდათ, დაიხურა „იუსაიდი“, მაგრამ თანხები ჯერ კიდევ მოედინება ევროპიდან. ცოცხალია **ჯორჯ სოროსი,** მისი ფონდი საქართველოდან არ გაუძევებიათ. სერიოზულ როლს თამაშობს **მაკკეინის ინსტიტუტი.** მას თავისი ფილიალები არამარტო ამერიკაში, ევროპაშიც აქვს. თვითონ ევროპელებიც აგზავნიან გარკვეულ თანხებს. ეს კი საკმარისია იმისთვის, რომ ნაპერწკალი არ ჩაქრეს. სანამ ეს წყაროებიც არ გაითიშება, იქამდე გამორიცხულია, სიტუაცია სრულად დამშვიდდეს, მითუმეტეს, ვხედავთ, რაც ხდება მსოფლიოში, **ტრამპის** გადაწყვეტილებებმა თავდაყირა დააყენა პოლიტიკური პროცესები. სამყარო რადიკალურად იცვლება!












**„ღალატის მუხლის აღდგენა პირდაპირ მიესადაგება სალომე ზურაბიშვილს, კაპიტან გიგაურს, ელენე ხოშტარიას, მამუკა ხაზარაძეს და მათ, ვინც დღემდე დარბის საზღვარგარეთ და ძირს უთხრის ქვეყანას. ეს მუხლი, პირველ რიგში, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ უნდა ამოქმედდეს, სანატორიუმში რომ ზის და იქიდან გვიკითხავს მორალს!“**

## კვირგვინოსნები

### ვიქტორ ორბანი

*უნგრეთის პრემიერ-მინისტრი*



**უკრაინა ვერასდროს გახდება ევროკავშირის წევრი,** ვიდრე მისი გაწევრიანება **უნგრეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება.**

„რეზონანსი“

### მაიკ უოლცი

*ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში დონალდ ტრამპის მრჩეველი*



ნატოში **უკრაინის გაწევრიანების საკითხი** დღის წესრიგში არ დგას.

„რეზონანსი“

### ლევან მახაშვილი

*პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე*



**უკრაინაში ომის დასასრული,** სამწუხაროდ, არის იმის გამეორება, **რაც 2008 წელს ვნახეთ,** როცა ომიდან რვა თვისთავზე **ამერიკამ და რუსეთმა თავიანთი ურთიერთობები ისე გადატვირთეს,** თითქოს, დედამიწაზე არაფერი მომხდარა.

„რეზონანსი“

### ვატო შაქარიშვილი

*„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი*



**„გლობალური ომის პარტია“ ტრამპის** ადმინისტრაციის მხრიდან მიღებული დარტყმებისგან **აგონიურ მდგომარეობაშია,** საქართველოში სრულად გაკოტრებულია, ახლა ხავსს ეჭიდება და ეს ხავსი ამ შემთხვევაში **ირაკლი ალასანიაა.** მას შემდეგ, რაც საქართველოში მოქმედი აგენტურული ქსელი სრულად გაიშიფრა და გაცვდა, **დიფ სთეითმა თაროდან ჩამოიღო დამტვერილი სტაჟიანი აგენტი ირაკლი ალასანია.**

„აიპრესი“

### იური ფელშტინსკი

*ისტორიკოსი*



არ არის გამორიცხული, რომ **პუტინი** ნატოს წევრ ქვეყნებს **სამ-ოთხ წელიწადში დაესხას თავს.**

„ახალი თაობა“

# „ბიძინა ივანიშვილის გათვლები იყო არნახულად ზუსტი!“



# აწი დაიწყება!

**— მაინც, როგორი იქნება სამყარო, თუ ტრამპი თავის გადაწყვეტილებებს სისრულეში მოიყვანს — დაამარცხებს ფარულ დასს და მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდება პუტინთან ერთად?**

— პირველ რიგში, მოკლედ და პოპულარულად შევეცდები, აგიხსნათ, რა არის დიფ სთეითი, რომ ზუსტი წარმოდგენა შეგექმნათ მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებზე. ეს არის მილიარდერთა დიდი ჯგუფი, დაახლოებით სამასი მასონური ოჯახი, რომელთა ხელშიც არის კაცობრიობის სიმდიდრის დაახლოებით 70-80 პროცენტი — უზარმაზარი რესურსები და შესაძლებლობები. ისინი, ძირითადად, ებრაელები, ამერიკელები და ბრიტანელები არიან. უფრო მეტად — ებრაელები. მათ ჯგუფში შედის **მაკკეინის ინსტიტუტი, პენტაგონი** თავისი შეიარაღებით, **ფედერალური სარეზერვო სისტემა** თავისი ფულის ბეჭდვით შტატებში და ა.შ. ამ საიდუმლო ჯგუფს მორჩილებაში ჰყავს მსოფლიოს მასმედია, ჯანმო, საბანკო-საფინანსო სისტემები და პოლიტიკოსები როგორც ევროპაში, ასევე ამერიკაში. ეს ბევრისათვის ასე თუ ისე ცნობილია, უცნობი და წარმოუდგენელი გახლავთ ის, რომ **ფარულ დასში** არის ორი დაჯგუფება — კონსერვატიული და ლიბერალური ფრთა. ორივე დაჯგუფება კოლონიზატორია და მათი მიზანი საზოგადოების დამონება და მთლიანი რესურსის ხელში ჩაგდებაა. **ბაიდენი და ევროკავშირი** ლიბერალების ჯგუფს წარმოადგენს და 90-იანი წლებიდან მოყოლებული აქტიურად მუშაობენ ადამიანების აზროვნების გადაგვარებაზე. დიფ სთეითის კონსერვატორების ჯგუფში შედის **ტრამპი** და მისი გუნდი. ესენიც არანაკლები კოლონიზატორები არიან, უბრალოდ, სხვა სისტემით მუშაობენ და ტრადიციების გათვალისწინებით ცდილობენ პატარა ქვეყნების დამონებას. არც დაუმალავს ტრამპს, პირდაპირ განაცხადა — პანამაც, მექსიკაც, კანადაც და გრენლანდიაც მე მინდაო.

ტრამპის გადაწყვეტილებები — ადამიანების სამსახურებიდან გაშვება, პენტაგონიდან გენერლების გაყრა და ა.შ. არის ლიბერალური ნაწილის თავიდან მოშორება და მათ ნაცვლად კონსერვატორების მიყვანა. **დიფ სთეითი** არ მოისპობა, უბრალოდ, ფორმას შეიცვლის, ანუ მსოფლიოში მთავარი ძალა დღესაც **დიფ სთეითია** *(ფარული დასი. რედ.)*, რომელიც არსად არ ჩანს. აი, ეს არის სრული სიმართლე, რაზეც არავინ საუბრობს!

**როგორ ფიქრობთ, ვინ და რატომ მოკლა კენედი?**

**— ცხადია, ფარულ დასზე მიუთითებთ...**

— დიახ, სწორედ მათ მოკლეს კენედი, იმიტომ, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემის თავის დაქვემდებარებაში გადაყვანა უნდოდა. იმავეს ცდილობს დღეს **ტრამპიც**, რასაც ლიბერალური ფრთა ეწინააღმდეგება. 2016 წელს მას საკმარისი გამოცდილება არ ჰქონდა, არჩევნები, ფაქტობრივად, მასმედიამ წააგებინა. **ილონ მასკთან და ცუკერბერგთან** დაახლოებით სურს მასმედიის ხელში ჩაგდება, რათა სრულ გამარჯვებამდე მივიდეს. ჯერჯერობით კოსმოსი მის მხარესაა. გამარჯვების პლანეტა იუპიტერი ტყუპების ზოდიაქოშია, მაგრამ მაინც განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს. მისი სიცოცხლე სერიოზულ საფრთხეშია.

დღეს **ტრამპს** ორი უმნიშვნელოვანესი საკითხი აქვს გადასაწყვეტი — ლიბერალური **დიფ სთეითის** განადგურება და ურთიერთობების დალაგება რუსეთ-ჩინეთთან. **ფარული დასის** ლიბერალურ ფრთას ვერ გაანადგურებს, თუ არ შეასუსტებს მის ბუდეს ევროპაში, ანუ ვიდრე გერმანიაში, საფრანგეთსა და ბრიტანეთში არ შეცვლის მთავრობებს.

ცნობისათვის — **ზელენსკიც** ისევე, როგორც ევროკავშირის სხვა ლიდერები, ლიბერალური **დიფ სთეითის** გამოზრდილია. ის ამ მოლაპარაკებებსა თუ გარიგებებში ზედმეტია და ამაშიც ემთხვევა ამერიკა-რუსეთის ინტერესები. **მოდით, სიმართლე ბოლომდე ვთქვათ — უკრაინა არის რუსეთის ერთ-ერთი ნაწილი. ეს იგივეა, კახეთი რომ გამოყოფოდა საქართველოს და მეორე ნაწილთან ეომა.** კიევის რუსეთიდან იწყება რუსეთის ისტორია. რომელ უკრაინაზე ვსაუბრობთ? დასავლეთ უკრაინა პოლონელებს 400 წელი რომ ჰქონდათ დაპყრობილი, მაშინ შეიტანეს იქ თავისი კულტურა, ენის ნაწილები და შეიქმნა რუსულ-პოლონური ნაზავი — **უკრაინული ენა.**

თუ ჭკვიანად მოიქცევა **ზელენსკი** და ამას უკრაინელებიც დათანხმდებიან, ლონდონში ან რომელიმე კარგ ქვეყანაში მიაბრძანებენ, დიდი ფულის პატრონია და უპრობლემოდ იცხოვრებს. თუ ძალიან გააბრაზებს **ტრამპს,** უბრალოდ, გააგორებენ, დიდი ალბათობით, უკრაინელების ხელით. კიდევ ერთხელ ვამბობ — **ტრამპს** არ აწყობს ეს ომი, პირველ რიგში, თავისი ქვეყნის ეკონომიკისთვის!

**— როგორ უყურებთ საქართველოს მომავალს ამ პოლიტიკურ ქარტეხილებში, ვის რა ინტერესები აქვს ჩვენი ქვეყნის მიმართ და რამდენად სწორ გადაწყვეტილებებს იღებს „ქართული ოცნების“ ხელისუფლება?**

— **ბიძინა ივანიშვილის** გათვლები იყო არნახულად ზუსტი. ხშირად მეუბნებიან, რატომ არ აკრიტიკებ მთავრობას, ყველაფერი მოგწონსო? რასაკვირველია, ყველაფერი არ მომწონს, საკრიტიკო ბევრი აქვს, მაგრამ არა ამ პოლიტიკურ მოცემულობაში. დღეს უკვე გასაგებია, რითია ბევრი პრობლემა გამოწვეული.

**ქვეყანა რომ გადაერჩინა და მშვიდობით მოეყვანა აქამდე, ბიძინა ივანიშვილი იძულებული იყო, დათმობებზე წასულიყო. დიახ, ბევრი რამ დაუთმო დასავლელ ლიბერალებს, რასაც დღემდე ვიმკით, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა.**

დღეს უკვე **ტრამპის** პოზიცია ემთხვევა ჩვენსას. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, რას მოილაპარაკებენ რუსები, ჩინელები და ამერიკელები, ვის ხელში გადავა სამხრეთ კავკასია. იდეალური იქნება, თუ სამივე ქვეყნის კონტროლი გავრცელდება საქართველოზე, მათ შორის, ანაკლიის პორტზე და აქ გამავალ სატრანზიტო გზებზე. საქართველო სრულად დამოუკიდებელი ვერ იქნება. ამას ჩვენი პატარა ქვეყანა კი არა, თურქეთი ვერ აღწევს.

ჯერჯერობით, საქართველოს ხელისუფლება სწორი გზით მიდის. მივესალმები სამშობლოს ღალატის მუხლის აღდგენას. ეს აქამდეც უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ — ხელისუფლება ფრთხილობდა და დღესაც ფრთხილობს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ლიბერალური ევროპა ჯერ ისევ ცოცხალია და გვიპირისპირდება.

ღალატის მუხლის აღდგენა პირდაპირ მიესადაგება **სალომე ზურაბიშვილს, კაპიტან ბიგაურს, ელენე ხოშტარიას, მამუკა ხაზარაძეს** და მათ, ვინც დღემდე დარბის საზღვარგარეთ და ძირს უთხრის ქვეყანას. ეს მუხლი, პირველ რიგში, **მიხეილ სააკაშვილის** წინააღმდეგ უნდა ამოქმედდეს, სანატორიუმში რომ ზის და იქიდან გვიკითხავს მორალს.

ხაზგასმით ვამბობ — ამ ხელისუფლებას გასაკრიტიკებელი ძალიან ბევრი აქვს. კონსტიტუციის ნახევარი მაინც უნდა შეიცვალოს, მაგრამ, ვიდრე მსოფლიო არ დაწყნარდება, დავანებოთ თავი მთავრობის კრიტიკას, მეტიც, გვერდით დავუდგეთ მას, რომ როგორმე გადავაგოროთ ეს კრიტიკული პერიოდი!



## „მოდით, სიმართლე ბოლომდე ვთქვათ:

**უკრაინა არის რუსეთის ერთ-ერთი ნაწილი. ეს იგივეა, კახეთი რომ გამოყოფოდა საქართველოს და მეორე ნაწილთან ეომა!“**

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები

**პიტერ სიიარტო**
*უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი*



**არ არსებობს მიზეზი იმისა, რომ ქართველი პოლიტიკოსი დასანქცირდეს პატრიოტიზმის ან კონსერვატიულობის გამო.** ვფიქრობ, ძალიან უსამართლოა ევროკავშირის მიდგომა საქართველოსადმი და საქართველოს მთავრობისადმი. ამის მიზეზი ძალიან მარტივია — **ბრიუსელში ყველა პატრიოტული, კონსერვატიული, მემარჯვენე მთავრობები სძულთ.**

„იმედინიუსი“

**ნიკოლოზ მეტრეველი**
*ანალიტიკოსი*



დღეს მართლა ომი რომ მომხდარიყო რუსებთან, **სალომე ზურაბიშვილი პირველი გაიქცეოდა** ზუსტად ისე, **როგორც მისი წინაპრები გაიქცნენ.**

„იმედინიუსი“

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



არ არსებობს ზუსტი ტერმინი, რომელიც აღწერს ადამიანს, რომელიც **ცოცხლობს სხვისი ტანჯვით და სიამოვნებას იღებს ტრაგედიებისგან.** სახარებაში მსგავსი ადამიანების ერთობლიობას — **„ლეგიონი“,** ხოლო პოლიტიკაში **ნაცები ეწოდება.**

„იმედინიუსი“

**თამარ ჩიხურაძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ოპოზიციამ **ვერ შექმნა პოლიტიკური კრიზისი** და აქედან გამომდინარე, გადავიდნენ გეგმა „ბ“-ზე, რასაც ჰქვია **საქართველოში ეკონომიკური პრობლემების გამოწვევა.**

„რეზონანსი“

**ერეკლე დეისაძე**
*მწერალი, მომღერალი*



ყველას დედას შე...ცი, **ვინც სხვას მოუწოდებს ომში თავგანწირვისკენ, თვითონ კი ფრონტის ხაზზე არ იმყოფება** და სხვა ქართველების სისხლით უნდა **პირადი კეთილდღეობა და თავისუფლება!**

„მარშალპრესი“

# მათხოვრები

***ქართველი ნაცლიბერალები სულით მათხოვრები რომ არიან, ამის შესახებ დიდი ხანია, ვიცით, მაგრამ ახლა უკვე ფულის მათხოვრობაზეც გადავიდნენ!***

თანაც, **მათხოვრობენ** საჯაროდ და საქვეყნოდ, ყველას გასაგონად და დასანახად, როგორც **ილფისა და პეტროვის „12 სკამის“** პერსონაჟი **კისა ვორობიანინოვი,** რომელიც ქუდგაწვდილი ეხვეწება გამვლელ-გამომვლელს: **„ჟე ნე მანჟ პა სის ჟურ“... „გებენ ზი მირ ბითთე“... „პოდაიტე ჩტონიბუდ ნა პროპიტანიე ბივშემუ დეპუტატუ გოსუდარსტვენნოი დუმი“...**

გამათხოვრებულ ნაცლიბერალთაგან **კისა ვორბიანინოვის** ფუნქცია პირველმა **მიშა მშვილდაძემ** იკისრა, რომელიც ტელეკომპანია „ფორმულას“ ერთ-ერთი დამფუძნებელი გახლავთ, ანუ ერთ-ერთია იმათ შორის, ვინც **კეზერაშვილის** მიერ ქართული ჯარისა და ევროპელი პენსიონერებისათვის მოპარული ფულით საქართველოში ევროპული დემოკრატიის გადასარჩენად იბრძვის.

**მშვილდაძემ,** რომელიც, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და კათოლიკოს-პატრიარქის შეურაცხმყოფელი განცხადებების გამო, ერთხელ ქუჩაში გაძუყნეს, რამდენიმე დღის წინათ „ფეისბუქში“ პოსტი დაწერა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობას მიმართა (სტილი დაცულია. რედ.):

*„მთელი წელი რომ ბაზრობდა **ჟოზეფ ბორელი,** 120 მილიონი ევრო საქართველოს მთავრობის ნაცვლად 2025-ში ენჯეოებს და მედიას უნდა მივცეთო — რაშვებით, გავიდა პირველი კვარტალი, დავიხურეთ ნახევარი მედია და სულს ვღაფავთ დანარჩენი და სანამ მიიღეს ქოცებმა ახალი კანონები, რომლითაც მაგასაც აგიკრძალავენ, ქენით რამე დროზე — **ფული ხო მაინც გაქვთ რაც ნაღდი ვიცით და დაგვეხმარეთ დროზე თუ აპირებთ თორემ უხერხულია ასე დაპირება და მერე გადაგდება.** ვაჰ“.*

**მათხოვრობაც ასე უნდა! ჟე ნე მანჟ პა სის ჟურ!**

ქართული მართლმსაჯულების მიერ ძებნილი და ბრიტანელი ჟურნალისტების მიერ **„მისტერ ოფშორად“** მონათლული **კეზერაშვილი,** როგორც ჩანს, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ **ტელეკომპანია „ფორმულას“** დაფინანსება ფულის წყალში გადაყრაა, რადგან **მიშა მშვილდაძეებმა, ნინო ჟიჟილაშვილებმა, ვახო სანაიებმა და გიორგი თარგამაძეებმა** ნაცლიბერალური რევოლუციის პროპაგანდისტული უზრუნველყოფის საქმეში კიდევ ერთხელ **ჩაისააკაშვილეს და ჩაიგვარამიეს!**

ის კი არა, ქართული ჯარისა და ევროპელი პენსიონერების ნაძარცვი ფულით უხვად დაფინანსებული **„ფორმულა“** ერთ-ერთი ყველაზე დაბალრეიტინგული არხია, ხოლო კეზერაშვილი არც იმის ჩიტია და არც იმ რჯულისაა, მილიონები ტყუილად ფანტოს!

შესაბამისად, **მშვილდაძესა და კომპანიას** ისღა დარჩენოდათ, საჯარო **მათხოვრობაზე** გადასულიყვნენ და გადავიდნენ კიდეც!

ქართული პოლიტიკისა და მედიის **კისა ვორობიანინოვებად** გადაიქცნენ!

**გებენ ზი მირ ბითთე!**
**ჟე ნე მანჟ პა სის ჟურ!**

აკი, ძია **ბორელი** 120 მილიონ ევროს შეგვპირდა და რატომ გადაგვაგდეთო?

**ევროპელო ბიძიებო და დეიდებო, ჩქარა გაიღეთ მოწყალება, თორემ „ქართული ოცნება“ მედიის უცხოეთიდან დაფინანსებას კანონით აკრძალავს და მერე, რომც გინდოდეთ, ცენტსაც ველარ ჩაგვირიცხავთო!**

გარდა იმისა, რომ **მშვილდაძის** ეს განცხადება **მათხოვრობაა,** უცხოური გავლენის აგენტთა თვითილუსტრაციის აქტიც გახლავთ, რადგან უცხოური დაფინანსების მიღება უცხოური ინტერესების მსახურების ვალდებულებას ნიშნავს, ეს კი, თავის მხრივ, ავტომატურად გულისხმობს საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებას, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როცა შეიძლება, უცხოური ინტერესი კონკრეტულ საკითხში საქართველოს ინტერესს დაემთხვეს!

ღმერთმანი, გასაოცარი ამბავია — **კოლექტიურმა მშვილდაძემ,** ანუ ნაცლიბერალურმა სექტამ, რომელიც უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების **გამჭვირვალობას** ეწინააღმდეგებოდა, საქართველოს ხელისუფლების მიერ **გამჭვირვალობის კანონის** მიღების გამო ლამის ქვეყანა დააქცია, ახლა კი უცხოეთს **გამჭვირვალედ ემათხოვრება** — დაპირებული ევროები ჩამირიცხეო!

### ეჰ, ტრამპსა და მის ადმინისტრაციას მიეცათ ქართველი ნაცლიბერალების ცოდვა, „იუსაიდის“ დახურვისა და კოლექტიური მშვილდაძეების გამათხოვრებისათვის!

აბა, ეს არის საქმე?

სულ რაღაც ორი თვის წინათ ქვეყანას აზანზარებდნენ, პარლამენტის შენობას პეტარდებისა და „მოლოტოვის კოქტეილების“ ცეცხლში ხვევდნენ, მარშებს აწყობდნენ და ხელისუფლებას დღეებს უთვლიდნენ, ახლა კი საქვეყნოდ **მათხოვრობენ** — ევროპა ფულს თუ არ მოგვცემს, ჩვენი საქმე წასულიაო!

ისე გამოდის, რომ **ერნესტო ჩე გევარობიდან კისა ვორობიონინოვობამდე** ერთი ნაბიჯი ყოფილა!

**ჟე ნე მანჟ პა სის ჟურ!**
**გებენ ზი მირ ბითთე!**

თუ ევროპიდან ფულის ჩარიცხვა კიდევ ცოტა ხანს დაუგვიანეს, **ნაცლიბერალი კისა ვორობიანინოვები** მერე უკვე სულ სხვა მიმართულებით გაიშვერენ ხელს და იმ სხვის გასაგონად დაიძახებენ — **„პოდაიტე ჩტო-ნიბუდ ნა პროპიტანიე“...**

რა დაუშლით — მორალი, სინდისი თუ პოლიტიკური პრინციპები?!

**კოლექტიური მშვილდაძის მსგავსი სულით მათხოვარი რომ იქნები, მერე უკვე მნიშვნელობა არა აქვს, ვის დაუწყებ ფულის მათხოვრობას!**

მერე უკვე ფულს სუნი არა აქვს!

***ჯაბა ხუბუა***






კისა ვორობიანინოვი მათხოვრობს! – კადრი ფილმიდან „12 სკამი“

## მიშა მშვილდაძე, როგორც კისა ვორობიანინოვი






**კეზერაშვილი, როგორც ჩანს, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ტელეკომპანია „ფორმულას“ დაფინანსება ფულის წყალში გადაყრაა, რადგან მიშა მშვილდაძეებმა, ნინო ჟიჟილაშვილებმა, ვახო სანაიებმა და გიორგი თარგამაძეებმა ნაცლიბერალური რევოლუციის პროპაგანდისტული უზრუნველყოფის საქმეში კიდევ ერთხელ ჩაისააკაშვილეს და ჩაიგვარამიეს!**

## კვირგვინოსნები

**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*„ფედერალისტების“ ლიდერი*



ოპოზიცია **ერთიანი სიით** არ გავა არცერთ არჩევნებში. ამის გარანტიას გაძლევთ. ყველა, ვინც **ერთიან სიას** გისახავთ პანაცეად, არის ყეყეჩი.

„აიპრესი“

**ბონდო მძინარაშვილი**
*ჟურნალისტი*



სამწუხაროდ, **დღეს ჟურნალისტიკა საზოგადოებას დაუპირისპირდა.** ამიტომაც არ მიკვირს ის უნდობლობა, რაც ხალხს მის მიმართ აქვს. **საზოგადოება ჟურნალისტებს მტრებად აღიქვამს,** რაც ჩვენი პროფესიისთვის კატასტროფაა.

„საერთო გაზეთი“

**ჯონდი ბაღათურია**
*„ქართული დასის“ დამფუძნებელი*



**ამ ეშმაკების მსახურებს მომიტინგე ბავშვები ხელიდან როგორმე უნდა გამოვგლიჯოთ!**

თუ დააკვირდით, **მზია ამაღლობელმა შიმშილობა რომ შეწყვიტა,** „მისიანებს“ გული დაწყდათ, რადგან **ერჩივნათ, ეს პროცესი ფატალურად დასრულებულიყო** და მერე უფრო ხმამაღლა ყვირილის საშუალება მისცემოდათ.

„საერთო გაზეთი“

**ბადრი ჯაფარიძე**
*პარტია „ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერი*



არასოდეს არავის მოუთხოვია, რომ **საქართველოს რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობა შეეწყვიტა,** ეს არის ტყუილი და პროპაგანდის გავლენა.

„პირველი არხი“

# ხაზარაძის გეგელნერატი

***რა არ უნდა გააკეთოს პოლიტიკოსმა, რომელიც ოპოზიციის ერთ-ერთ სახედ ითვლება და ხელისუფლებაში მოსვლის გაცხადებული ამბიცია გააჩნია?***

უპირველეს ყოვლისა, თავის მეზობელ სახელმწიფოებს **„ჭაობში მყოფი ქვეყნები“** არ უნდა უწოდოს!

**კიდევ რა არ უნდა გააკეთოს პოლიტიკოსმა, რომელიც ოპოზიციის ერთ-ერთ სახედ ითვლება და ხელისუფლებაში მოსვლის გაცხადებული ამბიცია გააჩნია?**

სულ მცირე, ევროკავშირის წევრი ქვეყნები და მსოფლიოს ერთ-ერთი ზესახელმწიფო **ჭაობს** არ უნდა შეადაროს!

**და თუ ამას გააკეთებს, ესე იგი, პოლიტიკური დეგენერატია!**

მაშასადამე, **მამუკა ხაზარაძის** პარტია „ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერი **გრიგოლ გეგელია პოლიტიკური დეგენერატია!**

უფრო მოხერხებულად რომ ვთქვათ, **გეგელნერატია!**

კი, ასე ჯობია — **გეგელიას დეგენერატიზმი** ერთ სიტყვაში მოვაქციოთ და **გეგელნერატი** ვუწოდოთ!

ჰოდა, **ხაზარაძის გეგელნერატმა,** ხაზარაძის მიერვე დაფინანსებული ტელევიზიის — „ტვ პირველის“ ეთერში გამოსვლისას, **„ჭაობში მყოფი ქვეყნები“** უწოდა იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც საქართველოში 2024 წლის 26 ოქტომბერს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგები აღიარეს და „ქართულ ოცნებას“ გამარჯვება მიულოცეს.

როცა **გრიგოლ გეგელნერატი** ეთერში გაქაფული საუბრობდა — **ივანიშვილის ხელისუფლებას საერთაშორისო ლეგიტიმაცია არ გააჩნიაო,** გადაცემის წამყვანმა **დიანა ტრაპაიძემ** შეახსენა — **სლოვაკეთმა, უნგრეთმა, ჩინეთმა, თურქეთმა, სომხეთმა და აზერბაიჯანმა „ქართული ოცნების“ ლეგიტიმაცია აღიარესო!**

თუმცა, **ხაზარაძის გეგელნერატი** არ დაიბნა და იქვე უპასუხა:

> *„ავტოკრატიული, დიქტატორული, ჭაობში მყოფი ქვეყნები. ასევე ირანი გავიხსენოთ, კარგი მაგალითია“.*

გადაცემის წამყვანი უმალ მიხვდა, რომ მისმა რესპონდენტმა დიდი სისულელე დააბრეხვა და **გეგელნერატს** მორიდებული რეპლიკა ესროლა — **ვისაც ხელისუფლებაში მოსვლა სურს, მეზობლებს ჭაობს არ უნდა უწოდებდესო!**

მართლაც **გეგელნერატი უნდა იყო,** რომ ხელისუფლებაში მოსვლა გინდოდეს და **ჭაობს** უწოდებდე სომხეთს, აზერბაიჯანს, თურქეთსა და ირანს, რომლებთან კეთილმეზობლური, პრაგმატული და სტრატეგიული ურთიერთობების გარეშე საქართველოში მშვიდობის, სტაბილურობისა და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა შეუძლებელია!

მართლაც **გეგელნერატი უნდა იყო,** რომ საქართველოს მართვაზე გქონდეს პრეტენზია და **ჭაობს** ეძახდე მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ გიგანტს — ჩინეთს, რომელთანაც საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულება აკავშირებს!

**მართლაც გეგელნერატი უნდა იყო,** რომ ქართული სახელმწიფოს მესაჭეობა გსურდეს და სლოვაკეთსა და უნგრეთს, რომელთა თანხმობის გარეშე ევროკავშირში ვერცერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ვერ მიიღება, **ჭაობს** ადარებდე, თანაც მაშინ, როცა ისინი ევროპაში აშშ-ის დღევანდელი ადმინისტრაციის მთავარი მოკავშირეები არიან!

მოკლედ, ლელოელი გრიგოლი **აბსოლუტური გეგელნერატია,** მაგრამ უფრო დიდი უბედურება ის არის, რომ არც **გეგელნერატის პარტიული ბოსები** ბრძანდებიან მასზე ჭკვიანები და წინდახედულები.

მაგალითად, იგივე **მამუკა ხაზარაძეს** აზრადაც არ მოსვლია, მისი **გეგელნერატის** სიბრიყვე როგორმე გაენეიტრალებინა და ეთქვა — ჩემი თანაპარტიელი შეცდა, როცა ჩვენს მეზობელ და მოკავშირე ქვეყნებს **ჭაობი** უწოდა, მე ასე არ ვფიქრობ და ეს ჩემი პარტიის პოზიცია არ არისო!

შეიძლება, **ხაზარაძეც** თავისი **გეგელნერატივით** ფიქრობს და სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, ირანი, ჩინეთი, უნგრეთი და სლოვაკეთი მასაც **ჭაობად** მიაჩნია, მაგრამ იმდენი ჭკუა და პოლიტიკური პრაგმატიზმი ხომ უნდა ჰქონდეს, რომ **გეგელნერატი თანაპარტიელის** მავნებლურ სიბრიყვეს გაემიჯნოს?!

ამასწინათ, ერთმა ცნობილმა კაცმა პრივატულ საუბარში გვითხრა — **შეერთებულ შტატებში ყოველი ვიზიტისას ხაზარაძეს გეგელია თან იმიტომ მიჰყავს, რომ მის ფონზე უფრო ჭკვიანი გამოჩნდესო!**

შეიძლება, ასეც არის — ადვილია, **გეგელნერატის** ფონზე ჭკვიანი გამოჩნდე, თუ, რა თქმა უნდა, თავადაც **გეგელნერატი** არ ხარ!

თუმცა, **გეგელნერატის პარტიული ბოსის — მამუკა ხაზარაძის** პოლიტიკურ მოსაქმეობას არაფერზე არ ეტყობა, რომ თვითონაც **გეგელნერატი** არ არის!

**ხაზარაძე და მისი გეგელნერატი,** რომლებიც საქართველოს მეზობელ და მეგობარ სახელმწიფოებს **„ჭაობში მყოფ ქვეყნებს“** ეძახიან, თავად იმყოფებიან პოლიტიკურ ჭაობში, საიდანაც ამოსვლა არ უწერიათ!

რაც ყველაზე მთავარია, **გრიგოლ გეგელნერატი,** რომელიც საქართველოს მეზობელ და მეგობარ სახელმწიფოებს „ჭაობში მყოფ ქვეყნებს“ უწოდებს, არამხოლოდ ხაზარაძის პარტიის, არამედ მთელი კოლექტიური ნაცმოძრაობის კრებსითი სახეა!

**თენგიზ აბულაძის** გენიალურ ფილმში **„მონანიება“** ვარლამ არავიძის კუბოსთან მდგარი ერცახე ცერეცო ამბობს — **ბატონ ვარლამს ჰქონდა საოცარი უნარი, მტერი მოყვარედ ექცია, ხოლო მოყვარე — მტრადო...** კოლექტიური ნაცმოძრაობის **გეგელნერატებს,** ვარლამ არავიძისაგან განსხვავებით, არ ძალუძთ, მტერი მოყვარედ გაიხადონ, მაგრამ იმავე ვარლამ არავიძის მსგავსად, შეუძლიათ, მოყვარე მტრად გადააქციონ!

ღმერთი რომ გაწყრეს და **კოლექტიურ გეგელნერატებს** ხელისუფლებაში მოსვლა ეღირსოთ, საქართველოს ყველა მეზობელსა და მოკავშირეს საქართველოს მტრად გადააქცევდნენ!

თუმცა, მადლობა ღმერთს, ვარლამის ქუჩით მავალი **გეგელნერატების გზა** საქართველოს ხელისუფლებისკენ არ მიდის!

***ჯაბა ხუბუა***



გრიგოლ გეგელია

**გრიგოლ გეგელნერატი არამხოლოდ ხაზარაძის პარტიის, არამედ მთელი კოლექტიური ნაცმოძრაობის სახეა!**



გრიგოლ გეგელია და მამუკა ხაზარაძე

**ხაზარაძე და მისი გეგელნერატი, რომლებიც საქართველოს მეზობელ და მეგობარ სახელმწიფოებს „ჭაობში მყოფ ქვეყნებს“ ეძახიან, თავად იმყოფებიან პოლიტიკურ ჭაობში!**

## კვირგვინოსნები

**გოგა ხაინდრავა**
*კონფლიქტოლოგი*



**ევროკავშირი ვერ შეეგუება ძალადობას, დაუსჯელობასა და დაშინებას,** რომელიც 3 თვეა გრძელდება, — განაცხადა ევროკავშირის ელჩმა **ჰერჩინსკიმ. არც ჩვენ შევეგუებით აწი თქვენნაირ ფლიდ და ცილისმწამებელ პერსონებს!** დღემუდამ შეგახსენებთ, რომ **განუკითხაობა და თავხედობა, რასაც თქვენ განასახიერებთ,** დასრულდა!

„რეპორტიორი“

**გიორგი ბადრიძე**
*ექსპერტი*



დასავლეთის და, პირველ რიგში, **ევროპის პრობლემა იმაშია,** რომ მათ უჭირთ დაპირისპირება იმ **ავტორიტარულ ღერძთან,** რომელსაც წარმოადგენენ **ჩინეთი და რუსეთი.** ან გამოფხიზლდებიან, **ან დადგებიან გეოპოლიტიკური კატასტროფის წინაშე.**

„კვირის პალიტრა“

**თენგიზ ფხალაძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი*



თუ უკრაინის საკითხზე **ტრამპი და პუტინი** ვერ შეთანხმდებიან, მაშინ **პუტინს სჭირდება სხვაგან უფრო მეტი წარმატება, ვიდრე ის მიაღწევს უკრაინაში.** ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, თავდამსხმელი და მტაცებელი **თავს ესხმის ყველაზე სუსტსა და დაუცველს,** რეგიონში კი დღეს **ყველაზე სუსტი და დაუცველი,** ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი, **საქართველოა.**

„კვირის პალიტრა“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*ყოფილი სახელმწიფო მინისტრი*



**საქართველოს ბედი,** ჩვენი ურთიერთობა „ქართულ ოცნებასთან“ **არ არის დამოკიდებული არც ტრამპზე, არც ამერიკაზე, არც ვაშინგტონზე, არც ევროპასა და არც რუსეთზე!** ჩვენ ვწყვეტთ ჩვენს ბედს!

„ახალი თაობა“

# ლეგენდარული ალპინისტების ვოი!




ვოი! რა უფერულია
სიკვდილი ლოგინში!
ვოი! რა საშინელია
სიკვდილი ლოგინში!
ისიც ლოგინში მომკვდარა,
ოღონდ —
ყინულის ლოგინში!

ვოი! კალა-უშგული შეკრებილა,
ვოი! ყანას და სათიბს მოშცდარა.
მთელი სვანეთი შეკრებილა,
მთლად საქართველო შეკრებილა,
შხარასთან ღრუბელივით
მომდგარა...
ვოი! შხარა სისხლით შეღებილა —
კოხტა თიკანაძე მომკვდარა...

ბექნუ ხერგიანს და
ბექნუს ლომებს
გურამის ნეშტი
უპყრიათ ხელში,
ბექნუ ხერგიანს და
ბექნუს ლომებს
მშრალი ბურთები
გასჩრიათ ყელში...

გურამ თიკანაძეს
შხარა აუღია, —
რაც მოხდა,
დაშვებისას მომხდარა:
საკუთარ ხელით
პალო დაუგია,
საკუთარ
პალოზე მომწყდარა...

ცოცხლისგან საყვედური აუგია —
თოკი — ერთადერთი ჩაუბია,
თავი — სიმამაცით წაუგია,
ვოი-ვო! სიმამაცით მომკვდარა!..

ბექნუ ხერგიანს და
ბექნუს ლომებს
გურამის ნეშტი
უპყრიათ ხელში,
ბექნუ ხერგიანს და
ბექნუს ლომებს
მშრალი ბურთები
გასჩრიათ ყელში...

— „ხოჩა საკაცე გამითალეთ,
დავაწყო ხორცი და ძვალი!
სიკვდილი
სიცოცხლედ ჩამითვალეთ
აღმართში — კვნესით ამიტანეთ,
ვაკეზე — მითხარით ზარი!..“

უშგულში გამოვარდა
ივდითი ნიჟარაძე,
შეჰკივლა, გაიკაწრა ლოყა,
ფოსტლების ფლატუნით
უხნესი დიაცი
საკაცეს ფეხდაფეხ მოჰყვა:

— „თეთნულდმა რა მოგცა?!
უშბაზე რა გქონდა?!
შხარაზე რა გინდოდა, გმირო?!
ვო, გურამ,
რამხელა ბეჭები დაგქონდა —
რამ დაგაპატარავა, შვილო?!“

ასი ცხენოსნით
უშგული გახლავს
და ბეჭზე მიდევს
შენი საკაცე...
შენ დაგეუფლა
ძილი და დაღლა,
შენ დასახარჯი
უკვე დახარჯე...
შენ გაიელვე
ღრუბლებზე მაღლა,
შენ საქართველოს
ღამე გახაზე...
ასი ცხენოსნით
უშგული გახლავს
და მიტივტივებს
შენი საკაცე...

ვოი! რა უფერულია
სიკვდილი ლოგინში!
ვოი! რა საშინელია
სიკვდილი ლოგინში!
ისიც ლოგინში მომკვდარა,
ოღონდ —
ყინულის ლოგინში!

გურამ თიკანაძეს
შხარა აუღია,
რაც მოხდა,
დაშვებისას მომხდარა:
თავი სიმამაცით წაუგია,
ვოი-ვო, გურამი მომკვდარა...
ცოცხლისგან
საყვედური აუგია,
ჩაუქი — მკვდარიც ჩაუქია!
ვარსკვლავი
ვარსკვლავებს მომწყდარა!

**მურმან ლებანიძე**

## ივანე ჯაფარიძე:

***ლეგენდარულ მთამსვლელ ჯაფარიძეთა მემკვიდრე ივანე ჯაფარიძე ქართული ალპინიზმის ისტორიის შესახებ თხრობას განაგრძობს:***

— ახალგაზრდობას ყოველთვის ჰყავდა და ჰყავს თავისი კერპები, თავიანთი ცხოვრების წესის ერთგვარი კანონმდებლები, რომელთა ცხოვრების სტილიც მიბაძვის საგანს წარმოადგენს. გასული საუკუნის 60-იანი წლების ქართველი ახალგაზრდებისათვის ასეთი კერპი იყო მოგზაური და მთამსვლელი, მოთხილამურე, მოკრივე, ფოტოხელოვანი და ჟურნალისტი **გურამ თიკანაძე.** სად არ შეხვდებოდით მას თავისი განუყრელი ფოტოაპარატითა და წერაყინით ხელში, მეგობრობდა საუკუნეს მიტანებულ მოხუცებთან და სრულიად პატარა ბავშვებთანაც. განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა სვანეთთან და სვანებიც დიდი სიყვარულით პასუხობდნენ. წერდა: **მთასთან და ყინულთან მეტ საერთოს ვნახულობ, ვიდრე ბართან და ზღვასთანო.** საკუთარ თავს ხშირად უსვამდა კითხვას — გეოლოგიაში დარჩენილიყო, ფოტორეპორტიორობისათვის მოეკიდებინა ხელი თუ ოპერატორობისათვის... ამბობდა — მგონი, დინება ფოტორეპორტაჟთან მიმიყვანსო...

ხალხის მეხსიერებაში **გურამ თიკანაძე** დარჩა უშიშარ რაინდად, რომელმაც სიცოცხლე **შხარას საუფლოში** დაასრულა. **შხარა** იყო მისი უკანასკნელი მწვერვალი. 1955 წლიდან მას უკვე კავკასიონის მწვერვალებზე ვხედავთ, ორი წლის შემდეგ კი მეხუთე კატეგორიის სირთულის მწვერვალებსაც შეუტია. 1958 წელს **გრიგოლ გულბანის** ხელმძღვანელობით, კავკასიონზე განახორციელა ფასის მთა-ჯანღის ტრავერსი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი გახდა. 1961 წელს ხელმძღვანელობდა უშბის ორივე მწვერვალის ტრავერსს...

**— იმ ზაფხულს, როდესაც გურამ თიკანაძე დაიღუპა, თქვენც სვანეთში იმყოფებოდით...**

— ეს იყო 1963 წლის ზაფხული, რომელიც ჩემს მეხსიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდა. ივლის-აგვისტოში თითქმის ყველა ქართველი მთამსვლელი ზემო სვანეთში იმყოფებოდა. ჩვენი 25-კაციანი ექსპედიცია სოფელ უშხვანარში, „უშბის დიასახლისის“ **მაკრინე ქურდიანის** ოჯახში იყო დაბინავებული, ხოლო მეორე ჯგუფი, სადაც **გურამ თიკანაძე** ირიცხებოდა — სოფელ უშგულში. გახშირებუ-







## კვირგვინოსნები

**ბაჩო ოდიშარია**
*ეროვნული კინოცენტრის ფილმწარმოების დეპარტამენტის უფროსი*



ის ადამიანები, ვინც რამდენიმე თვის **წინ აღფრთოვანებული იყვნენ ამერიკის საელჩოს მიერ გამოქვეყნებული ქარდებით,** დღეს ამბობენ, რომ **ამერიკაში მოვიდა რუსეთუმე და „ქოცური“ რეჟიმი.** „TV იმედი“

**ზურაბ ბატიაშვილი**
*ანალიტიკოსი*



„ოცნება“ ცდილობს, **დასავლეთთან ყველა კავშირი გაწყვიტოს.** საქართველოს ხელისუფლება **დავალებებს პირდაპირ მოსკოვიდან იღებს.**

„ახალი თაობა“

**ირმა სოხაძე**
*მომღერალი*



სადღაც **ვიღაცამ რომ ნაცი მიწოდა,** სიცილით მოვკვდი, **როგორ შეიძლება, მე ნაცი მიწოდო?** მაშინ რატომ იყავი ჩუმადო — დამიწერეს. ჩუმად როგორ ვიყავი? **მაშინ მართლა ძალიან ძნელი იყო საკუთარი პოზიციის დაფიქსირება,** მაგრამ არაერთხელ დავაფიქსირე.

„თბილისელები“

**ნინო ლაცაბიძე**
*რუსთავის მერი*



**პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის მხარდაჭერით,** რუსთაველი სტუდენტების მოთხოვნა შესრულებულია და დღეიდან **რუსთავიდან თბილისში, უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმართულებით, მუნიციპალური ავტობუსები იმოძრავებენ.**

„რუსთავი-2“

# მემკვიდრე მოგვითხრობს



## გურამ თიკანაძე

მ თ ა ო, გადმიშვი! ვინ იცის, რამდენჯერ უთქვამს, როცა მაღალ მწვერვალებს მისდგომია დასაპყრობად. უყვარდა სტიქიონთან შებმა, ზვავებისა და ღრუბლების სამეფოში შეჭრა, სამშობლოს ლამაზი პეიზაჟების გადაღება. იგი ხომ მამაცი მთამსვლელი, შესანიშნავი ჟურნალისტი, ერთ-ერთი ბრწყინვალე ფოტოხელოვანი იყო.

გურამ თიკანაძე!

გულისტკივილით ვიგონებთ ამ უდროოდ დაღუპულ, უაღრესად გულისხმიერ, კეთილშობილ, სიცოცხლით სავსე, თავაზიან, ნიჭიერ ახალგაზრდას, რომელიც მოულოდნელად წავიდა ჩვენგან. იგი მუდამ სიახლის ძიებით, ჩვენი მრავალფეროვანი სინამდვილის სრულყოფილი, ჭეშმარიტად მხატვრული ასახვით იყო გატაცებული. რამდენი კარგი ნამუშევრით გაახარებდა ჩვენს ხალხს, მთებში მუხთალ სიკვდილს რომ არ მოესწრო!

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იცნობენ გურამ თიკანაძის საუცხოო ფოტოებს, რომლებმაც დიდი მოწონება დაიმსახურეს როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ. მისმა „თბილისის ზღვამ" ბრინჯაოს მედალი მიიღო [illegible] ქალაქ მო[illegible], სადაც 45 ქვეყნის 1 200-ზე მეტი ფოტოხელოვანის შემოქმედება იყო გამოფენილი.

დაუვიწყარია გურამ თიკანაძის ეტიუდები „ოლე", „ცისკარი", „შრომის გზაზე", „მოხუცის პორტრეტი" და მრავალი სხვა, რომლებიც გაბნეულია ჩვენი სამშობლოს ილუსტრირებულ ჟურნალებში, ყოველდღიურ გაზეთებში. იგი უმთავრესად ფერადი ფოტოს ოსტატი იყო, და ყოველივეს, რასაც იღებდა, იღებდა პოეტური გააზრებით, თავისებური კომპოზიციით.

გურამ თიკანაძის შემოქმედებითი ცისკარი ახლა იწყებოდა, მაგრამ მან გაინაწილა გმირი მასწავლებლის ხვედრი, ჩვენი სახელოვანი ალპინისტის ალიოშა ჯაფარიძის ნაკვალევზე დალია სული დაუცხრომელი ნების ხელოვანმა. მშობლიურ მიწას ებარება მისი ნეშტი, მაგრამ ადამიანთა გულში რჩება ამ ნიჭიერი ახალგაზრდის სპეტაკი ხსოვნა და უზომო სიყვარული.

გაზეთი „კომუნისტი". 1963 წლის 7 სექტემბერი




ლი მარცხების გამო, საკავშირო ფედერაციამ იმ წელს საკვალიფიკაციო ასვლები აკრძალა, თუმცა, შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალა და განაცხადეს, რომ მთამსვლელებს მიეცემოდათ ასვლების გაგრძელების ნებართვა. სწორედ ამ იმედით შეიკრიბნენ ქართველი მთამსვლელები ზემო სვანეთში. თვეზე მეტი ლოდინსა და სავარჯიშო ასვლებში გაილია.

10 აგვისტოს ჩრდილო კავკასიის ბანაკებიდან **გურამ თიკანაძე** უშგულში ჩავიდა და ამბავი ჩაიტანა — ჩრდილო კავკასიის ბანაკებში საკვალიფიკაციო ასვლების ნებართვა მიიღეს და ცოტა ხანში ჩვენთანაც უთუოდ მოვაო. ამ ნებართვის მიღების მოლოდინში, გურამის ინიციატივით, უშგულის ჯგუფმა სვანეთის დედოფალი — **თეთნულდი** დალაშქრა, ხოლო მწვერვალიდან დაბრუნების შემდეგ, ის პირდაპირ მესტიაში წავიდა ამბის გასაგებად. **აგვისტოს ნახევარი უკვე გასული იყო, მთამსვლელები სეზონს დამთავრებულადაც კი თვლიდნენ, როცა მესტიაში შხარაზე ასვლის ნებართვა მოვიდა.**

**— გურამ თიკანაძის ჯგუფმა მაინც გარისკა...**

— 22 აგვისტოს, **გურამ თიკანაძის** ხელმძღვანელობით, **ივანე წიკლაური, თამაზ ბაქანიძე, ვალიკო ფოფხაძე და გიორგი კობიძე** შხარას დასავლეთ კედლისაკენ დაიძრნენ. 26 აგვისტოს უკვე **შხარის კედზე** ავიდნენ, მაგრამ გაავდრდა და უკან გამობრუნებულებს გზაში დააღამდათ. კლდის ძირში გაათიეს. 27 აგვისტო მზიანი დღე კი გათენდა, მაგრამ კლდოვან კედელზე დაშვებისას ქარი ამოვარდა და თოვა დაიწყო. **გურამი** კლდეში პალოს დასარჭობ ბზარს ეძებდა. ბოლოს მონახა, ჩააჭედა კიდეც, კარაბინი გამოსდო, თოკი გაუყარა და „დიულფერით" დაშვება დაიწყო. მაგრამ მოულოდნელად კლდის ბზარიდან პალო ამოვარდა და გურამი თოკთან ერთად უფსკრულში გადაეშვა.

ის დღე შავად დაღამდა შხარის თეთრ სამყაროში. ეს იყო ყველასთვის თავზარდამცემი ამბავი, რომელმაც უშხვანარშიც ამოაღწია. ყველანი უშგულისაკენ დავიძარით, ჩვენი ექსპედიციის წევრებმა ხანმოკლე საგანგებო თათბირი გამართეს. მამიდაჩემს **ალექსანდრა ჯაფარიძეს** სთხოვეს, ეს შემზარავი ამბავი თბილისში ჩაეტანა. იმ დღეს **ალექსანდრასთან** ერთად მეც სატვირთო თვითმფრინავით გამოვფრინდი თბილისში, რადგან სხვა ტრანსპორტი არაფერი იყო. **მეტად მძიმე იყო, გურამის ოჯახისა და სრულიად საქართველოსთვის გვეცნობებინა, რომ შხარაზე დარჩა 30 წლის ლამაზი, ახოვანი, ცისფერთვალება გურამ თიკანაძის ვაჟკაცური სული.**

**— რას თვლიან ამ ტრაგედიის მიზეზად?**

— კლდის ბზარიდან პალო თოკთან ერთად ამოვარდა. გურამის ჯგუფის წევრი **თამაზ ბაქანიძე** ამ ამბავს ასე იხსენებდა: *გურამის მეწყვილე, ასვლისას მასთან ერთად თოკში ჩაბმული ვიყავი. **ვიცოდით, რომ იმ დროისათვის მას დიდი ნერვიულობა შეხვდა, მაგრამ ჩვენთან არ იმჩნევდა...** ყოველივე დაშვებისას მოხდა, დაახლოებით 4 800 მეტრ სიმაღლეზე ვიყავით, ფრიალო, შვეული კედელი გვქონდა გასავლელი. პალო თავად **გურამმა** დაამაგრა. ბიჭები ურჩევდნენ, მეორე პალოც ჩაერჭო, მაგრამ... დაშვება დაიწყო. უცებ თოკი და პალო ამოვარდა. დავინახეთ, როგორ მოწყდა გურამი და ქვევით გაფრინდა. პირველი დაცემისას ხელებით შეეცადა ვარდნის შემცირებას, შემდეგ მეორედ დაეცა, მთელი სამასი მეტრით ქვემოთ ჩაიქროლა. წამომცდა: მივეშველოთ-მეთქი, მაგრამ **ვანო წიკლაურის** ცრემლიან თვალებს რომ შევხედე, გონს მოვედი, მივხდი, რომ გურამი აღარ იყო.*

**— ვინ ამოასვენა მისი ცხედარი?**

— მთამსვლელთა ჯგუფმა **ბექნუ ხერგიანისა და ჭიჭიკო ჩართოლანის** მეთაურობით! პალო, რომელზეც **გურამ თიკანაძე** მოწყდა, ცნობილმა მთამსვლელმა **დიმიტრი დანგაძემ** ჩამოიტანა შხარადან ამ მწვერვალზე ასვლის შემდეგ. **ამ ზაფხულს გურამ თიკანაძის დაღუპვიდან 62 წელი სრულდება, ხოლო 12 სექტემბერს მისი დაბადების დღეა, იგი 93 წლისა გახდებოდა.**



**— რას ამბობდნენ გურამ თიკანაძის ოჯახის წევრები, მეგობრები...**

— გურამ თიკანაძის და **რუსუდან თიკანაძე** იხსენებდა ძმის ინტერესებს. გურამს ფოტოაპარატი ФЕД-ი ჰქონია და სულ იმას უჩხიკინებდა, ჩაბნელებულ ოთახში საათობით იკეტებოდა და ფოტოებზე მუშაობდა... მთებით დაინტერესებულა თბილისის პიონერთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტში სწავლისას. თიკანაძის ფოტოები იმარჯვებდა საერთაშორისო კონკურსებში, თუმცა, ამ ფოტოებს თვითონ არ აგზავნიდა. მისმა ფოტომ **„ტკბილი ნესვი"** ერთ-ერთ გამოფენაზე პირველი ადგილი აიღო, პრემიასთან ერთად ფულადი ჯილდოც დაიმსახურა და ახალი ფოტოაპარატი „ქენონიც" აჩუქეს. თურმე, ამ ფოტოაპარატს ისეთ ადგილას ინახავდა, ვერავინ ეკარებოდა.

**გურამ თიკანაძის** მეგობარი იყო მოქანდაკე **გოგი ოჩიაური.** ჯერ კიდევ სამხატვრო აკადემიაში სწავლისას **გიგლა ფირცხალავა** მისულა მასთან და უთქვამს: არ გინდა, ჰერმესი გაჩვენო, ამაზე ლამაზი ღმერთი ანტიკურ სამყაროს არ ჰყოლიაო. თურმე, გიგლა გურამს მოდელად იყენებდა, ძერწავდა. **გოგი ოჩიაური** იხსენებდა, **გურამ თიკანაძეზე** ლამაზი ახალგაზრდა ჯერ არ მენახაო. ის და გურამი ერთად დადიოდნენ სანადიროდ შუაფხოში, ოღონდ გურამი ფოტოაპარატით იყო შეიარაღებული. თავისი ავტომანქანა „ვოლგით" სულ თან დაატარებდა თავის პატარა შვილს — **იას.** ერთხელ ბავშვი მანქანაში დატოვა, გოგისთან ავიდა, ჭაღზე გადამწვარი ნათურები გამოცვალა და უსიტყვოდ გამოვიდა მათი სახლიდან. გოგი ამბობდა — **სინათლე დაგვიტოვა და წავიდა, ეს იყო ჩვენი ბოლო შეხვედრაო.**

არ მავიწყდება სპელეოლოგ **ჯუმბერ ჯიშკარიანის** ემოციური სიტყვები, როცა ამერიკიდან ტელეფონით ჩართვისას მითხრა: 1959 წელს გეოგრაფიის ინსტიტუტში დავიწყე მუშაობა, სადაც გურამი მუშაობდა, სწორედ მის მაგიდასთან დამსვესო. თურმე, მაგიდის უჯრებში გურამის ხელით შევსებული ფორმულარები ინახებოდა.

გურამ თიკანაძის უფროსი მეგობარი **ლევან გოთუა** მასზე წერდა: *„შენ სამეგობროდ იყავ გაჩენილი, იშვიათად შემხვედრია ცხოვრებაში ასეთი სამოყვასო მომხიბლაობა".* ლევანსა და გურამს **კოტე ჯავრიშვილთან, ატე ნემსიწვერიძესთან, სარგის ცაიშვილთან, გივი გაფრინდაშვილთან, გივი ყალაბეგიშვილთან, ნოდარ ებრალიძესთან** და სხვებთან ერთად შემოვლილი ჰქონდათ ქობთავისა და თრეხვის, ხვამლის, ქციის, გომარეთისა და რკონის ქვაბ-სახიზრები. გურამმა შემოგვინახა **ლევან გოთუას** განუმეორებელი პორტრეტები სხვადასხვა მოგზაურობასა თუ არმაზის სანახებში აღბეჭდილი.

**გურამ თიკანაძე** საქართველოს ისტორიაში დარჩა როგორც გამორჩეული, ზნეობით შემკული პიროვნება და ღირსეული მამულიშვილი. მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად გურამ თიკანაძის სახელი ეწოდა ერთ-ერთ ლამაზ მწვერვალს კავკასიონზე, ჭაუხების მასივში. მისი სახელობისაა ახალგაზრდული კლუბი მესტიის რაიონის სოფელ ლატალში, დაწესებულია სახალხო დღესასწაული **გურამობა.**

ესაუბრა
***ქეთევან ხამიტაშვილი***

***გაგრძელება იქნება***

## კვირგვინოსნები

**გელა ნიკოლაიშვილი**
*„ერთიანი ნაციონალური საქართველოს", ერთ-ერთი დამფუძნებელი*



გვეუბნებიან — **300-400 ათასი ხმა გაყალბდაო,** რაც აბსოლუტური სისულელეა. **ამის დამადასტურებელი ვერავინ ვერაფერი მოიტანა.**

„ახალი თაობა"

**მერაბ დვალიშვილი**
*UFC-ის ქართველი ჩემპიონი*



**მე ვარ ერთი რიგითი ქართველი,** რომელსაც უყვარს ჩვენი სამშობლო და ქართველი ხალხი. **არასოდეს ვყოფილვარ არცერთი პარტიის წევრი ან რომელიმე მხარეს.** არც არასოდეს ვაპირებ პოლიტიკაში წასვლას, ან რომელიმე მხარეს დადგომას.

„რეზონანსი"

**უსმან დემბელე**
*პსჟ-ის ფეხბურთელი*



**კვარაცხელია** შესანიშნავი ფეხბურთელია და **მასთან ერთად თამაში ძალიან იოლია.** პსჟ-ში მხოლოდ უმაღლესი დონის ფეხბურთელები თამაშობენ, თუმცა, **კვარაცხელია მაინც ბევრისგან გამოირჩევა.**

„ახალი თაობა"

**დავით კიხელიძე**
*ექსპერტი*



**ბიძინა ივანიშვილი** სამშობლოს არ გაყიდის და **საქართველოში მეორე ფრონტი არ გაიხსნება!**

„საქართველოს რესპუბლიკა"



# ქართულენოვანი ვიკიპედიისათვის საქართველოს პრეზიდენტი კვლავაც სალომე ზურაბიშვილია!

სალომე ზურაბიშვილი



სალომე ზურაბიშვილი 2020 წელს

საქართველოს მე-5 პრეზიდენტი

ამჟამინდელი თანამდებობა

დაიკავა 16 დეკემბერი, 2018

***როგორც საქმეში ჩახედული ადამიანები ამტკიცებენ, მსოფლიოს უმსხვილესი ონლაინ-ენციკლოპედია ვიკიპედია, რომელსაც ამერიკული ორგანიზაცია „ფონდი ვიკიმედია" მართავს, ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს პროექტია.***

სალომე ზურაბიშვილი

სტატია განხილვა

მასალა ვიკიპედიიდან — თავისუფალი ენციკლოპედია

სხვა მნიშვნელობებისთვის იხილეთ ზურაბიშვილი.

ვიკიპედია
თავისუფალი ენციკლოპედია

**სალომე ზურაბიშვილი** (დ. 18 მარტი, 1952, პარიზი) — საფრანგეთისა და საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს მე-5 პრეზიდენტი, საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი (მთაწმინდის ოლქის დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატი 2016-2018 წლებში), საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი 2004 წლის მარტიდან 2005 წლის ოქტომბრამდე, საფრანგეთის ელჩი საქართველოში 2003-2004 წლებში.

სხვანაირად რომ ვთქვათ, **ვიკიპედია** მიიჩნევა ამერიკული სპეცსამსახურების პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ინსტრუმენტად მსოფლიოში საკუთარი გავლენებისა და ინტერესების გასავრცელებლად.

კიდევ უფრო თუ დავაკონკრეტებთ, საერთაშორისო ონლაინ-ენციკლოპედია **ვიკიპედია,** რომელიც დღეისათვის 306 ენაზე ფუნქციონირებს, ე.წ. რბილი ძალის შემადგენელი ნაწილია და ჰიბრიდული ომების საწარმოებლად გამოიყენება ისევე, როგორც, მაგალითად, იუსაიდის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები, მედიასაშუალებები და ფონდები.

იქიდან გამომდინარე, რომ უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში ლიბერალური ძალები ბატონობდნენ და ე.წ. **დიფ სთეითი, ანუ ფარული დასი** განუზომელ ძალაუფლებას ფლობდა, **ვიკიპედიაც,** როგორც პოლიტიკური და იდეოლოგიური იარაღი, მათ ინტერესებზე იყო მორგებული.

ცხადია, **ვიკიპედია,** როგორც აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს პროექტი, ე.წ. რბილი ძალის ფუნქციას ტრამპის ადმინისტრაციის პირობებშიც შეინარჩუნებს, მაგრამ იმავე ტრამპის ადმინისტრაციის მიერ ე.წ. **დიფ სთეითის, ანუ ფარული დასის** წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლას თუ გავითვალისწინებთ, სავარაუდოა, რომ საერთაშორისო ონლაინ-ენციკლოპედიას ლიბერალური პროპაგანდისტის ფუნქცია ჩამოსცილდება.

როცა ეს მოხდება და, იმედია, რომ ნამდვილად მოხდება, ლიბერალური პროპაგანდის გავლენისაგან გათავისუფლდება **ვიკიპედიის ქართულენოვანი რედაქციაც,** რომელიც დღეს ისევ ლიბერალური, უფრო ზუსტად კი, ნაცლიბერალური განწყობის სუბიექტთა ხელშია.

საერთაშორისო ონლაინ-ენციკლოპედიის ქართულენოვანი განყოფილება ნაცლიბერალურ ნარატივში რომ ზის, ამას თუნდაც ის ფაქტი მოწმობს, რომ **სალომე ზურაბიშვილი,** რომელსაც საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადა ორი თვის წინათ ამოეწურა, **ქართულ ვიკიპედიაში** კვლავ საქართველოს მოქმედ პრეზიდენტად არის მოხსენიებული.

მიხეილ ყაველაშვილი



პირადი მონაცემები

| | |
|---|---|
| სრული სახელი | მიხეილ ყაველაშვილი |
| დაბადების თარიღი | 22 ივლისი, 1971 (53 წლის) |
| დაბადების ადგილი | ბოლნისი, საქართველოს სსრ, სსრ კავშირი |
| სიმაღლე | 180 სმ |
| სათამაშო პოზიცია | თავდამსხმელი |

კერძოდ, ქართულ ვიკიპედიაში წერია, რომ **სალომე ზურაბიშვილის** ამჟამინდელი თანამდებობა არის **საქართველოს მე-5 პრეზიდენტი** და იქვე მითითებულია, რომ მან ეს თანამდებობა 2018 წლის 16 დეკემბერს დაიკავა, მაგრამ არსად არის აღნიშნული **თანამდებობის დატოვების თარიღი — 2024 წლის 29 დეკემბერი,** როცა ახალი პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი ორბელიანების სასახლეში ოფიციალურად შეუდგა საკონსტიტუციო უფლებამოსილების შესრულებას.

არადა, **ვიკიპედიის** სპეციფიკა ისეთია, რომ მის სტატიებში, მით უფრო, ბიოგრაფიული ხასიათის მასალებში, ნებისმიერი ფაქტობრივი ცვლილება ოპერატიულად აისახება. მაგალითად, რომელიმე ცნობილი პიროვნება თუ გარდაიცვალა, მის შესახებ **ვიკიპედიაში** არსებულ გვერდზე სულ რამდენიმე წუთში ან, მაქსიმუმ, რამდენიმე საათში, დაბადების თარიღის გასწვრივ გარდაცვალების თარიღი ჩნდება... სხვა ტიპის მაგალითი რომ მოვიყვანოთ, ქართველი ფეხბურთელი ხვიჩა კვარაცხელია იტალიური **„ნაპოლიდან"** ფრანგულ **„პარი სენ-ჟერმენში"** 2025 წლის 18 იანვარს, ანუ **სალომე ზურაბიშვილის** საპრეზიდენტო ვადის ამოწურვიდან თითქმის 20 დღის შემდეგ გადავიდა, რაც **ქართულ ვიკიპედიაში** მის შესახებ არსებულ გვერდზეც არის ასახული.

შესაბამისად, ვერავინ იტყვის, რომ **ქართულმა ვიკიპედიამ სალომე ზურაბიშვილის** ბიოგრაფიაში მომხდარი ცვლილების ასახვა „ჯერ ვერ მოასწრო" ან **ქართული ვიკიპედიის** მესვეურებს ზურაბიშვილის ბიოგრაფიის განახლება „დაავიწყდათ"...

მაშ, რასთან გვაქვს საქმე?

**რადგან სალომე ზურაბიშვილი საკუთარ თავს „ერთადერთ ლეგიტიმურ პრეზიდენტს" უწოდებს და რადიკალური ნაცოპოზიციაც „ერთადერთ ლეგიტიმურ პრეზიდენტად" ზურაბიშვილს აღიარებს, ქართული ვიკიპედია მათ პოლიტიკურ დღის წესრიგს მიჰყვება და ზურაბიშვილს კვლავ საქართველოს ამჟამინდელ, ანუ მოქმედ პრეზიდენტად მოიხსენიებს.**

შესაბამისად, **ქართულ ვიკიპედიაში მიხეილ ყაველაშვილის** შესახებ არსებულ გვერდზე არაფერი წერია იმის თაობაზე, რომ იგი საარჩევნო კოლეგიამ საქართველოს მე-6 პრეზიდენტად აირჩია და ამ თანამდებობას 2024 წლის 29 დეკემბრიდან იკავებს.

მიხეილ ყაველაშვილი

სტატია განხილვა შემო

მასალა ვიკიპედიიდან — თავისუფალი ენციკლოპედია

სხვა მნიშვნელობებისთვის იხილეთ ყაველაშვილი.

ვიკიპედია
თავისუფალი ენციკლოპედია

**მიხეილ ყაველაშვილი** (დ. 22 ივლისი, 1971, ბოლნისი) — ქართველი ყოფილი ფეხბურთელი და პოლიტიკოსი, საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი. 2016 წლიდან არის საქართველოს პარლამენტის წევრი. 2024 წლის 20 მარტიდან პარტია „ხალხის ძალის" პოლიტიკური მდივანი. 2024 წლის 27 ნოემბერს „ქართულმა ოცნებამ" საპრეზიდენტო კანდიდატად წარადგინა.[1]

ბოლო ცნობა, ანუ უკანასკნელი სიახლე, რომელსაც **ქართული ვიკიპედია მიხეილ ყაველაშვილის** შესახებ იძლევა, ის არის, რომ იგი 2024 წლის 27 ნოემბერს „ქართულმა ოცნებამ" საპრეზიდენტო კანდიდატად წარადგინა.

ესე იგი, **ქართული ვიკიპედიისათვის** ისევე, როგორც ნაცლიბერალური სექტისათვის, საქართველოს პრეზიდენტი კვლავ სალომე ზურაბიშვილია და **ქართული ვიკიპედია,** ნაცლიბერალური სექტის მსგავსად, **მიხეილ ყაველაშვილს** საქართველოს პრეზიდენტად არ აღიარებს!

ყოველივე ამის საფუძველზე, უნდა ვიფიქროთ, რომ **საერთაშორისო ონლაინ-ენციკლოპედია ვიკიპედიის ქართული განყოფილება** ნაცლიბერალების ხელშია!

ყოველივე ამის საფუძველზე, ისიც უნდა დავასკვნათ, რომ სანამ **ქართული ვიკიპედია** ნაცლიბერალური სექტის კონტროლიდან არ გამოვა, მისი რეპუტაცია და სანდოობის ხარისხი, სალომე ზურაბიშვილისა და ნაცსექტის რეიტინგივით, პლინტუსს დაბლა იქნება!

სწორედ ამიტომ **ქართული ვიკიპედია** ნაცლიბერალური სექტის კლანჭებისგან უნდა გათავისუფლდეს!

## არ შეიძლება, მსოფლიოს ყველაზე დიდი ონლაინ-ენციკლოპედიის ქართულ განყოფილებას კოლექტიური ლომჯარია-გიგაურები და ვაშაძე-გვარამიები განაგებდნენ!

**არ შეიძლება, მსოფლიოს ყველაზე დიდი ონლაინ-ენციკლოპედიის ქართულ განყოფილებას კოლექტიური ლომჯარია-გიგაურები და ვაშაძე-გვარამიები განაგებდნენ!**

***ჯაბა ხუბუა***

გვახსოვდეს და არასოდეს ვივიწყებდეთ:

# ვენეციელითესი

№9 (305)★2025 წლის 3 მარტი★გამოდის 2003 წლიდან


> სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, იარსებებენ მავნებლებიც, დივერსანტებიც, ჯაშუშებიც, მკვლელებიც და ტერორისტებიც, რომლებსაც ჩვენს ზურგში აგზავნიან უცხო სახელმწიფოთა მზვერავი ორგანოები!
>
> იოსებ სტალინი

# სტალინი ფარულმა დასმა მოკლა!

***72 წლის წინათ, 1953 წლის 5 მარტს, ოფიციალური ინფორმაციით, 21.50 საათზე, კუნცევოს აგარაკზე გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა პროლეტარიატის დიდი ბელადი და თვალუწვდენელი საბჭოთა იმპერიის საქვეყნოდ აღიარებული ლიდერი, ფაშიზმის დამსამარებელი და ისრაელის სახელმწიფოს ერთ-ერთი მამა-დამფუძნებელი, გენერალისიმუსი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი...***

უკრაინაში მიმდინარე საშინელი ომის ფონზე, როცა რუსეთის არმიამ კიევი ჯერ კიდევ ვერ აიღო, როცა ნატოელი მოკავშირეები ერთმანეთს დასანახავადაც კი ვერ იტანენ, ხოლო გამოპრუტუნებული **კაია კალასი** ტრამპს დამხობას უპირებს, **სტალინის, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის, სტრატეგისა და პოლიტიკოსის პერსონა** სულ უფრო და უფრო მიუწვდომელი და დიადი ხდება!

კაცობრიობის ისტორიაში **სტალინზე** უფრო წარმატებული და ძლევამოსილი მმართველი არ არსებობს. **სტალინი** ფლობდა საარაკო სიმძლავრის 13-მილიონიან, ბირთვული იარაღით აღჭურვილ არმიას და აკონტროლებდა დედამიწის ერთ მეექვსედს. თუმცა, მისი დიდება და გავლენა ბევრად მეტი იყო, ვიდრე გეოგრაფიული არეალი და ქვეყნის პოლიტიკური საზღვრები.

დღემდე უპასუხოდ რჩება კითხვა — **მაინც რა მოხდა კუნცევოს აგარაკზე 1953 წლის 1-2 მარტის ღამეს?**

ცნობილია, რომ 1953 წლის 28 თებერვალს პოლიტბიუროს წევრებმა კრემლში კინოფილმი ნახეს და შემდეგ სტალინთან, კუნცევოს აგარაკზე გაემგზავრნენ. **სტალინს ესტუმრნენ: ლავრენტი ბერია, ნიკიტა ხრუშჩოვი, გიორგი მალენკოვი და ნიკოლაი ბულგანინი.** მათი სტუმრობა ბელადთან დილის 4 საათამდე გაგრძელდა.

სტუმრები რომ წავიდნენ, ბელადმა დაცვა გამოიძახა და საგანგებოდ გააფრთხილა — **დაძინებას ვაპირებ, არ შემაწუხოთ, თქვენც დაისვენეთო!** 1953 წლის 1 მარტს სტალინთან მორიგეობდნენ **მიხაილ სტაროსტინი** და მისი თანაშემწე **ტუკოვი.** რადგან კუნცევოს აგარაკის კომენდანტი **ორლოვი** ისვენებდა, მის მოვალეობას ასრულებდა **პეტრე ლოზგაჩიოვი.** კუნცევოს აგარაკზე ასევე იმყოფებოდნენ: მომვლელი ქალი **მატრონა ბუტუსოვა** და პოლკოვნიკი **ივანე ხრუსტალიოვი,** რომელიც ასევე სტალინთან იყო მიმაგრებული...

**1953 წლის 1 მარტს, 18.30 საათზე, სწორედ პეტრე ლოზგაჩიოვმა დაინახა კუნცევოს აგარაკის მცირე სასადილო ოთახში იატაკზე უგონო მდგომარეობაში დავარდნილი სტალინი...** მის გვერდით ეგდო გაზეთი „პრავდა“ და შვეიცარიული წარმოების ჯიბის საათი „ლონჟინი“, რომელიც სწორედ 18.30 საათს უჩვენებდა. მაგიდაზე მინერალური წყლის „ნარზანის“ ბოთლი იდგა...

ჩვენთვის ცნობილია, როგორ განვითარდა ამის შემდეგ პროცესები... კერძოდ, როგორ შეიკრიბნენ კუნცევოს აგარაკზე პოლიტბიუროს წევრები და საბჭოთა კავშირის საუკეთესო მარშლები საუკეთესო ექიმებთან ერთად; როგორ მოვარდა **ვასილი სტალინი** და როცა პირზე ქაფმომდგარი მამა დაინახა, როგორ აგინა მთელ პოლიტბიუროს — **მამა მომიკალითო!** როგორ მოწმინდა კომუნისტური ჩეხოსლოვაკიის ლიდერმა, სტალინის ერთგულმა **კლიმენტ გოტვალდმა** პირიდან გადმოსული ქაფი სულთმობრძავ ბელადს თავისი ცხვირსახოცით და ის ცხვირსახოცი როგორ საგულდაგულოდ შეინახა, რასაც სულ ცოტა ხანში შეეწირა კიდეც, რადგან საიდუმლო ვითარებაში გარდაიცვალა; როგორ შეიკრიბნენ **ბერია, მალენკოვი, ხრუშჩოვი, ბულგანინი** და სხვა ლიდერები სასწრაფოდ კრემლში და ხელისუფლება გადაინაწილეს; **კლიმენტ გოტვალდის** მსგავსად როგორ გაისტუმრეს მოუსავლეთში აღმოსავლეთ ევროპის უკლებლივ ყველა კომუნისტი ლიდერი, რომლებიც სტალინის ერთგულ კოჰორტას წარმოადგენდნენ და მათ ნაცვლად როგორ მოიყვანეს უიდეო, გაცვეთილი, მედროვე და კორუმპირებული ფსევდოლიდერები.







## ★ ბელადის სიკვდილი




**სტალინი გრძნობდა, რომ მის წინააღმდეგ ვიღაცის უჩინარი ხელი წრეს ავიწროებდა და ერთგულ კადრებს ერთმანეთის მიყოლებით აშორებდა.** ამიტომაც იყო, რომ 1952 წლის თებერვალ-მარტში, მკვლელობამდე ერთი წლით ადრე, ერთადერთ ვაჟიშვილს, ავიაციის გენერალ **ვასილი სტალინს** დროებით ჩინეთში გადაბარგება დაავალა — ავიამშენებლობა ჩამორჩება და ჩინელებს დაეხმარე, განავითარეო!

1952 წლის მე-19 პარტიულ ყრილობაზე სტალინმა წამოაყენა სახალხო დემოკრატიების, ანუ ეროვნულ-სოციალისტური ხელისუფლებების შექმნის იდეა. **ბელადი მიიჩნევდა, რომ ნაციონალიზმი, ეროვნულობა და პატრიოტიზმი, რომელიც ყოველთვის ბურჟუაზიის საჯილდაო ქვას და პოზას წარმოადგენდა, დღეიდან სოციალიზმის ქვაკუთხედი უნდა ყოფილიყო და სოციალიზმი, როგორც კაპიტალიზმის ალტერნატიული სისტემა, ყველა საბჭოთა ქვეყანაში კონკრეტული ერის თავისებურებებსა და მისწრაფებებს უნდა შენივთებოდა.** თუ საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური მოდელი გადაეწყობოდა იმ სისტემაზე, რასაც დღეს **„ჩინური კომუნიზმი“** ჰქვია, მაშინ საბჭოთა კავშირი მსოფლიოში უკონკურენტო ზესახელმწიფოდ დარჩებოდა...

როგორც ჩანს, **სტალინის ეს გეგმები ვიღაცას ხელს ძალიან უშლიდა. ვინ იყო ეს „ვიღაცა“, ძნელი სათქმელია.**

## ფაქტია, რომ სტალინმა „ვიღაცები“, ანუ ის ძალები და გავლენიანი ოჯახები გაანაწყენა, რომლებსაც პრეზიდენტი ტრამპი დიფ სთეითს უწოდებს, ხოლო ჩვენ ფარულ დასად მოვიხსენიებთ...

1938 წლის შემდეგ, რაც საუდის არაბეთში უზარმაზარი ნავთობმარაგები აღმოჩნდა, ბრიტანელებს, არაბებსა და ამერიკელებს შორის იდეალური ურთიერთობა დამყარდა. ანგლოსაქსები არაბული ნავთობით მილიარდებს შოულობდნენ და ადგილობრივი ელიტებიც მილიარდერებად აქციეს. **სტალინმა** ეს ჰარმონია დაანგრია, რადგან ახლო აღმოსავლეთში 1948 წლის 14 მაისს ისრაელის სახელმწიფოს შექმნას დაუჭირა მხარი და არაბები ამერიკელებსა და ებრაელებს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდა.

შესაძლოა, ბელადს ეს დისჰარმონია არ აპატიეს და **ფარულმა დასმა** კუნცევოს აგარაკზე სტალინს სამსალა შეასვა. ფაქტია, რომ **პრეზიდენტმა დუაიტ ეიზენჰაუერმა,** რომელიც წითელ მოედანზე, მავზოლეუმის ტრიბუნაზე სტალინის გვერდით იდგა, ხოლო შემდეგ — **ჯონ კენედიმ,** თავიანთ გამოსვლებში საგანგებოდ ახსენეს **„სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი“, „ფარული ძალა“ და „საიდუმლო მთავრობა“,** რომელიც ახდენდა რევოლუციებს, კლავდა არჩეულ პრეზიდენტებს და იწვევდა ქაოსსა და სისხლისღვრას.

**ეიზენჰაუერი** გადარჩა, ხოლო **ჯონ კენედი,** დიდი ალბათობით, ამ საიდუმლოს გახმაურებას შეეწირა...

**ბელადის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირში განვითარებული პროცესები გვარწმუნებს, რომ სტალინი სწორედ ფარული დასის მიერ არის მოკლული!**

**ხრუშჩოვი, გორბაჩოვი** და ძმანი მათნი, რომლებმაც სტალინის მიერ შექმნილი თვალუწვდენელი იმპერია და სოციალისტური სისტემა დაანგრიეს, სწორედ **ფარული დასის** აგენტები იყვნენ!

> **ხრუშჩოვი, გორბაჩოვი და ძმანი მათნი, რომლებმაც სტალინის მიერ შექმნილი თვალუწვდენელი იმპერია და სოციალისტური სისტემა დაანგრიეს, სწორედ ფარული დასის აგენტები იყვნენ!**

***დიტო ჩუბინიძე***

*დასასრული.
დასაწყისი იხ.
„გენერალისიმუსი“,
2024 წლის №43-60;
2025 წლის №1-8*

## ნემეზიდას მახვილი...

ნამდვილი განაჩენის გამოცხადების დღემ რომ მოაღწია, თითქოს მთელი კაცობრიობა ფეხზე დადგა.

— ყურადღება, სასამართლო მობრძანდება!

მოსამართლენი რიგრიგობით კითხულობდნენ განაჩენს. ეს არის უზარმაზარი დოკუმენტი, სადაც ერთხელ კიდევ ჩამოთვლილია ყველაფერი, რაც საერთაშორისო ტრიბუნალმა მხარეთა კამათის შემდეგ დადასტურებულად ცნო. მერე მითითებულია, თუ ყოველ მათგანს, საბრალდებო აქტის ოთხი, თქვენთვის ცნობილი, პუნქტიდან, რომელი უდასტურდება: გერინგს — ოთხივე; ჰესს — პირველი, მეორე; რიბენტროპს — ოთხივე; კაიტელს — ოთხივე; კალტენბრუნერს — მესამე, მეოთხე; როზენბერგს — ოთხივე; ფრანკს — მესამე, მეოთხე; ფრიკს — მეორე, მესამე, მეოთხე: შტრაიხერს — მეოთხე; ფუნკს — მეორე, მესამე, მეოთხე; შახტს — ტრიბუნალი არ თვლის დამნაშავედ საბრალდებო აქტში ჩამოთვლილ ბრალდებებში და წინადადებას აძლევს სასამართლოს კომენდანტს, სხდომის დამთავრებისთანავე გაათავისუფლოს იგი; დენიცს — მეორე და მესამე; რედერს — პირველი, მესამე; შირახს — მეოთხე; ზაუკელს — მესამე, მეოთხე; იოდლს — ოთხივე; პაპენს — ტრიბუნალი ცნობს უდანაშაულოდ; ზეის-ინკვარტს — მეორე, მესამე, მეოთხე; შპეერს — მესამე, მეოთხე; ფონ ნოირატს — ოთხივე; ფრიჩეს — ტრიბუნალი თვლის უდანაშაულოდ; ბორმანს — მესამე, მეოთხე...

დანაშაულებრივ ორგანიზაციებად ცნობილ იქნა: **ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობა, გესტაპო, ესდე** (SD) და **ესესი** (SS). სამაგიეროდ, მსჯავრდება მოეხსნათ იმპერიის მთავრობას, გენერალურ შტაბს და უმაღლეს სარდლობას. მოტივი: რიცხვი ადამიანებისა, რომელთაც ეს ეხება, ისე ცოტაა, რომ შეიძლება, ისინი ინდივიდუალურადაც დაისაჯონ; ამასთან, გენშტაბი და უმაღლესი სარდლობა არ წარმოადგენენ არც „ორგანიზაციას“ და არც ჯგუფებს“, როგორც ეს წესდებაშია ნათქვამი.

...ეს იყო ტრიბუნალის 407-ე სხდომა. განაჩენის ტექსტის კითხვა რომ დამთავრდა, პერსონალური სასჯელის გამოცხადების წინ შესვენება გამოცხადდა.

შახტს, პაპენსა და ფრიჩეს მაშინვე გაუღეს მოაჯირის კარები და გაათავისუფლეს. პაპენი და ფრიჩე მივიდნენ გერინგთან და ხელი ჩამოართვეს, შახტმა — არა. დანარჩენი ბრალდებულები გაიყვანეს დარბაზიდან. ჟურნალისტები და ფოტოგრაფები მიესივნენ გათავისუფლებულთ. ისინი კითხვებს აყრიდნენ, სურათებს უღებდნენ ან ავტოგრაფებს სთხოვდნენ მათ...

...შესვენება დამთავრდა, კინო- და ფოტოგადაღება აკრძალეს, ბრალდებულები თითო-თითოდ შემოჰყავდათ დარბაზში და ლოურენსი უცხადებდა მათ განაჩენს.

12 ბრალდებულს — **გერინგს, რიბენტროპს, კაიტელს, კალტენბრუნერს, როზენბერგს, ფრანკს, ფრიკს, შტრაიხერს, ზაუკელს, იოდლს, ზეის-ინკვარტს** და **ბორმანს** მიესაჯა სიკვდილი ჩამოხრჩობით; **ჰესს, ფუნკს** და **რედერს** — სამუდამო პატიმრობა, დანარჩენებს — სხვადასხვა დროით: **დენიცს** — 10 წლით, შირახს — 20 წლით, შპეერს — 20 წლით...

განაჩენს ოქმის სახით დაერთო ნიკიტჩენკოს განსაკუთრებული აზრი, სადაც გაპროტესტებულ იქნა სასჯელის ზომა ჰესის, პაპენის, შახტისა და ფრიჩეს მიმართ, აგრეთვე, მთავრობის კაბინეტის, გენშტაბისა და უმაღლესი სარდლობის დანაშაულებრივ ორგანიზაციებად გამოცხადების უარყოფა...

... ნათქვამია, ვისაც უბედური ცხოვრება აქვს, უმძიმს მისი ტარება; ვისაც ბედნიერი — განშორებაო. ამათ ერთიც გამოსცადეს და მეორეც. ამიტომ განაჩენი რომ გამოაცხადეს:

გერინგს არაფერი უთქვამს, ისე შეტრიალდა და გავიდა დარბაზიდან, მაგრამ საკანში რომ შევიდა, საწოლზე დაეცა და წამოიძახა:

— სიკვდილი!

შემდეგ, მარტო დამტოვეთო, ითხოვა.

ჰესმა ჯერ სიცილი დაიწყო, მერე კი თქვა, ყური არ მიგდია და არც ვიცი, რა მომისაჯესო.

...რიბენტროპმა წამოიძახა:

— სიკვდილი! სიკვდილი! მაშ, მემუარებს ვეღარ დავწერ? ნუთუ ასე ვძულვარ ყველას?!

...კაიტელი: — სიკვდილი ჩამოხრჩობით! მე მეგონა, მაპატიებდნენ, ახლა კი უბედურებას სირცხვილიც დაემატა.

...ფრანკი: — მე დავიმსახურე ეს!

...რიბენტროპი: თოკი, თოკი, ეს გინდოდათ, არა?!

— სიკვდილი!.. — გაიმეორა კალტენბრუნერმა და მეტი არაფერი უთქვამს.

— სწრაფი სიკვდილი სჯობია ნელ-ნელა კვდომას, — თქვა შირახმა.

— მთელი სიცოცხლე ციხეში ხომ არ დამტოვებენ? — იკითხა ფუნკმა და დაუმატა:

— რატომ დავიბადე, რატომ მაშინვე არ მოვკვდი, რისთვის ვცხოვრობდი?!

— სასიკვდილო განაჩენი?! ჰო, დიახ, მაგრამ ეს მე არ დამიმსახურებია, — ჩაილაპარაკა იოდლმა...

— სასაცილო იქნება, განაჩენზე უკმაყოფილო ვიყო, — თქვა შპეერმა...

... სიკვდილმისჯილებს ხელებზე ბორკილები დაადეს და სხვებს ჩამოაშორეს. ისინი სასიკვდილო საკნებში მოათავსეს და მეთვალყურეობა გააძლიერეს. მანამ კი ზეის-ინკვარტმა მოახერხა, წერილი გადაეცა ზაუკელისათვის:

— პასუხისმგებლობას არ უნდა გავექცეთ. თუ უწინ პირველ რიგებში ვიდექით, ამ უბედურების ჟამსაც ასე უნდა მოვიქცეთ, — წერდა იგი.

ამგვარი „ნუგეში“ ვიღაცამ ნიცშეს სიტყვებითაც გამოხატა:

— ცხოვრებას ისე უნდა გაშორდე, როგორც ოდისევსი ნავსიკაიას...

იმათ, ვისაც სიკვდილი მიუსაჯეს, გერინგის, ფრიკის და შტრაიხერის გარდა, თავიანთი დამცველების მეოხებით შეწყნარება სთხოვეს საკონტროლო საბჭოს.

ზაუკელმა ინგლისის მეფეს (!) მისწერა, მიშუამდგომლეთ, მაპატიონო. იოდლის დამცველმა საკონტროლო საბჭოს მიმართა: იოდლი ჯარისკაცი იყო, ჯარისკაცურად იქცეოდა სასამართლოში და ჯარისკაცისათვის კუთვნილ ტყვიას ნუ დაიშურებთ, ჩამოხრჩობა დახვრეტით შეუცვალეთო...

რედერმა სამუდამო პატიმრობის ნაცვლად დახვრეტა ითხოვა.

კაიტელმა თვითონ დაწერა თხოვნა, მზად ვარ, მივიღო განაჩენი, მაგრამ ჩამოხრჩობა დახვრეტით შემიცვალეთ, რომ ჯარისკაცივით შევხვდე სიკვდილსო.

საკონტროლო საბჭომ უარყო მათი შუამდგომლობა...

...განაჩენის გამოტანიდან მის სისრულეში მოყვანამდე 14 დღე გავიდა. ამ დროს ისინი უმთავრესად წიგნების კითხვაში ატარებდნენ. ალბათ, იმისათვის, რომ ნაკლებად ეფიქრათ. გერინგი ფონტანეს კითხულობდა, იოდლი — ვილჰელმ რააბეს და ჰამსუნს, ფრანკი — ფრანც ვერფელს, რიბენტროპი — ფრაიტაგს, როზენბერგი — ბინდინგს, ზეის-ინკვარტი — „საუბრებს გოეთესთან“.

ყველა მათგანს უფლება ჰქონდა, მიეღო ან გაეგზავნა წერილები. ჯილბერტი და ექიმი პფლიუკნერი ძველებურად შედიოდნენ სიკვდილმისჯილთა საკნებში. რიბენტროპი ეკითხებოდა მათ, სად შედგება სიკვდილით დასჯაო. შტრაიხერმა უთხრა ჯილბერტს, სახრჩობელაზე რომ ამიყვანენ, ჩემი უკანასკნელი სიტყვები იქნება: ჰაილ ჰიტლერ!

ენდრიუსის მიერ დაწესებული რეჟიმის მიხედვით, კვირა დღეების გარდა, მათ ამუშავებდნენ. წვერს პარსავდნენ არა ყოველდღე, არამედ კვირაში ორჯერ. მერე ნათესავების ნახვის ნებაც დართეს და მოვიდნენ: გერინგთან — ცოლი და ქალიშვილი; შახტთან — ცოლი და ორი ქალიშვილი; ზაუკელთან და იოდლთან — ცოლები; რიბენტროპთან — ცოლი და სამი შვილი. მისი უფროსი ვაჟი — ოფიცერი რაინდის ჯვრით, ინტერნირებულთა ბანაკიდან მოიყვანეს. ნოირატის, კალტენბრუნერისა და ზეის-ინკვარტის — ცოლები; რედერის — ქალ-ვაჟი და სხვა... სიკვდილმისჯილთა მეუღლეებს ენაკვიმატმა ჟურნალისტებმა „ნიურნბერგელი ქვრივები“ უწოდეს...

### ჯალათის კერძი...

მე ყოველთვის მიკვირდა იმ ადამიანებისა, რომლებსაც სიკვდილით დასჯის ყურება აინტერესებთ. ჩვეულებრივად, სიკვდილით საჯაროდ დასჯას ყოველთვის უამრავი ხალხი ესეოდა ხოლმე. რამდენი ვინმე გაუცილებია აღგზნებულ ბრბოს ეშაფოტისკენ. ის კი არა, დოსტოევსკის დიდი ინკვიზიტორი რომ ეუბნება მაცხოვარს, დღეს ვინც პირქვე ემხობა შენს წინაშე და ოსანას გიგალობს, ხვალ გოლგოთაზე აგიყვანს და ჯვარს გაცმევსო, ისეა. თვითონ გერმანელები ბობოქრობდნენ და მოითხოვდნენ უმკაცრეს სასჯელს მთავარ სამხედრო დამნაშავეებისა და მათი დამცველებისათვის. 1946 წლის აგვისტოში ამერიკის საინფორმაციო სამსახურმა ერთგვარი რეფერენდუმიც მოაწყო სპეციალური ანკეტით. რვაჯერ დაკითხეს გერმანელები, თუ როგორი იყო მათი დამოკიდებულება პროცესთან. დაკითხულთა 75 პროცენტზე მეტმა მხარი დაუჭირა პროცესს, სამართლიანიაო. 16 პროცენტმა არავითარი აზრი არ გამოთქვა, მხოლოდ 4 პროცენტმა უპასუხა, არ არის სამართლიანიო. სხვა ანკეტაზე დაკითხულთა 70 პროცენტმა უპასუხა, ყველა დამნაშავეაო, ერთმა პროცენტმა — არავინ არ არის დამნაშავეო. ხუთიოდე წლის წინ კი, ვინ იცის, რამდენ პროცენტს ჰქონდა ხელი წინ გაშვერილი და ხმას იხლეჩდა „ჰაილ ჰიტლერის“ ბღავილით. ახლა კი, „ჯვარს აცუ!.. ჯვარს აცუ!“ ისმოდა ყოველი მხრიდან. ისინი ისევ მუქარის წერილებს უგზავნიდნენ მთავარ სამხედრო დამნაშავეთა დამცველებს. ქალაქ კელნის სამსჯავრომ კი ყველა მათგანის სამართალში მიცემა დაადგინა. ეს უკვე, მართლაც, „სხვა გერმანია“ იყო, ჯერ კიდევ დაბნეული და სასოწარკვეთილი, მაგრამ მაინც ჯოჯოხეთგამოვლილი და განსაწმენდელში გატარებული, რომელიც ისევ იმსახურებდა „სხვათა სიყვარულსა და პატივისცემას“. მე ამას ისევ ჩემი პროფესიის თვალსაზრისით ვუყურებდი და ვხედავდი, გერმანელი ხალხის ამდენი ცდუნებისა და განსაცდელის შემდეგ როგორ გადარჩა „ფაუსტის უკვდავი ნაწილი“ და დაგვიბრუნა რწმენა, რომ, მართლაც, „არ შეიძლება მოკვდეს ლამაზი არსი ჩვენი კაცობისა“...

ამიტომ, თუ იმ „დიდი ტრაგედიის“ შემდეგ გერმანიის მდგომარეობას გრეთჰენის ბედს შევადარებთ, შეიძლება გოეთეს რეპლიკა გავიხსენოთ:

**მეფისტოფელი:** განწირულია!

**ხმა** (მაღლით) გადარჩენილია!

იქნებ ამიტომაც იყო, რომ რაღაც უსიამოვნების გრძნობამ შემიპყრო, როცა მთავარ სამხედრო დამნაშავეთა სიკვდილით დასჯის ზოგიერთ დეტალს გავეცანი. ვიცი, სიკვდილით დასჯა თუ დაიმსახურეს, კიდევაც უნდა მიიღონ იგი, მაგრამ ამ პროცედურის ისეთი „შელამაზება“ ან მის დეტალებზე „გემოს ჩატანება“, როგორც ამას ენდრიუსი და მისი თანაშემწეები აკეთებდნენ, როგორღაც გაუგებარია ჩემთვის. ღირსებაახდილი ადამიანების უღირსი სიკვდილი საკუთარი ღირსების შელახვას ვერ დაფარავს...

**... განაჩენის სისრულეში მოყვანა 15-16 ოქტომბერს, ღამით იყო დანიშნული. საღამოთი უკვე ყველამ იცოდა, რომ ეს დასასრული იყო.** ამბობენ, სიცოცხლე იმას ჰქვია, შენს „დღეს“ „ხვალეც“ რომ აქვსო. იმათ „დღეს“ უკვე არ ჰქონდა „ხვალე“. ციხის ეზოდან ჩაქუჩების ყრუ კაკუნი ისმოდა: სახრჩობელებს ამზადებდნენ მათთვის. ექიმმა პფლიუკნერმა „დაამშვიდა“ გერინგი, ეს ღამე ყველაზე მოკლე იქნება თქვენთვისო. ვინ იცის, მართლაც, ყველაზე მოკლე იყო ის ღამე თუ ყველაზე გრძელი. ან ვინ გაზომავს მანძილს უკანასკნელ დაისსა და მარადიულ არგათენებას შორის, რასაც ავსებს დუმილის სიცარიელე, არაფრის სუნთქვა, ჩრდილების სევდა და ჯვარცმული ოცნებე-



მიხეილ კვესელავა

# ას ერგასის



განაჩენის გამოცხადება ნიურნბერგის პროცესზე

## „მე მიხარია, რომ ნიურნბერგის საქმე დამთავრდა. მე ჯერ კიდევ აგვისტოში მითხრეს: შენ იქნები ის კაცი, რომელიც ამას შეასრულებსო. მთელი ამ ხნის განმავლობაში ეს საიდუმლოდ უნდა შემენახა...“

# დღე


იბეჭდება შემოკლებით. ტ. III „ნემეზიდას მახვილი“

ბი... უკვე აღარც შვიდის მაგია იყო და აღარც სამის სიმბოლიკა... მხოლოდ აპოკალიფსური რიცხვი: შავი 6, და ისევ 6, და ისევ 6 ანუ 666 — სამი ყულფის ფორმა სახრჩობელაზე. „გულმოწყალების“ ფერმკრთალი აჩრდილი, რაც ასეთ დროს ტრადიციად ქცეულ ფორმალობაშიც ვლინდება: სიკვდილით დასჯის წინ, არსებული წესის მიხედვით, დასასჯელებს ვახშმის არჩევის საშუალებას აძლევენ. მართალია, ეს „საზეიმო მენიუ“ არც ისე მდიდარი იყო, მაგრამ მათ შეეძლოთ, ძეხვის ნაჭერი მოეთხოვათ კარტოფილით ან „ბლინები“ კომბოსტოთი. მხოლოდ ფრიკმა მიირთვა მადიანად ეს „ჯალათის კერძი“. შემდეგ მღვდელი მოიწვიეს. გერინგმა უარი თქვა აღსარებაზე. 22 საათზე მან, ჩვეულებრივად, ძილის წამალი მიიღო. მცირე დოზა მისცეს — დიდხანს არ დაეძინოსო.

— ზოგჯერ ღამე მოკლეა, — შეახსენა მას პფლიუკნერმა. გერინგმა მადლობა გადაუხადა და ხელი ჩამოართვა, თუმცა, ეს აკრძალული იყო. მერე თქვა, ტანისამოსის გახდას აზრი არა აქვსო. და ისე წამოწვა ნარზე.

ცოტა ხნის შემდეგ ციხის დერეფანში აურზაური ატყდა, გერინგს გული წაუვიდაო. სასწრაფოდ უხმეს ექიმებს, გასინჯეს, მაგრამ იგი უკვე სიკვდილს ებრძოდა: კბილით ამპულა გაეტეხა და საწამლავი მიეღო.

დღემდე ლეგენდები დადის, საიდან იშოვა მან ეს საწამლავი? ზოგი ამბობს, თავიდანვე ჰქონდა დამალულიო, ზოგიც — ცოლმა გადასცაო. ასეთ „დაზუსტებულ ვერსიასაც“ ჰყვებოდნენ: როცა ემმი გამოსამშვიდობებლად მივიდა მასთან, ჰკითხა: „სავარცხელი გაქვს?“ გერინგმა თავი დაუქნია. ამბობენ, ვითომ, ეს „სავარცხელი“ „საწამლავს“ ნიშნავდაო. ასეც ამბობენ, სიკვდილით დასჯის წინ ექიმმა პფლიუკნერმა გერინგს ჩიბუხი სთხოვა, სამახსოვროდ დამიტოვეო.

— არა, ჩიბუხს ვერ მოგცემ, — უთქვამს გერინგს, — როცა ამ საკნიდან უკანასკნელად გამიყვანენ, მე ფანჯრიდან ვისვრი მას...

ფიქრობენ: შეიძლება, საწამლავი სწორედ ამ ჩიბუხში ჰქონდაო.

ისიც ხომ თქვეს, ბახ-ზელევსკიმ გადასცა, როცა დაკითხვის შემდეგ გვერდით ჩაუარაო... უფრო გვიან ბახ-ზელევსკიმ თვითონაც განაცხადა, გერინგს საწამლავი მე გადავეციო და თავისი ამპულა უჩვენა. სპეციალისტებმა შეადარეს ის გერინგის კბილებიდან ამოღებულ ამპულის ნამსხვრევებს და, მართლაც, ისეთნაირი აღმოჩნდა... ვინ იცის, იქნებ ეს ვერსია იყოს მართალი? სხვას ვერაფერს მოგახსენებთ, ისე კი, გული მეუბნება, რომ ეს თვით ენდრიუსმა გააკეთა. ცნობილია, რომ გერინგმა მას რაღაც წერილი გადასცა, რომლის შინაარსი დღემდე საიდუმლოდაა დარჩენილი. მე მგონი, გერინგმა მის მიერ საზღვარგარეთის ბანკებში შეტანილი უამრავი ფულიდან რაღაც უწყალობა მას და, ვინ იცის... ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ გერინგის საკანში ცარიელი გილზა აღმოჩნდა.

საიდან?!

...სახრჩობელების აღმართვა რომ დამთავრდა, ენდრიუსმა თავისი უკანასკნელი „ნომერი გამოაგდო“: გამოიყვანა ისინი, ვისაც მუდმივი ან სხვადასხვა ვადით პატიმრობა ჰქონდა მისჯილი და სიკვდილით დასჯის ადგილი დაახვეტინა, ვითომ, უკანასკნელი სამსახური გაუწიეთ თქვენს კოლეგებსო.

განაჩენის სისრულეში მოყვანის წინ, მოიწვიეს ოთხი გამარჯვებული სახელმწიფოს ორორი ჟურნალისტი, ფოტოგრაფი, კინოოპერატორი და გერმანელი ხალხის წარმომადგენლები; ბავარიის მინისტრ-პრეზიდენტი ვილჰელმ ჰოგნერი და ქ. ნიურნბერგის მთავარი პროკურორი ფრიდრიჰ ლაისნერი. ციხის ყველა კარი ჩაკეტეს და დაცვა გააძლიერეს...

... შუაღამით ათივე სიკვდილმისჯილს ერთხელ კიდევ წაუკითხეს განაჩენი. ისიც აცნობეს, რომ საკონტროლო საბჭომ არ დააკმაყოფილა მათი თხოვნა შეწყნარების შესახებ. პირველ საათზე ყველა საკანი ჩამოიარეს ენდრიუსმა, პასტორმა ო'კონორმა და ექიმმა პფლიუკნერმა. ერთხელ კიდევ შეამოწმეს „ყველაფრის მზადყოფნა“. შემდეგ ათივე გაიყვანეს ციხის ოთხკუთხა ეზოში, სადაც სამი სახრჩობელა იყო აღმართული. კიბის სიმაღლე — 13 საფეხური. განსაკუთრებული სიმაგრის თოკი — რკინის ჭანგზე დაკიდებული. სახრჩობელაზე აყვანის წინ ყველას სახელსა და გვარს, აგრეთვე „უკანასკნელ სურვილს“ ეკითხებოდნენ... იქვე იყო მთარგმნელი და ჯალათი ვუდსი, კათოლიკე და მართლმადიდებელი მღვდელი...

უკანასკნელ წუთს ყველამ თქვა რაღაც:

**რიბენტროპი:** ღმერთო, დაიფარე გერმანია, ღმერთო, იხსენი ჩემი სული. უკანასკნელი სურვილია: გერმანია ისევ გაერთიანდეს, დასავლეთმა და აღმოსავლეთმა საერთო ენა გამოძებნონ და უზრუნველყონ მშვიდობა მთელ მსოფლიოში...

შემდეგ შავი ტომარა, ყულფი. ამოჭრილი იატაკის გამოცლა და „შთანთქმა პირსა შიგან უფსკრულისასა“... 10 წუთის შემდეგ გვამის შემოწმება და მორიგი სიკვდილმისჯილის აყვანა სახრჩობელაზე...

**კაიტელი:** მე ვუხმობ ყოვლისშემძლეს, რათა შეიწყნაროს ჩემი ხალხი. ვწუხვარ, რომ ორ მილიონზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი დაეცა სამშობლოსათვის ჩემს თვალწინ. მე მივყვები შვილების გზას. ყველაფერი გერმანიისათვის...

**კალტენბრუნერი:** მე ჩემს ხალხს და ჩემს სამშობლოს ვემსახურებოდი. ვწუხვარ, რომ ამ მძიმე მომენტში ხალხს სათავეში არ ედგნენ ნამდვილი ჯარისკაცები. ვწუხვარ, რომ დანაშაული ჩადენილია, მაგრამ მე ამაში მონაწილეობა არ მიმიღია...

**ფრანკი:** მადლობა ციხეში კარგი მოპყრობისთვის, მამაზეციერს ვთხოვ, კარგად მიმიღოს.

**ფრიკი:** გაუმარჯოს მარადიულ გერმანიას!..

შტრაიხერს ეკითხებიან:

— თქვენი გვარი?

— ეს თქვენ კარგად იცით!

განმეორებით:

— თქვენი გვარი?

— კეთილი, შტრაიხერი! Pupimfest, 1946 წლის pupimfest! და ახლა, ღმერთისაკენ. ჰაილ ჰიტლერ! (ხუთჯერ).

— ყულფი...

ეს „pupimfest“ ებრაული დღესასწაულია ესთერისა და მორდოხაის გათავისუფლების აღსანიშნავად დაწესებული...

— განაჩენის სისრულეში მოყვანა 1-ლ საათსა და 11 წუთზე დაიწყო, დამთავრდა 2 საათსა და 46 წუთზე...

აღსრულდა! რომელმან სთესოს ბოროტი, ბოროტიცა მოიმკის, ხოლო წყლულებითა საქმენი თვისნი აღასრულოს, — უთქვამს სოლომონ ბრძენს...

... გერინგის გვამიც გამოიტანეს და სხვებთან ერთად დადეს. მერე ორი საბარგო მანქანა მოიყვანეს, ზედ 11 კუბო დაასვენეს და მიუნხენის კრემატორიუმისაკენ გააქანეს საშინელი სისწრაფით. ეშინოდათ, კორესპონდენტები არ დადევნებოდნენ მანქანებით, და გამოაცხადეს, ვინც ამას გააკეთებს — ვესვრითო... კრემაციას ამერიკელი ოფიცერი, მაიორი მორგანი ხელმძღვანელობდა. ყველაფერი გასაიდუმლოებული იყო. კრემატორიუმის მომსახურე პერსონალს ეუბნებოდნენ: 11 დაღუპული ამერიკელი მფრინავიაო. სახელი და გვარიც შეცვლილი ჰქონდა ყველას. ენდრიუსმა აქაც თავისებურად „იხუმრა“ და „ებრაელთმჟლეტ“ იულიუს შტრაიხერს წმიდა ებრაული სახელი და გვარი უბოძა: აბრაჰამ გოლდბერგი...

...კრემაციის შემდეგ მათი ფერფლი „სადღაც გერმანიის რომელიღაც მდინარეში“ ჩაყარეს. შემდეგ ხმამ მაინც გამოჟონა და თქვეს: მდინარე ისარში, შრაინთან ახლოო...

... „მორჩა, — წერდა მეორე დღეს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“, — დამნაშავის და უდანაშაულოს ფერფლი ერთნაირი ქიმიური შემადგენლობისაა“...


გერინგი


კაიტელი


კალტენბრუნერი


როზენბერგი


ფრანკი


ზეის-ინკვარტი

...ტრიბუნალის კანცელარიამაც გამოაქვეყნა თავისი ანგარიში: პროცესის ოქმი — 4 მილიონი სიტყვა, 5 მილიონი თაბახი ქაღალდი, 780 ათასი ფოტო, 27 ათასი ხმის ჩამწერი ფირი, 7 ათასი ფირფიტა...

... კორესპონდენტებმა 14 მილიონი სიტყვა დაგზავნეს მსოფლიოს ყველა კუთხეში. იმ პროცესის შემდეგ მისი თითქმის ყველა ოფიციალური მონაწილე მემუარების წერას შეუდგა: ლოურენსი, ბიდლი, ჯეკსონი, ბოუკერი, ნივი და სხვები. ასე გასინჯეთ, თვით ჯალათი ვუდსიც არ ჩამორჩა მათ და ჟურნალისტებისათვის ინტერვიუს მიცემა ინება:

— ის ათი ნაცისტი მე ჩამოვახრჩე ნიურნბერგში და კიდევაც ვამაყობ ამით, — განაცხადა მან, — ეს საქმე უფრო ადრე უნდა გაკეთებულიყო და მე ის კარგადაც გავაკეთე. ყველაფერმა გვარიანად ჩაიარა. ამ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში მე 347 კაცი ჩამოვახრჩე, მაგრამ არასოდეს ისე კარგად არ გამიკეთებია ეს, როგორც ახლა. მხოლოდ იმას ვწუხვარ, რომ გერინგი გამიძვრა ხელიდან. მე მას სრულიად განსაკუთრებულად მოვუვლიდი...

არა, სულაც არ ვნერვიულობდი. მე ხომ საერთოდ არა მაქვს ნერვები. ჩემი ხელობის ადამიანებს ნერვები არც სჭირდებათ. ნიურნბერგის საქმე კი სწორედ ის იყო, რაც მე ძალიან მინდოდა. მე თვითონ ვიზრუნე, რათა ეს დავალება ჩემთვის მოეცათ. ამისთვის ვიცდიდი აქ, ასე დიდხანს, თუმცა, შემეძლო, შინ დავბრუნებულიყავი. ამ ბიჭებმა ნამდვილად დაიმსახურეს ჩამოხრჩობა. და მაინც... მინდა, ამ ნაცისტებზე ვთქვა: ისინი მოკვდნენ მამაცურად. მხოლოდ ერთმა გამოამჟღავნა სისუსტე, ვერ აიარა ცამეტი საფეხური და მცველები მიეშველნენ... ყველას ამაყად ეჭირა თავი. უნდა გენახათ მათი სიძულვილი ჩვენდამი. ებრაელთმჟლეტი შტრაიხერი მომაჩერდა და თქვა: ერთხელაც იქნება და, ბოლშევიკები შენც ჩამოგახრჩობენო. მეც ჩავხედე მას თვალებში, ეს კი ახლაც არ მასვენებს... სიკვდილით დასჯაზე ბევრ რამეს ჰყვებიან. ყველაფერი კი ისევე ჩვეულებრივად კეთდება, როგორც სხვა რუტინა. 10 კაცი 103 წუთში — სწრაფი სამუშაოა. მხოლოდ ერთი მათგანი ინძრეოდა კიდევ ჩავარდნის შემდეგ. ეს იყო შტრაიხერი, „ჰაილ ჰიტლერ!“ რომ ყვიროდა. თავზე ტომარა რომ ჩამოვაცვი, მგონი, ზაუკელმაც დაიწყო ყვირილი: „ჰაილ ჰიტლერ!“ მე ყველა მათგანისთვის ახალ თოკსა და ახალ ტომარას ვხმარობდი. ყულფშიც მე ვაყოფინებდი თავს და თოკს ვუჭერდი, რომ მოშვებულად არ ყოფილიყო. მერე თოკები და ტომრები ცალკე დავაწყვეთ. რატომ? სუვენირების მოყვარულები 25 000 დოლარს იძლეოდნენ თითო თოკში...

რას ვფიქრობ ჩემს ხელობაზე? ვიღაცამ ხომ უნდა გააკეთოს ეს? მე მიხარია, რომ ნიურნბერგის საქმე დამთავრდა. რაც არ უნდა იყოს, ეს დიდ დაძაბულობას მოითხოვდა ჩემგან. მე ჯერ კიდევ აგვისტოში მითხრეს: შენ იქნები ის კაცი, რომელიც ამას შეასრულებსო. მთელი ამ ხნის განმავლობაში ეს საიდუმლოდ უნდა შემენახა...

როცა ვუდსს სთხოვეს, უფრო დაწვრილებით ეამბნა ზოგიერთი დეტალის შესახებ, მან უპასუხა:

— ერთმანეთის მიყოლებით ათი კაცის ჩამოხრჩობა ადვილი საქმე კი არ არის. ეს ისე სწრაფად ხდება, რომ... მე კი, ხომ იცით, ხელში თოკი მეჭირა და არა დღიურების რვეული...

ამბობენ, ეს ვუდსი 4 წლის შემდეგ, როგორც „კარგი სპეციალისტი“, ელექტროსკამის გამოსაცდელად მიიწვიესო.

... დასავლეთის პრესა კიდევ ერთხანს ხმაურობდა. ის ამბები ისტორიად იქცა და მინდა, დავიჯერო, რომ ყოველივე ეს მართლაც გუშინდელი დღეა, მაგრამ, ჰორაციუსის სიტყვებისა არ იყოს, — ისტორია ჩვენს თვალწინ მოქმედებს, მხოლოდ სახელებია შეცვლილი...

ალბათ, ამის გამოა, რომ საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი ოფიციალურად დღემდე არ არის დაშლილი და ისევ განაგრძობს სიმბოლურ არსებობას. სამუდამო თუ სხვადასხვა ვადით პატიმრობამისჯილებიდან კი აი, ვის რა ბედი ეწია:

**ნოირატი** ვადაზე ადრე გაათავისუფლეს, 1954 წელს და ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

**რედერი** 1955 წელს გაათავისუფლეს, გარდაიცვალა 1960 წელს.

**დენიცმა** თავისი 10 წელი მოიხადა და 1956 წელს გამოვიდა ციხიდან.

**ფუნკი** 1957 წელს ავად გახდა, გაათავისუფლეს და გარდაიცვალა 1960 წელს.

**შპეერმა** და **შირახმა** 20-20 წელი მოიხადეს.

ამჟამად ბერლინის შპანდაუს ციხეში მთავარ სამხედრო დამნაშავეთაგან მხოლოდ ერთადერთი, სამუდამო პატიმრობამისჯილი რუდოლფ ჰესი ზის. მას ყოველდღიურად ოთხი გამარჯვებული სახელმწიფო უცვლის ყარაულს.

ამგვარი „საპატიო პატიმრობა“ დღემდე, მგონი, არცერთ ბოროტმოქმედს არ ღირსებია.

## მზე და ვარსკვლავები...

ამდენი ხეტიალის შემდეგ ისევ მეშვიდე სართულის აივანზე ვზივარ, წინ ომისდროინდელი დღიურები და დოკუმენტები მიდევს. შორიდან თითქოს ზარბაზნების გრიალი და თვითმფრინავების გაბმული გუგუნი მესმის. სადღაც ტანკებიც ჩაივლიან და მათი მუხლუხების შემზარავი ხრჭიალი აშფოთებს მშვიდად მიძინებულ ქვეყანას...

მოჯადოებული ვუყურებ თბილისის შემოგარენს. მარცხნივ ისევ ის შავნაბადაა, მერე კრწანისი და ნარიყალა, პირდაპირ — მთაწმინდა, მარჯვნივ — თრიალეთის მთების კალთები... მთვარეც ისევ ისე ფეხშიშველი მოდის ცის შუაგულისკენ. მხოლოდ ისაა, რომ მის გაფითრებულ სახეზე უკვე ადამიანის ნაკვალევს ვამჩნევ. ასე მეჩვენება, თითქოს იქ ახლაც დადის ვიღაც და ჩვენ გვიყურებს... მერედა, რა მშვენიერი ჩანს, თურმე, ჩვენი ცისფერი პლანეტა იქიდან! ვინ იცის, იქნებ სხვა პლანეტებიდანაც გვიყურებენ და ტკბებიან ამ საოცარი სილამაზით. ეცოდინებათ კი იმათ, თუ ზოგჯერ რა საშინელება ტრიალებს ჩვენს გაწამებულ პლანეტაზე? იმასაც ვფიქრობ: თუ ყველა პლანეტას შორის სიცოცხლე მხოლოდ ჩვენთანაა — რატომ უფრო არ უფრთხილდებიან მას! ან თუ ცოცხალი არსებანი სხვაგანაც არიან, რატომ არ რცხვენიათ იმათი, როცა ასეთ საშინელ ამბებს სჩადიან. რატომ აცმევენ დედამიწას სისხლის პერანგს ან ძაძებით რატომ მოსავენ მას? ამ უსასრულო სამყაროში ის ხომ ისე პატარაა, ისე ლამაზი, როგორც მიხეილ მამულაშვილის ბაღში ყელმოღერებული პირიმზე. თვითონაც სულ მზის გარშემო ტრიალებს, მზის სხივებში ნებივრობს და მზესავით აფრქვევს სითბოსა და სინათლეს...

აი, ახლაც, მთვარე სადაცაა თავის გზას დაამთავრებს, ცის ჰორიზონტს ალისფერი მოედება, მერე დიდებული მზეც ამობრწყინდება და... ჩემი პატარა გიორგი გაახელს თვალებს. მე მას ხელში ავიტაცებ, მზისკენ ავწევ და ვუსურვებ ყველას, ვინც მასთან ერთად ან მის შემდეგ დაიბადა, არასოდეს ენახოთ და განეცადოთ ის, რაც მე ვნახე და განვიცადე. დაე, ყველამ იცხოვროს

„იმ სიყვარულით,
რაც აბრუნებს
მზეს და
ვარსკვლავებს...“

## რეპორტაჟი ნიურნბერგის პროცესიდან ★

# ხალხის მტრები,

# ანუ ნატა ფერაძისა და ნაცსექტანტების წყევლა

***წინა კვირას, როცა მთელი დასავლეთ საქართველო გამძვინვარებულ სტიქიას ებრძოდა და გურია, აჭარა თუ იმერეთი თოვლში იხრჩობოდა, ცნობილმა ამორალურმა არსებამ ნატა ფერაძემ, რომელსაც ადამიანობის, ქართველობისა და, მითუმეტეს, ქალობის ნიშანწყალი არ გააჩნია, სოციალურ ქსელში ასეთი პოსტი გამოაცხო — „სანტავიკებით" დაწებებული რიკოთიც დაიხუვლებს მალე!"***

მოკლედ, **ნატა ფერაძემ,** ფაქტობრივად, ქართველების სიკვდილი ინატრა — **თოვლი არაფერია, მალე რიკოთის მეწყერი დაიძვრება და მერე ნახეთ, მსხვერპლი, ნგრევა და გოდებაო!**

აღვირახსნილი **ნატა ფერაძის წყევლას** მალევე დაემატა **ორი ნაცსექტანტის** მიერ გურიის რომელიღაც სოფლის გზაზე გადაღებული ვიდეო, სადაც ისინი ხელისუფლებას აკრიტიკებენ — **ხალხს ყურადღებას არ აქცევენ, სოფლები უპატრონოდ არის მიტოვებული, გზებს არ წმენდენო!** არადა, იქვე ვიდეოში კარგად ჩანს, რომ ტრაქტორი მუშაობს და გზას თოვლისგან ათავისუფლებს, მაგრამ ნაცებს ამის აღიარება ხელს არ აძლევთ... მიუხედავად ამისა, ვიდეოში მაინც გაიპარა სიმართლე, როცა ერთმა სექტანტმა მეორეს გადაუჩურჩულა — **ტრაქტორის გამოჩენა არ გვაწყობსო!**

მთელი ამ საგიჟეთისა და სამშობლოსთვის გამოცხადებული მტრობის ბოროტი გვირგვინი გახლდათ ის, რაც კაციჭამია **ერეკლე კოდუას** ყოფილმა ცოლმა **ნანული ჟორჟოლიანმა** ერთ-ერთ ტელეგადაცემაში განაცხადა — **საქართველოს ღმერთმა თოვლის სახით წარღვნა იმიტომ მოუვლინა და სოფლებში ასეთი ამბავი იმიტომ ტრიალებს, რადგან სოფლის მოსახლეობამ არჩევნებზე ხმა ერთი კოლო კარტოფილის სანაცვლოდ მისცაო!** ანუ თვითგამოცხადებულმა **ნანულიმ,** რომელიც **„ძ"**-სა და **„ხ"**-ს ერთმანეთისგან ვერ არჩევს, ფაქტობრივად, გაამართლა საქართველოზე თავსდატეხილი წარღვნა და ხალხს ნიშნი მოუგო — **კარტოფილზე რომ ხელი წაგცდათ, იმიტომაც ხართ მაგ დღეშიო!**

წინამდებარე წერილის დაწერის მიზეზთა მიზეზი ის გახლავთ, რომ **ამორალური და უხსენებელი ნატა ფერაძე ისევე, როგორც თოვლიანი გურიის გზაზე გამოსული ის ორი ნაცგარეწარი და ნანული ჟორჟოლიანი სწორედაც რომ ხალხის მტრები არიან, რომლებიც საზოგადოებისგან დიდი ხნით იზოლაციას იმსახურებენ!**

ეს დეგრადირებულები იმ დივერსანტთა ბანაკიდან არიან, რომლებიც ბორჯომის ცნობილი ხანძრის დროს აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ და საშინლად წუხდნენ, როცა მეხანძრე-მაშველები ცეცხლის კერებს აქრობდნენ. **თუ გახსოვთ, მაშინდელი „რუსთავი-2"-ის ეთერში, რომელსაც ნაცპროკურორი ნიკუშა გვარამია აკონტროლებდა და ყვლეფდა, ამ ყველაფრის დამადასტურებელი სიუჟეტი გაიპარა და ოპერატორმა თუ ჟურნალისტმა დანანებით თქვა, რომ ხანძარი ჩაქრა...**

მე-20 საუკუნის 30-იანი წლების საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ისტორიას წითელ ზოლად გასდევს **„ხალხის მტრების"** წინააღმდეგ გაჩაღებული სისხლიანი ბრძოლის ქრონიკა... იმ ცუდ და არეულ დროს, როცა ძმა ძმას არ ინდობდა და „ხალხის მტრად" გამოცხადება, ერთი შეხედვით, ადვილი საქმე იყო, ერთი ქართველი პოეტი სწორედ **ხალხის მტრის** ბრალდებით რომ დაიჭირეს და მან კი „ჩეკას" კაციჭამიებს უყოყმანოდ დაუსახელა დანარჩენი **„ხალხის მტრები"** — საქართველოს ისტორიული გმირები და მათ შორის **გიორგი სააკაძეც!** უწიგნური და ბოგანო ტყავის ქურთუკიანი ჯალათები მთელი ორი კვირის განმავლობაში დაეძებდნენ ტაშისკარისა და მარტყოფის გმირს, ბედუკუღმართ, მაგრამ სამშობლოსთვის შეწირულ **გიორგი სააკაძეს,** რომელიც 1629 წლის ოქტომბერში თურქებმა ალეპოში ტანჯვით მოკლეს!

**იყო დრო, როცა ტყავის ქურთუკიანები საქართველოსა და მთელ საბჭოთა კავშირში ყველა ჯურის ხალხს, მათ შორის, პოეტებსა და მწერლებს აწამებდნენ და ტანჯავდნენ, მაგრამ დრო შეიცვალა და ტყავის ქურთუკიანებმაც იერი იცვალეს. ასე, მაგალითად, მამუკა ხაზარაძის სახელობის პრემია „საბას" ექვსგზის ლაურეატის, ცნობილ ქართველი ტუალეტის მჯღაბნელის ლაშა ბუღაძის** აღიარებით, უცნობმა და აგრესიულმა ტყავის ქურთუკიანმა მამაკაცმა ერთ-ერთ წვეულებაზე გამოიცეკვა, მერე კისერში დაუწყო კოცნა და ბოლოს რა უქნა, დღემდე ვერაფრით იხსენებს...

უდიდესმა დიქტატორებმა და სულთამხუთავებმა სწორედ ხალხის „დაცვისა" და „სამშობლოს გადარჩენის" მიზნით შექმნეს პროსკრიფციები და „წმინდა ინკვიზიციის" სასამართლო, როცა „ხალხის მტრის" ბრალდებით უწმინდურები პატრიოტებს, გენიოსებსა და წმინდანებს ციხეებში ალპობდნენ, კოცონზე წვავდნენ ანდა სამშობლოდან აძევებდნენ...

მოკლედ,

## „ხალხის მტრის" იარლიყს ბევრი უდანაშაულო შეეწირა, მაგრამ ხალხის მტრები ბუნებაში მართლაც არსებობენ!

მაგალითად, ტროცკისტები ნამდვილად მავნებლობდნენ და ქვეყანას ძირს უთხრიდნენ. ამიტომ სტალინის მიერ 30-იან წლებში გატარებულ რეპრესიებს გარკვეული საფუძველი ჰქონდა. **სიმართლეა ის, რომ უკრაინასა და რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში ე.წ. კულაკები, რომლებსაც ოქტომბრის გადატრიალებამ უბედურების მეტი არაფერი მოუტანათ, პურის ყანებს ან ცეცხლს უკიდებდნენ, ანდა ხორბალს ორთქლმავლის ღუმელში წვავდნენ, რამაც უკრაინაში საშინელი შიმშილი, ე.წ. გოლოდომორი გამოიწვია.** ხალხის მტრები იყვნენ ის ბრიტანელი მოხელეები, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომის დროს ინდოელ გლეხებს ყველანაირი სატრანსპორტო საშუალება ჩამოართვეს, რათა იაპონიის არმიის შემოჭრის შემთხვევაში, მტრისთვის სწრაფი გადაადგილების საშუალება მოესპოთ. **ნავის, ურმის, ცხენის, ველოსიპედის, მოტოციკლისა და მანქანის გარეშე დარჩენილი მოსახლეობა ყველაფერს მოწყდა, ინდოეთში დაიწყო სასურსათო კრიზისი და დაახლოებით 29 მილიონი ადამიანი შიმშილით მოკვდა!**

**ხალხის მტერია** გვამებით მოვაჭრე ყველა ნაცსექტანტი, მათ შორის, უხსენებელი **ნატა ფერაძე, ნანული ჟორჟოლიანი** და ის ორი ნაცგარეწარი გურიის დათოვლილ გზაზე...

## შოუის ტრაგედია იყო, ანგელოზივით მარიტა მეფარიშვილის გარდაცვალება თუ მდინარე ვერეს ხეობაში დატრიალებული უბედურება, ნაცები და მათი პატრონები დავლურს უვლიდნენ და ხარობდნენ,

**რადგან მიაჩნდათ და მიაჩნიათ, რომ მხოლოდ სისხლი და ცხედრებია ის ერთადერთი გზა, რომლითაც ისინი ხელისუფლებაში მოვლენ.** ამიტომაც წუხდა „ნაცების ავგუსტინად" წოდებული **ლორა თორნტონი** და თავის უზინძურეს ზრახვებს არ მალავდა, როცა თბილისში **„იუსაიდის"** თუ **„ნედის"** მიერ დაფინანსებული აქციების შესახებ სოციალურ ქსელში წერდა — **გასაოცარია, ვინმე როგორ არ მოკვდაო!**

**სტალინის** ცნობილი განაცხადით, **ხალხის მტრების ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს!**

**ქართული მიწის დაწვისა რა მოგახსენოთ, მაგრამ აღვირახსნილ ნატა ფერაძესა და მისთანა ხალხის მტრებს რომ ქართული მიწა არ მიიღებს, ამაში ეჭვი არ გვეპარება!**

***დიტო ჩუბინიძე***



ნატა ფერაძე






ნანული ჟორჟოლიანი

**ამორალური და უხსენებელი ნატა ფერაძე ისევე, როგორც თოვლიანი გურიის გზაზე გამოსული ის ორი ნაცგარეწარი და ნანული ჟორჟოლიანი, სწორედაც რომ ხალხის მტრები არიან, რომლებიც საზოგადოებისგან დიდი ხნით იზოლაციას იმსახურებენ!**

## ★ ესენი არიან! ესენი არიან!

ასავალ-დასავალი
2025 წლის 3 მარტი. №9 (305)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის" საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# რუმინეთსა და ევროკავშირში ჩაუშესკუს აჩრდილი დაძრწის!

***ფონ დერ ლაიენების, კალასების, კუბილიუსებისა და იუკნევიჩიენეების ხელში ჩავარდნილმა სულთმობრძავმა ევროპულმა დემოკრატიამ 2025 წლის 26 თებერვალს უკანასკნელად ამოიხროტინა და მარილზე გავიდა!***

საქმე ის არის, რომ **2025 წლის 26 თებერვალს** დააკავეს რუმინეთის პრეზიდენტობის ყველაზე რეიტინგული კანდიდატი, 62 წლის **კალინ ჯორჯესკუ,** რომელიც ცენტრალური საარჩევნო ბიუროსაკენ მიემართებოდა, რათა ამა წლის 4 მაისს გასამართ საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭისყრისთვის დარეგისტრირებულიყო.

იგი პოლიციელებმა პირდაპირ ქუჩაში აიყვანეს და დასაკითხად რუმინეთის გენერალურ პროკურატურაში გაამწესეს.

**ანტილიბერალ და კონსერვატორ პოლიტიკურ ლიდერს, რომელმაც 2024 წლის ნოემბერში გამართული საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში გაიმარჯვა, ბრალად სდებენ კონსტიტუციური წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობას, ყალბი ინფორმაციის გავრცელებასა და ქსენოფობიური და ანტისემიტური ჯგუფების შექმნას, რისთვისაც 25-წლიანი პატიმრობა ემუქრება.**

გენერალურ პროკურატურაში 5-საათიანი დაკითხვის შემდეგ, **ჯორჯესკუს** ორთვიანი სასამართლო ზედამხედველობა დაუწესეს და ქვეყნიდან გასვლა აუკრძალეს, რაც, ფაქტობრივად, შინაპატიმრობის ტოლფასია და იმას ნიშნავს, რომ, დიდი ალბათობით, საპრეზიდენტო კანდიდატად დარეგისტრირების საშუალება აღარ ექნება ან, თუ დარეგისტრირდება, სრულფასოვან წინასაარჩევნო კამპანიას ვერ ჩაატარებს.

ლიბერალური ევრობიუროკრატიის მთავარი მიზანიც სწორედ ის არის, რომ ანტილიბერალმა **ჯორჯესკუმ** საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა ვეღარ მიიღოს, თორემ, მისი რეიტინგიდან გამომდინარე, ისევ გაიმარჯვებს და რუმინეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ძალიან გაუჭირდება, საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები მეორეჯერაც გააუქმოს.

2024 წლის ნოემბერში, როცა **ჯორჯესკუმ** საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური მოიგო, **გლობალური დიფ სთეითის, ანუ ფარული დასის** კონტროლს დაქვემდებარებულმა რუმინეთის საკონსტიტუციო სასამართლომ არჩევნების შედეგები სრულიად უსუსური და სასაცილო მიზეზით გააუქმა — **რუსეთმა „ტიკ ტოკში“ ჯორჯესკუს მხარდამჭერი ვიდეოების განთავსება დააფინანსა, რითიც რუმინელ ამომრჩეველზე ზეგავლენა მოახდინაო!**

თუმცა, 2024 წლის ნოემბრიდან დღემდე, ანუ მთელი სამი თვის განმავლობაში, რუმინეთის საგამოძიებო და საგადასახადო სამსახურებმა ვერ მოიპოვეს ერთი მტკიცებულებაც კი, რომელიც დაადასტურებდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში **ჯორჯესკუს** გამარჯვება რუსეთის ჩარევამ განაპირობა.

დიდი ალბათობით, ასეთი მტკიცებულება ბუნებაში არც არსებობს, მაგრამ რა ჯანდაბად სჭირდებოდათ მტკიცებულებები იმხანად აშშ-ის სათავეში მყოფ **ბაიდენის ადმინისტრაციასა და გლობალური ფარული დასის მარიონეტებს,** რომლებიც ევროკავშირს მართავენ? რაკი რუმინეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მათთვის მიუღებელმა კანდიდატმა გაიმარჯვა, ადგნენ და არჩევნების შედეგები გააუქმეს!

თუმცა, აშშ-ის ხელისუფლებაში **დონალდ ტრამპის** მოსვლის შემდეგ მსოფლიო სრულიად ახალ პოლიტიკურ რეალობაში ცხოვრობს, **გლობალურ ფარულ დასს,** მისი მარიონეტი ევრობიუროკრატიის ჩათვლით, უწინდელი ძალმოსილება აღარ გააჩნია და რუმინეთის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს ხელმეორედ ვეღარ გააუქმებს.

ამის დასტურია თუნდაც აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ **ჯეი დი ვენსის** გამოსვლა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე, სადაც მან ლიბერალიზმის წუმპეში მოფართხალე ევროპული ბიუროკრატია დემოკრატიული ფასეულობების დამარხვაში ამხილა და, მათ შორის, რუმინეთის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გაუქმებაზეც გააკეთა აქცენტი.

როგორც ჩანს, მიუნხენის კონფერენციაზე აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის გამანადგურებელი გამოსვლის შემდეგ გლობალური ფარული დასი და მისი ევროკავშირელი ადეპტები საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ თავიანთი ავტორიტარული ვნებების დემოკრატიით შენიღბვა აღარ გაუვათ, რის გამოც ვა-ბანკზე წავიდნენ და რუმინეთის პრეზიდენტობის ყველაზე რეიტინგულ კანდიდატს სისხლის სამართლის საქმე აღუძრეს, რათა არჩევნებში მონაწილეობა ვეღარ შეძლოს!

რასაც ახლა რუმინეთის ხელისუფლება და ევროკავშირის ბიუროკრატია პრეზიდენტობის კანდიდატ **კალინ ჯორჯესკუს** უკეთებენ, ზუსტად იგივეა, რასაც **ბაიდენის ადმინისტრაცია** უკეთებდა პრეზიდენტობის კანდიდატ **დონალდ ტრამპს,** როცა მის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას აწარმოებდა და ერთი შტატის სასამართლოდან მეორე შტატის სასამართლოში დაატარებდა, რათა მაქსიმალურად შეეშალა ხელი წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებაში.

იქიდან გამომდინარე, რომ **გლობალური ფარული დასი და მისი ევროკავშირელი პირისფარეშები** ახლა კუთხეში მიმწყვდეული ვირთხის მდგომარეობაში არიან, არც ის არის გამორიცხული, **კალინ ჯორჯესკუს** ფიზიკურ ლიკვიდაციაზეც კი წავიდნენ ისევე, როგორც **დონალდ ტრამპის** ლიკვიდაცია სცადეს პენსილვანიაში ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს ან სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრ რობერტ ფიცოს ესროლეს ხუთი ტყვია.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ევროკავშირისა და ნატო-ს წევრ რუმინეთში ჯერ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გაუქმება, ახლა კი ყველაზე რეიტინგული საპრეზიდენტო კანდიდატის წინააღმდეგ პოლიტიკურად მოტივირებული სამართლებრივი დევნის დაწყება ერთადერთ რამეს ნიშნავს — **რუმინეთსა და მთელ ევროკავშირში, სადაც კოლექტიურმა ფონ დერ ლაიენებმა დემოკრატია მოკლეს, 36 წლის წინათ დახვრეტილი რუმინელი დიქტატორის — ნიკოლაე ჩაუშესკუს აჩრდილი დაძრწის!**

დიახ, 2025 წლის 26 თებერვალს რუმინეთის პრეზიდენტობის ყველაზე რეიტინგული კანდიდატის **კალინ ჯორჯესკუს** დაპატიმრებით, რუმინეთსა და მთელ ევროკავშირში დემოკრატიის ფორმალურ არსებობასაც კი წერტილი დაესვა!



რუმინეთის პრეზიდენტობის კანდიდატი კალინ ჯორჯესკუ ქუჩაში დაკავების შემდეგ გენერალურ პროკურატურაში დაკითხვაზე შეჰყავთ. 2025 წლის 26 თებერვალი



ევრო-კომისარი კაია კალასი

ევრო-კომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი



რუმინეთის დიქტატორი ნიკოლაე ჩაუშესკუ. 1918–1989

## ასე რომ, დაიმახსოვრეთ 2025 წლის 26 თებერვალი! – ეს ევროპაში დემოკრატიის სიკვდილის თარიღია!

*ჯაბა ხუბუა*

## კვირგვინოსნები



**ზურაბ აბაშიძე**
*თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე*

**დემოკრატიული არჩევნების გზით გამოხატული ნება** არის ქართველი ხალხის კონსტიტუციური უფლება და ეს **არ უნდა იყოს განხილვის საგანი.**

„რეპორტიორი“



**ოთარ ჯანელიძე**
*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

ხელისუფლებამ საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანოს — **ნაცები გაასამართლოს** და პოლიტიკურ-სამართლებრივი შედეგი დადგეს. **მეხუთე კოლონის ჩარეცხვის პროცესი თანდათან დასრულდება** და მალე სულ გაქრებიან.

„საერთო გაზეთი“



**დემურ გიორხელიძე**
*ეკონომისტი, პოლიტოლოგი*

ყველაფერი შეიცვლება მაშინ, **თუ 9 მაისს ტრამპი და სი ძინპინი ჩავლენ მოსკოვში ნაცისტურ გერმანიაზე გამარჯვების 80 წლისთავზე.** ეს იქნება უდიდესი მასშტაბის მოვლენა, წმინდა გეოპოლიტიკური დანიშნულების და მიუთითებს იმაზე, რომ **წარსული დასრულებულია.**

„თბილისელები“



**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ ლიდერი*

ოდესღაც ხალხი გამოიღვიძებს და მიხვდება, **თუ რა ტყუილად დაატარებდნენ ქუჩაში** მოსყიდული მედიაფრინველები და პოლიტიკოსები.

„რეზონანსიდეილი“



**გურამ მაცხონაშვილი**
*აქტივისტი, ბლოგერი*

თუ პროტესტი უმოკლეს დროში არ გადაეწყო, **ვერც არჩევნებს მივიღებთ და ვერც ტყვეებს დავიხსნით ციხეებიდან,** პირიქით, ჩვენც იქ შევალთ.

„რეზონანსიდეილი“

# თამაზ ბიბილური:
# ყველა ამ ფოტოს „ასავალ-დასავალში“ გამოსაქვეყნებლად სიამოვნებით გადმოგცემთ!

**ცნობილი ქართველი ჟურნალისტი და ფოტოგრაფი თამაზ ბიბილური მრავალწლიან დუმილს არღვევს და იმ განცდილისა და ნანახს იხსენებს, რომელიც ეროვნული მოძრაობის აღმავლობისა და საქართველოს დაცემის ისტორიულ და სისხლიან ეპოქას უკავშირდება.**






**— ბატონო თამაზ, თქვენ ძალიან ახლოს იცნობდით ზვიად გამსახურდიას. თავიდან საქართველოს პირველ პრეზიდენტს ამერიკელებთან იდეალური ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ მერე ყველაფერი აირია. რა იყო ამის მიზეზი?**

— ამის მიზეზი გახლდათ იმხანად უმუშევარი **შევარდნაძე,** რომელიც უკვე 1990 წლის გაზაფხულზე ხმებს ავრცელებდა — საქართველოში მინდა ჩასვლა, მაგრამ **ზვიად გამსახურდია** დაჭერას მიპირებსო! ამას იმდენად დამაჯერებლად მიმტკიცებდნენ, რომ ცხონებულ ზვიად გამსახურდიას ერთხელ ვკითხე კიდეც — **შევარდნაძე რომ საქართველოში დაბრუნდეს, წინააღმდეგი იქნებით-მეთქი?!** — დაბრუნდეს და ემსახუროს საქართველოს, ვინ უშლის, ამას როგორ შევეწინააღმდეგებიო! — მიპასუხა ზვიადმა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, 1988 წლის 29 მაისს **პრეზიდენტი რეიგანი** მოსკოვში ჩავიდა... მისი ვიზიტი 2 ივნისამდე გაგრძელდა. სწორედ ამ ვიზიტის დროს მოითხოვა მან საბჭოთა დისიდენტებთან შეხვედრა. დისიდენტების სიაში, რომლებიც რეიგანს მისივე მოთხოვნით შეახვედრეს, პირველი სწორედ **ზვიად გამსახურდია** ეწერა. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ ამერიკელებმა დისიდენტებისა და, მათ შორის, **ზვიად გამსახურდიას** გულწრფელი და სამართლიანი პრეტენზიები საბჭოთა სისტემის მიმართ გამოიყენეს... არადა, როცა საქმე საქმეზე მიდგა და საქართველოში სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, **ზვიად გამსახურდიას** არც ამერიკის ვიზა მისცეს და ევროპაში წასასვლელი გზებიც დაუბლოკეს! **ზვიად გამსახურდიამ** ერთხელ პირდაპირ მითხრა — **პრეზიდენტ ბუშს** უნდოდა, რომ საქართველო ამერიკის კოლონია ყოფილიყო, რასაც არ დავთანხმდიო! მან ისიც მაუწყა, რომ **პრეზიდენტ ბუშის** ადმინისტრაცია მისგან ითხოვდა უსიტყვო მორჩილებას და საქართველოში მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური საზოგადოების შექმნას, სადაც მართლმადიდებლობას გადამწყვეტი როლი და ფაქტორი აღარ ექნებოდა! **ცხადია, ზვიად გამსახურდია ამას არ შეასრულებდა, რასაც საქართველოს პრეზიდენტსა და ამერიკის პრეზიდენტს**



**„შეიარაღებულმა ბანდამ ატეხა ჩხუბი. ამ ყველაფრის ამსახველი ექსკლუზიური კადრები მაქვს, რადგან სატვირთო მანქანის სახურავზე ავედი და ფოტოაპარატით ყველაფერს ვიღებდი!“**

**შორის კონფლიქტი მოჰყვა.**

კონფლიქტი საბოლოოდ გაცხადდა ცნობილი შეხლა-შემოხლით, როცა ზვიად გამსახურდიამ ამერიკის პრეზიდენტს საუკუნის პასუხი გასცა — **„მდინარის დინებას მხოლოდ მკვდარი თევზები მიჰყვებიან!“** მოკლედ, ყველაფრის თავი და თავი ისევ და ისევ შევარდნაძე იყო. უმუშევრად გახლდათ დარჩენილი და მოსკოვში ცხოვრობდა, როცა შევარდნაძემ საქართველოში შექმნა მძლავრი აგენტურული ქსელი ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების დამხობის მიზნით! ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია **გიორგი ჭანტურიას** „ედპ“ და **თემურ ჟორჟოლიანი,** რომლებსაც პირდაპირ შევარდნაძე მართავდა. **თემურ ჟორჟოლიანი** ისე სწრაფად დაუახლოვდა ზვიად გამსახურდიას, მაშინვე ეჭვი გამიჩნდა,

## კვირგვინოსნები

**თორნიკე შარაშენიძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი*



კაცმა არ იცის, **ოპოზიცია რას აპირებს, დაკარგეს დაფინანსება და რა მიიღეს?** ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები მოდის და **დაფინანსების გარეშე რას იზამენ?** არადა, თბილისი რომ მოეგოთ, რისი დიდი შანსიც იყო, **ცვლილებები დაიწყებოდა.**

„კვირის პალიტრა“

**მირიან მირიანაშვილი**
*ანალიტიკოსი*



ვის სჯერა, რომ **გვარამია,** რომელსაც **ივანიშვილის** ოლიგარქმა **ოქუაშვილმა** 4 თუ 5 მილიონი მისცა ხელფასის სახით, **ივანიშვილის პოლიტიკური დავალებების გარეშე მოქმედებს?** ახლა მეტყვით, **გვარამია ციხეშიც ხომ იჯდაო...** ეს მისი პოლიტიკური იმიჯისთვის გაკეთდა, **იმიტომაც იჯდა ხუთვარსკვლავიან საკანში.**

„კვირის პალიტრა“

**ლაშა ჩხარტიშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*



**ხელისუფლება არ გვყავს,** რუსთაველზეც და სტიქიის ზონაშიც **მოხალისეები იბრძვიან.**

„ახალი თაობა“

**ვახუშტი მენაბდე**
*კონსტიტუციონალისტი*



ოპოზიციურმა პარტიებმა არ უნდა იფიქრონ, რომ **ოქტომბერში მიღებული ხმები** დღეს ჯიბეში უდევთ.

„კვირის პალიტრა“

**დავით ქიქინაძე**
*პარტია „ტრიბუნას“ თავმჯდომარე*



**არ ჩანს, რომ ოპოზიცია დამოუკიდებელი და თავისუფალია** საკუთარ მოქმედებებში. ასე იცის **კულუარულმა გარიგებებმა.**

„ახალი თაობა“

რომ რაღაცაში იყო საქმე. 1991 წლის მარტში, სანამ **რიჩარდ ნიქსონი** საქართველოში ჩამოვიდოდა, **თემურ ჟორჟოლიანი** რუსთაველზე ცდილობდა ჩემს გადაბირებას — **თამაზ, ნიქსონი რომ ჩამოვა, ჩვენ ერთად უნდა გამოვიდეთ და მის დასანახად ზვიადი დავგმოთო!** ჟორჟოლიანს, ცხადია, მაშინვე გავეცალე... რაც შეეხება **გიორგი ჭანტურიას,** „ედპ"-ის ლიდერი უშუალოდ შევარდნაძემ დაამუშავა. **გიორგი ჭანტურია და თემურ ჟორჟოლიანი** შევარდნაძესთან მოსკოვში ერთად ჩავიდნენ...

**— რისთვის ჩავიდნენ?**

— დახმარების სათხოვნელად! ცხადია, **შევარდნაძეს** ეს ყველაფერი ძალიან მოეწონა და **ჭანტურიასა და ჟორჟოლიანის** დახმარება **სოლიკო ხაბეიშვილს** დაავალა, რომელიც მაშინ შევარდნაძის ფონდის თავმჯდომარე იყო. **ხაბეიშვილი** დატრიალდა და **ჭანტურიასა და ჟორჟოლიანს** ფული მისცა, ხოლო **შევარდნაძემ** ერთსაც და მეორესაც საზღვარგარეთის პასპორტები გაუკეთა და ესპანეთში გაგზავნა!

მონარქისტული პარტიის თავმჯდომარე **თემურ ჟორჟოლიანი** და „ედპ"-ის ლიდერი **გიორგი ჭანტურია** ესპანეთში შევარდნაძის მიერ მიცემული ფულით ჩავიდნენ, ქართველ ბაგრატიონებს შეხვდნენ და ასეთი წინადადებით მიმართეს — **ოღონდაც ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლაში მხარი დაგვიჭირეთ და საქართველოში გაგამეფებთო!** ჭანტურიამ და ჟორჟოლიანმა ესპანეთში მცხოვრები ბაგრატიონები ისე შეაწუხეს, რომ ერთ-ერთმა მათგანმა პრესის საშუალებით განცხადება გააკეთა — **ეს აფერისტები მოგვაშორეთო!**

საერთოდ, **სოლიკო ხაბეიშვილი,** კომუნისტების დროიდან მოყოლებული, შევარდნაძის დიდი მესაიდუმლე და მოლარე იყო! მოხდა ასეთი ფაქტი: მოსკოვში მეგობრის დაბადების დღეზე ვიყავი, სადაც მოვიდა ერთი გავლენიანი კაცი, რომელიც, თურმე, კრემლში ძალიან მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა. მოულოდნელად ის კაცი მეუბნება — **ნეტავნეტავ ია ვიდელ ვაშეგო სოლიკო!**

— კაკოგო სოლიკო? — ვკითხე.

— **ხაბეიშვილი!** იმ კაცმა ასეთი რამ მიამბო: კრემლის აგარაკზე ვიყავით, სადაც ჩემი მეგობრის დაბადების დღეს აღვნიშნავდით. არ ვიცი, როგორ და რა მანქანებით, მაგრამ სუფრასთან გამოჩნდა **სოლიკო ხაბეიშვილი,** რომელმაც იუბილარს ბრილიანტის ბეჭედი, საყურეები და ყელსაბამი აჩუქა. ეს ყველაფერი იმდენად ძვირფასი იყო, ყველა გაოცებული დავრჩით... ამ საჩუქრის უკან იდგა **შევარდნაძის** სურვილი, რომ საბჭოთა საქართველოს მიეღო გარდამავალი წითელი დროშა და ლენინის ორდენი. იმ დღეებში კრემლში სწორედ ეს საკითხი წყდებოდა და ბჭობდნენ, თუ რომელ რესპუბლიკაზე შეეჩერებინათ არჩევანი. საბოლოოდ გარდამავალი წითელი დროშა და ლენინის ორდენი საქართველოს ერგო, რაც არ გამკვირვებია, რადგან **სოლიკო ხაბეიშვილს** შევარდნაძისგან დავალებული ჰქონდა პოლიტბიუროს წევრებისა და საბჭოთა კავშირის მინისტრების ოჯახის წევრების მოსყიდვა! აი, ეს მიამბო იმ გავლენიანმა კაცმა, რომელიც კრემლში ძალიან მაღალ პოსტზე მუშაობდა.



თენგიზ სიგუა

„1991 წლის 21 დეკემბერს, დაახლოებით დღის 4 ან 5 საათი იქნებოდა, როცა რუსთაველზე, მხატვრის სახლთან, გამოჩნდნენ შეიარაღებული ბოევიკები, რომლებსაც წინ თენგიზ სიგუა და ლევან ღვინჯილია მოუძღოდნენ!"



ლევან ღვინჯილია




„1991 წლის 22 დეკემბერს თავისუფლების მოედანზე, სადაც უწინ ლენინის ძეგლი იდგა, რამდენიმე „ტელეგრეიკიანი" და ავტომატიანი ახალგაზრდა პუშკინის ქუჩიდან მომავალ მანქანებს აჩერებდა, საიდანაც ხალხი ხელკავით გადმოჰყავდათ და მანქანებს იტაცებდნენ!"




**— პრივატულ საუბარში ბრძანეთ, რომ პირისპირ შეეჩეხეთ და ფოტოსურათიც კი გადაუღეთ იმ უცხოელ ბანდიტებს, რომლებიც 1991 წლის დეკემბერში კანონიერ ხელისუფლებას ტყვიას უშენდნენ!**

— 1991 წლის 21 დეკემბერს, დაახლოებით დღის 4 ან 5 საათი იქნებოდა, როცა რუსთაველზე, მხატვრის სახლთან, გამოჩნდნენ შეიარაღებული ბოევიკები, რომლებსაც წინ **თენგიზ სიგუა და ლევან ღვინჯილია** მოუძღოდნენ. იქ საუბარი იყო მთავრობისა და შეიარაღებული ოპოზიციის მხარდამჭერი მიტინგების გაერთიანებაზე, რაც არ მოხდა. ამასობაში იმ შეიარაღებულმა ბანდამ ატეხა ჩხუბი. ამ ყველაფრის ამსახველი ექსკლუზიური კადრები მაქვს, რადგან სატვირთო მანქანის სახურავზე ავედი და ფოტოაპარატით ყველაფერს ვიღებდი.

თურმე, იმ ბოევიკების უფროსი მცნობდა და ბანდიტებს ჩემი დაპატიმრება უბრძანა — აი, ეს არის ბიბილური, დაიჭირეთო! ეს ყველაფერი გავიგონე და სატვირთო მანქანიდან მეორე და მესამე მანქანაზე გადავხტი... ბოლოს და ბოლოს, ჩავხტი მთავრობის სახლის წინ ბუჩქებში და ბანდიტებს ერთი ნაბიჯითღა გავასწარი. სახლში მისვლა ვერ გავბედე, მაშინვე ჩემს ოფისში, **ლესელიძის ქუჩის №8-ში** მივედი, სადაც ფოტოაპარატში ახალი ფირი ჩავდე და ისევ უკან დავბრუნდი... 1991 წლის 22 დეკემბერს თავისუფლების მოედანზე, სადაც უწინ ლენინის ძეგლი იდგა, რამდენიმე „ტელეგრეიკიანი" და ავტომატიანი ახალგაზრდა პუშკინის ქუჩიდან მომავალ მანქანებს აჩერებდა, საიდანაც ხალხი ხელკავით გადმოჰყავდათ და მანქანებს იტაცებდნენ. ესენი მხედრიონელები იყვნენ... პიონერთა სასახლეში, დაახლოებით ორმოცამდე კაცი იყო მოსული, რომლებიც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების წარმომადგენლებს ეხვეწებოდნენ — იარაღი მოგვეცით, ჩვენ დაგიცავთო! — არა, ჩვენ დაცვა არ გვჭირდება, სახლში წადითო! — პასუხობდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები. უცბად ქაშუეთის მხრიდან ზარბაზანი გავარდა და ხალხი კიდევ უფრო შეშინდა. იმ არეულობაში ჩემი ნაცნობი ჟურნალისტი შემხვდა, რომელმაც მითხრა — თამაზ, შენ ნაცვლად მე დამაპატიმრესო! თურმე, იმ ბოევიკებს წინა დღით ამისთვის წაუვლიით ხე-

გაგრძელება 22-ე გვერდზე

## კვირგვინოსნები

**გოჩა კაკანაძე**
*რეჟისორი*



მთავრობა უნდა ეძებდეს გზებს ხალხთან დასალაპარაკებლად, **აბა, სამოქალაქო დაპირისპირებამდე უნდა მივიდეთ?!** ხელისუფლებასთან დიალოგია საჭირო. **„ამასთან არ დავჯდები", „იმას არ დაველაპარაკები"** — არ შეიძლება.

„კვირის პალიტრა"

**დავით დვალიშვილი**
*მსახიობი*



ჩვენს ქვეყანაში 200 თეატრია და **ყველა თავისთვის რალაცას „უბერავს"** — ასე არ შეიძლება. **თეატრს თავისი წესი და კანონები აქვს,** რომლებსაც უნდა დაემორჩილო. კი, **შენი აზრი ყოველთვის უნდა თქვა,** მაგრამ ეს სხვაგვარად, სხვა ფორმით უნდა გააკეთო.

„კვირის პალიტრა"

**ნინო ფოჩხუა**
*ექსპერტი*



**როგორც კი თოვლი დაინახეს და როცა რეგიონებს გაუჭირდათ,** დაივიწყეს პატიმრებიც, აქციებიც, ტრამპიც. ოპოზიციური ტელევიზიები **თითქოს ვერ ხედავენ და არ ესმით, როგორ არიან ჩართული სტიქიასთან ბრძოლაში** როგორც ადგილობრივი ხელისუფლება, ისე საქართველოს მთავრობა.

„POSTV.GE"

**პიმენ ყურაშვილი**
*ექიმი, კონფლიქტოლოგი, უნივერსიტეტის პროფესორი, საზოგადოება „ქართულის" წევრი*



საქართველო უნდა იდგეს **საკუთარი ინტერესების სადარაჯოზე, სიმართლის სადარაჯოზე** და ეს ძალიან კარგად აწარმოა საქართველოს ხელისუფლებამ **და ასე უნდა გავაგრძელოთ.**

„TV იმედი"





## თამაზ ბიბილური:

# მკვლელი დამიზნებით ისროდა... ძალიან შემეშინდა, მაგრამ მოვახერხე და ეს არაქართველი მკვლელი გადავიღე, რომლის ფოტოსაც ექსკლუზიურად გთავაზობთ, რათა გამოაქვეყნოთ!

*დასაწყისი მე-20 გვერდზე*

ლი და სასტუმრო „თბილის-ში“, სადაც ოპოზიციის შტაბი იყო, მიუთრევიათ — **აი, ბიბილური მოვიყვანეთო!** როცა მან ყვირილი ატეხა — ბიბილური არ ვარო! — დაემუქრნენ — აღიარე, რომ ბიბილური ხარ, თორემ უთოს დაგადებთ და გაწამებთო! მერე ვიღაცას უცვნია და გამოუშვეს... იმ უბედურებაში ძალიან მინდოდა კინოთეატრ „რუსთაველში“ შესვლა, რათა მაღლიდან დამენახა, რა ხდებოდა რუსთაველზე და ეს ყველაფერი გადამეღო.

**— ეს უკვე 1991 წლის 22 დეკემბერს ხდება, ხომ?**

— დიახ! კინოთეატრ „რუსთაველის“ მეორე თუ მესამე სართულზე რის ვაი-ვაგლახით ავაღწიე, ფანჯარა გამოვაღე და ფოტოაპარატი მოვიმარჯვე. ჩემ თვალწინ პირველი სკოლის სახურავიდან ბოლი ავარდა და შენობას ცეცხლი გაუჩნდა... ეს გადავიღე და მეორე კადრის გადაღებას ვაპირებდი, როცა შევნიშნე, რომ ჩემ გარშემო სრულიად უცხო ხალხმა, აშკარად არაქართველებმა მოიყარეს თავი, რომლებმაც ავტომატები დააძრეს... ეს ადამიანები ერთმანეთს ჟესტიკულაციებითა და თვალებით ელაპარაკებოდნენ. ეტყობა, არ უნდოდათ, რომ მათი ლაპარაკი მომესმინა. ერთ-ერთმა ამოიღო ავტომატი და კინოთეატრ „რუსთაველის“ ფანჯრიდან დაიწყო ხალხის ხოცვა. მკვლელი დამიზნებით ისროდა... ძალიან შემეშინდა, მაგრამ მოვახერხე და ეს არაქართველი მკვლელი გადავიღე, რომლის ფოტოსაც ექსკლუზიურად გთავაზობთ, რათა გამოაქვეყნოთ. კიდევ უამრავი საინტერესო ფოტოსურათი მაქვს, რომელიც ჯერ არსად გამოქვეყნებულა და არავის უნახავს. ამ ფოტოებში, რომლებიც, ფაქტობრივად, ეროვნული მოძრაობისა და სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალების დოკუმენტური ქრონიკაა, საკუთარ თავს ბევრი იპოვის... **ყველა ამ ფოტოს „ასავალ-დასავალში“ გამოსაქვეყნებლად სიამოვნებით გადმოგცემთ!** მოკლედ, არ ვიცი, მაშინ კინოთეატრ „რუსთაველში“ იმ მკვლელების გარემოცვაში როგორ გადავრჩი...

**— მაინც ვინ იყვნენ ეს უცხოელი მკვლელები?**

— როგორც მოგვიანებით შევიტყვე, ესენი იყვნენ როსტოვის სპეცრაზმის წევრები, საგანგებოდ გაწვრთნილი მკვლელები, რომელთა ნაწილიც მთავრობის სასახლის ე.წ. ბუნკერში „სანტექნიკოსისა“ და „მექანიკოსის“ საფარქვეშ იყო შეპარული, როგორც დივერსანტი და ჯაშუში, ხოლო ნაწილი რუსთაველზე იბრძოდა და ხალხს ხოცავდა!

სხვათაშორის, ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭოს ერთ-ერთმა დეპუტატმა ეს ინფორმაცია დამიდასტურა და ასეთი რამ მითხრა: 1992 წლის 6 იანვარს, როცა მთავრობის სასახლიდან გავდიოდით, ერთ-ერთ დივერსანტს ჯიბიდან საბუთები ამოუვარდა, სადაც პირადობის მოწმობაში ეწერა, რომ როსტოვიდან იყოო! გამოდის, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაში ამერიკის შეერთებული შტატები და როსტოვის სპეცრაზმი ერთად მონაწილეობდნენ, რაც თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკისთვისაც სიმპტომატურია.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

**„ამ ფოტოებში, რომლებიც, ფაქტობრივად, ეროვნული მოძრაობისა და სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალების დოკუმენტური ქრონიკაა, საკუთარ თავს ბევრი იპოვის...“**



*დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2024 წლის №30-53, 2025 წლის №1-2, 3-9*

***უფლებადამცველი ლაზარე ჯორბენაძე სააკაშვილისა და მისი ხროვის მიერ მიტაცებული ქონებების შესახებ სკანდალურ ფაქტებს ასაჯაროებს და აცხადებს, რომ საიდუმლო დასის, ანუ დიპ სთეითის აგენტურა, რომელიც პროკურატურასა და სასამართლოშია ჩაბუდებული, პარლამენტში შექმნილი საგამოძიებო კომისიის მუშაობას საბოლოოდ ჩიხში შეიყვანს და საქართველოში სამართლიანობას არ აღადგენს:***




## ლაზარე ჯორბენაძე:

# რესტორნების ქსელი „ლაზური“ მერაბიშვილის საკუთრებაა!

— პარლამენტში 2003-2012 წლებში ჩადენილი დანაშაულების გამოსაძიებლად საპარლამენტო კომისიის შექმნას კიდევ ერთხელ მივესალმები. ამ კომისიის თავმჯდომარედ **თეა წულუკიანზე** უკეთეს კანდიდატურას, ალბათ, ვერავინ შეარჩევდა, მაგრამ გარკვეული კითხვის ნიშნები მთელ ამ პროცესს მაინც გასდევს. დავუშვათ, კომისიამ ნაცმოძრაობის დროს ჩადენილი დანაშაულები სრულყოფილად შეისწავლა და დამნაშავენიც გამოავლინა; ეს რომ სამართლებრივად გამყარდეს, ამისათვის საგამოძიებო კომისიის მიერ შეგროვებული მასალები გამოსაკვლევად უნდა გადაეგზავნოს გენერალურ პროკურატურას. შეგახსენებთ, საპარლამენტო საგამოძიებო კომისიას აქვს გამოკითხვის და არა დაკითხვის უფლება. მართალია, კომისიაზე გამოუცხადებლობა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მაგრამ კომისია ვერავის დაიჭერს. ეს ფუნქცია გენერალური პროკურატურის პრეროგატივაა. საგამოძიებო კომისია მუშაობას რომ დაამთავრებს, აი, სწორედ მანდ შევა გამოძიება ჩიხში!

**— თქვენ ფიქრობთ, რომ გენერალური პროკურატურა დამნაშავე ნაცებს არ ან ვერ დაიჭერს?**

— დიახ, საგამოძიებო კომისიის ნამუშევარი იურიდიულ, ანუ სამართლებრივ შედეგამდე ვერ მივა და პროკურატურა კონკრეტულ დანაშაულებთან მიმართებაში შერჩევითი იქნება!

**— დააკონკრეტეთ რას გულისხმობთ!**

— აი, მაგალითად, ავიღოთ ნაცების მიერ ქონებების მიტაცების საქმე! **სააკაშვილი** და განსაკუთრებით **ადეიშვილი** იმიტომ არიან დიდი ძაღლისთავები, რომ ვერცერთ საქმეში, რაც ქონებების წართმევას უკავშირდება, მათ ხელმოწერას ვერ იპოვით, ანუ სასამართლოს დადგენილების გარეშე არცერთი ქონება ჩამორთმეული არ არის... რა თქმა უნდა, ქონებების წართმევას **სააკაშვილი და ადეიშვილი** ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ ბრძანებებს სიტყვიერად გასცემდნენ. ბიზნესმენების ქონებების მიტაცებას ფინანსური პოლიციის საგამოძიებო სამსახური ახორციელებდა, რომელიც **დავით კეზერაშვილს** ექვემდებარებოდა. ცხადია, არც **კეზერაშვილი** ართმევდა ქონებებს ხმლით და თოფით, ისიც სიტყვიერ ბრძანებებს გასცემდა. ფინანსური პოლიციის საგამოძიებო სამსახურის უფროსი მაშინ იყო **მამუკა ბილიხაძე** ~~ბილიგაშვილი~~



**„ეს ხალხი თავის თავს არ გაასამართლებს!“**



**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*



ახლა **აქციებში მონაწილეობა ცოტათი მოდის სახეს იძენს** — ღამე გასეირნება, ერთმანეთს ხვდებიან, თავისუფლების განცდა აქვთ და ა.შ., მაგრამ **ეს ყველაფერი ცუდ საქმეს ხმარდება** იმ მხრივ, რომ ქვეყანაში იქმნება არასტაბილურობის სურათი.

„რეზონანსი“

**ლელა ჯეჯელავა**
*ანალიტიკოსი*



**ყველაზე დიდი სტიქია „ქართული ოცნებაა“.** ქვეყანა, რომელიც **კრიზისულ სიტუაციებში მზად არ არის,** ის სახელმწიფო არ არის!

„ახალი თაობა“

**ნანუკა კალატოზიშვილი**
*მსახიობი*



პოლიტიკოსობა **არ არის პრივილეგია,** არამედ **არის დიდი პასუხისმგებლობა.** ან არიან ამ **პასუხისმგებლობისთვის** მზად, ან — არ არიან. პასიური პოზიციიდან უნდა გამოვიდნენ. **„ოცნება“ თუ ვერ თმობს თავის ფულს, ესენი თავიანთ ეგოებს ვერ თმობენ.**

„ახალი თაობა“

**დავით ბერძენიშვილი**
*რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*



ჩვენ გვყავს **ყველაზე მაღალი ნდობის ფიგურა — სალომე ზურაბიშვილი.** შემდეგ არჩევნებში **სწორედ მისი ლიდერობით გავა ქართული ოპოზიცია** და გაიმარჯვებს.

„ახალი თაობა“

**გიგა ლემონჯავა**
*პარტია „დროის“ ერთ-ერთი ლიდერი*



სანამ საქართველოში არ ჩატარდება **ახალი საპარლამენტო არჩევნები** და მერე **საპრეზიდენტო არჩევნები,** მანამდე **ზურაბიშვილი** დარჩება ქვეყნის **ლეგიტიმურ პრეზიდენტად.**

„ახალი თაობა“





# „უსუფაშვილი, ხიდაშელი, მთელი რესპუბლიკური პარტია, ირაკლი ალასანია და ნინო გოგუაძე სულ ფარული დასის აგენტები არიან!“



ნუნუ გინტური

## „ჩემი ინფორმაციით, ნაცმოძრაობის მიერ მიტაცებული არაერთი ქონება ნუნუ გინტურის საახლობლოზეა გადაფორმებული და ყველაფერს ეს ნოტარიუსი მართავს!“

**შვილის** სასამართლო აკანონებ-და.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ დამიტოვეთ უფლება ვიკითხო — **მზად არის „ქართული ოცნება“, ის ხალხი დასაჯოს, რომელმაც სამართალი გაამრუდა და ადამიანები განაკულაკა?** აი, სწორედ ეს არის სამართლებრივი ჩიხი, რომელშიც „ქართული ოცნების“ საპარლამენტო საგამოძიებო კომისია საბოლოოდ შევა. ეს არის შედეგი იმ მახინჯი კოჰაბიტაციისა, რაც **დიპ სთეიტმა, ანუ ფარულმა დასმა** 2012 წელს ხელისუფლებაში მოსულ „ქართულ ოცნებას“ დაავალა. მაშინდელი „ქართული ოცნების“ პარლამენტი სავსე იყო **ფარული დასის** აგენტებით. **უსუფაშვილი, ხიდაშელი,** მთელი რესპუბლიკური პარტია, **ირაკლი ალასანია და ნინო გოგუაძე** სულ **ფარული დასის** აგენტები არიან. სწორედ მათ აიძულეს **ბიძინა ივანიშვილი,** რომ სააკაშვილის სისხლიან რეჟიმთან დანაშაულებრივი კოჰაბიტაცია გაფორმებულიყო!

**— გამორიცხავთ, რომ საქართველოს ხელისუფლება ვაბანკზე წავიდეს და თქვენ მიერ დასახელებული პირები და კიდევ სხვა დამნაშავეები, რომლებიც ქონებების უკანონო წართმევასა და ათას უბედურებაში მონაწილეობდნენ, დასაჯოს?**

— „ქართულ ოცნებას“ ხელფეხი დღესაც შეკრული აქვს. ის ნამდვილ დამნაშავეებს ვერ დასჯის და მხოლოდ შემსრულებლებზე გადატეხავს ჯოხს. თუმცა, **ამ საგამოძიებო კომისიის პოლიტიკური მიზანი შესრულდება და ნაცმოძრაობა დამნაშავე პარტიად გამოცხადდება, რაც უდავოდ მისასალმებელია!** მიტაცებული მილიარდებისა და ქონებების მოძიებასა და დაბრუნებას სჭირდება ობიექტური პროკურატურა და სასამართლო, რაც საქართველოში არ არსებობს, რადგან პროკურატურა სავსეა **კეზერაშვილის** ფინანსური პოლიციის საგამოძიებო სამსახურის მაღალჩინოსნებით, ხოლო სასამართლო — **ადეიშვილის** ხელისბიჭებით! ეს ხალხი თავის თავს არ გაასამართლებს! არსებობენ ბიზნესმენები, რომლებიც სოციალურ ქსელებში დღემდე აცხადებენ, რომ მათ ქონებები სააკაშვილის რეჟიმის დროს **ირაკლი შოთაძის** დადგენილებით ჩამოართვეს. სად არის დღეს **ირაკლი შოთაძე?** იგი „ქართული ოცნების“ ნავიდან გადმოხტა... ზუსტად ასე მოიქცა ყველა ის ფიგურა, რომელიც „ქართულ ოცნებაში“ **დიპ სთეითის** მიერ იყო ჩანერგილი.

**— აკი ირაკლი შოთაძე მძიმე ავად არის და გენპროკურორობიდან იმიტომაც გადადგა?!**

— **ირაკლი შოთაძე** ისე არის მძიმე ავადმყოფი, როგორც მე ვარ ბრუნეის პრინცი! ახალგაზრდა კაცია და არ შეიძლება, რომ მე ვინმეს ცუდად ყოფნა მინდოდეს, მაგრამ **ირაკლი შოთაძემ** „ქართულ ოცნებას“ უგანა... თუ რატომ, ეს მისი გადაწყვეტილებაა. მაგალითად, **არჩილ კბილაშვილი** ირაკლი შოთაძესთან შედარებით ძალიან პატიოსანი კაცია. ცხრა თვის განმავლობაში, სანამ მთავარი პროკურორი იყო, კვირაში ერთხელ მაინც ვნახულობდი და ღამის 3 საათამდე ვსაუბრობდით. **კბილაშვილს** გენერალური პროკურატურის შენობაში ეძინა და დღედაღამ მუშაობდა... იგი „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ერთადერთი მთავარი პროკურორი იყო, რომელსაც კარი ღია ჰქონდა და ნაცრეჟიმის მიერ დაზარალებულ აბსოლუტურად ყველა მოქალაქეს ღებულობდა. **არჩილ კბილაშვილს** ხელი შეუშალეს და არ მისცეს საქმეების გამოძიების საშუალება, რადგან მთავარი დამნაშავეები სწორედ პროკურატურაში ისხდნენ. მას ან სისტემა უნდა დაენგრია და პროკურატურა გაეწმინდა, ანდა წამოსულიყო. კაცი ლამის დაავადდა... საბოლოოდ **არჩილ კბილაშვილი** მიხვდა, რომ სისტემას ვერ მოერეოდა და წამოვიდა. ამის შემდეგ მთავარი პროკურორი გახდა ნაცმოძრაობის ნომენკლატურის წევრი **ბატონი ფარცხალაძე...** მას მოჰყვა **ბადაშვილი, შოთაძე, ვასაძე, აბულაძე და გაბიტაშვილი...** ასე რომ, მეპარება ეჭვი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დაპირებული სამართლიანობის აღდგენა შეძლოს!

**— შეგიძლიათ, კონკრეტულად დაასახელოთ ქონებების წართმევის რამდენიმე ფაქტი?**

— ავიღოთ თუნდაც ბიზნესმენი ანზორ ქოქოლაძე, რომლის განსაკუთრებულად **მამუკა ხაზარაძე** გამოიყენეს. ქოქოლაძის საქმეზე **ბიბი უგულავა** გასამართლდა, მაგრამ 272 მილიონს, რომელიც მას აზარალეს, ვინ აანაზღაურებს? სხვათაშორის, **ანზორ ქოქოლაძემ** „ელიტ ელექტრონიქსი“ დღემდე ვერ დაიბრუნა... უფრო მეტიც, **მამუკა ხაზარაძის** მიერ უკანონოდ მიტაცებული ბიზნესების გადაფორმებას ვინც უზრუნველყოფდა, მაგალითად, ნოტარიუსი **ნუნუ გინტური,** თურმე, გაუთავისუფლებიათ. იგი ნაცმოძრაობის დროს **ადეიშვილის** ყველაზე საუკეთესო შემსრულებელი იყო! ჩემი ინფორმაციით, ნაცმოძრაობის მიერ მიტაცებული არაერთი ქონება სწორედ **ნუნუ გინტურის** საახლობლოზეა გადაფორმებული და ყველაფერს იგი მართავს. **გინტური უკვე მეორეჯერ გაათავისუფლეს,** არადა, მას მილიონობით დოლარის ქონება აქვს ხალხისთვის წართმეული!

**— როგორც მეუბნებიან, ნუნუ გინტურმა პროკურატურაში 10 მილიონი დოლარი მიიტანა და გამოუშვეს!**

— ვიცი, რომ **ნუნუ გინტურს** 2,5 მილიონი მიატანინეს! დიდი ალბათობით, პროკურატურასა და სასამართლოში მოკალათებულ **ადეიშვილისა და კეზერაშვილის** კადრებს იგი დაემუქრა — თუ არ გამომიშვებთ, ავდგები და მოვყვები, თქვენს დავალებებს როგორ ვასრულებდიო! **ნუნუ გინტურის** მსგავსად, „შემსრულებელი“ ნოტარიუსი იყო **მაია ბიგვავაც.** ღამის 3 საათზე ბიზნესმენებს რომ „სურვილი უჩნდებოდათ“ და თავიანთ ქონებებს მისი დამოწმებით სახელმწიფოს უფორმებდნენ, ეს ამბავი რატომ არ გამოიძიეს?

სააკაშვილის დროს აურაცხელი თანხები ირიცხებოდა მართლმსაჯულების განვითარებისა და ქართული არმიის მშენებლობის ფონდებში. ეს ასეული მილიონები სინამდვილეში მიდიოდა ოფშორებში და ბოლოს ილექებოდა **სააკაშვილისა და მისი ხროვის** ჯიბეში. ეს საქმეებიც გამოუძიებელია.

ავიღოთ, მაგალითად, ძმები კოდუები. **ერეკლე კოდუამ** და მისმა ხროვამ „თეგეტა მოტორსის“ პატრონებს კომპანია აახიეს და 42 მაღალი გამავლობის მანქანაც ხელს გააყოლეს. როგორც გაირკვა, **ერეკლე კოდუას** „პრადოს“ ფირმის მანქანებიც ჰყავდა წამოყვანილი „თეგეტა მოტორსიდან“. რაღაც არ მახსენდება, რომ ამის გამო ვინმეს გაესამართლებინოს! სად არის ის პროკურორი და მოსამართლე, რომლებმაც „თეგეტა მოტორსს“ ამოდენა ქონება წაართვეს? **მამუკა ჯინჭარაძეს** „ლიბერთი ბანკი“ რომ წაგლიჯეს, ამაზე სამართლებრივი შედეგი დადგა? რატომ გაუჩნდა ცხონებულ **მამუკა ჯინჭარაძეს** სურვილი, რომ „ლიბერთი ბანკი“ მაინცდამაინც სააკაშვილთან დაახლოებულ პირებზე გადაეფორმებინა?

**— დაბეჯითებით მიმტკიცებენ, რომ „ენერგოპრო ჯორჯია“ არავითარ ჩეხებს არ ეკუთვნის და სინამდვილეში სააკაშვილისა და ადეიშვილის საკუთრებაა!**

— **სააკაშვილსა და მის ბანდას** სჭირდებოდათ შუალედური რგოლის შექმნა, რომელიც ელექტროენერგიის დისტრიბუციას მოახდენდა და მის ანგარიშზე უშველებელი ოდენობის თანხა დაილექებოდა. ვინმემ გამოიძია და შეისწავლა, როგორ აღმოჩნდა ყოფილი პრემიერ-მინისტრი **ნოღაიდელი** ამოდენა გიგანტი კომპანიის სათავეში? ამის გამოძიებას მაინც რაღა უნდოდა? აი, სწორედ ეს არის **ფარული დასის** ზეწოლის შედეგი! მაგალითად, რესტორნების ქსელი **„ლაზური“** ვანო მერაბიშვილის საკუთრებაა! როცა ის დაიჭირეს, „ლაზურის“ სარესტორნო ქსელი არ გაჩერებულა, **მერაბიშვილის** ბიზნესი გუგუნებდა და დღესაც გუგუნებს! უფრო მეტიც, **ვანო მერაბიშვილმა** ერთ-ერთ ბიზნესმენს გონიოში სასახლე წაართვა, რომელიც რამდენიმე მილიონი ღირდა. იმ კაცმა ქონება დაიბრუნა თუ არა, ვინმემ იცის? **ვანო მერაბიშვილს** თავისი ბიზნესები ცნობილი მომღერლის **ნინო ჩხეიძის** ქმრის სახელზე რომ აქვს გადაფორმებული და ის ბიზნესები დღესაც ყვავის, ეს როგორ არის? იმავე პიროვნების სახელზეა მერაბიშვილის უზარმაზარი სასახლე თავისი კომპლექსით, რომელიც ივერთუბანში მდებარეობს. არადა, ვანოს რომ ჰკითხო, თბილისში სახლი არა აქვს.

**ჯემალ ლეონიძეს** კომპანია „მაგნატი“ რომ წაართვეს 80 ბენზინგასამართი სადგურით და დღეს მთელი ეს უზარმაზარი ქონება, კომპანია **„გალფის“** სახელწოდებით, კეზერაშვილის ჯიბისთვის გუგუნებს, ეს საქმე ვინმემ გამოიძია? კომპანია „გალფის“ **გარდა კეზერაშვილი** ყულევში ტერმინალსაც ფლობს... ვინმემ დააბრუნა ეს მიტაცებული ქონებები? დაუსრულებლად შეიძლება ამ თემაზე ლაპარაკი!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

# „ქართულ ოცნებას“ ხელ-ფეხი დღესაც შეკრული აქვს!“

## კვირგვინოსნები

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



მე არა ვარ წინააღმდეგი, რომ **სისხლის სამართალში ღალატის მუხლი შეიტანონ,** იმიტომ, რომ ეს ხელისუფლება ვერავის გასამართლებას ვერ მოასწრებს, ჩვენ კი **მათ გასასამართლებლად ეს კანონი ნამდვილად გამოგვადგება.**

„კვირის პალიტრა“

**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*



ევროპა **ფსევდოლიბერალური თამაშის ხიბლში გაეხვია** და კინაღამ კრახამდე მიიყვანა ყველაფერი.

ოპოზიციის ქმედება **ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს** და ამიტომაც არის არაპოპულარული საზოგადოებაში.

„კვირის პალიტრა“

**გიგა ბოკერია**
*„ფედერალისტების“ ლიდერი*



დღეს გვყავს **მთავრობა,** რომელიც **მტერს ეხმარება.**

„ახალი თაობა“

**ელენე ხოშტარია**
*„ძლიერი საქართველო“ – „დროა“-ს ლიდერი*



სხვა გზა არ არსებობს, **უნდა გავაგრძელოთ ბრძოლა.**

„ახალი თაობა“

# რა უნდა ვიცოდეთ ლიმონის

***ქართველი მეცნიერი, ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი ლიმონის სასარგებლო თვისებების შესახებ გვესაუბრება და აცხადებს, რომ მანდარინი, გრეიპფრუტი და ფორთოხალი, მისგან განსხვავებით, ხილია, რომლებშიც ფრუქტოზის შემცველობა მაღალია:***





**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე ბაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი ფორტე“, „ტონზილინმა“** ასობით ბავშვი გლანდების ამოჭრას გადაარჩინა. **„იმუნო ჰერბი ფორტემ“** ათასობით ადამიანს გრიპი და კოვიდი თავიდან ააცილა. **„გულის ელექსირი ფორტე“** საიმედო დაცვაა ინფარქტისა და ინსულტისაგან.

**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

## კახა საბახტარიშვილი:

# თუ ტკბილი მიირთვით, აუცილებლად დააყოლეთ ლიმონი!

— დედამიწაზე, ალბათ, ძნელად მოიძებნება ქვეყანა, სადაც **ლიმონს** ან მის ერთ-ერთ სახეობას — **ლაიმს** არ მოიხმარდნენ. ლიმონის სამშობლოდ ჩინეთი და ინდოეთი მიიჩნევა და ევროპაში მე-11 საუკუნეში არაბებმა შეიტანეს. ამერიკაში ლიმონი მე-16 საუკუნეში გავრცელდა. მან ისეთი პოპულარობა მოიპოვა, რომ მთელი ამერიკა ლიმონის პლანტაციებით გადაიფარა. ფასიც საკმაოდ ძვირი იყო — 1 ცალი ლიმონი 1 დოლარი ღირდა!

ლიმონის პოპულარობა დიდად განაპირობა მეზღვაურებში ძალზე გავრცელებულმა დაავადებამ — **სურავანდმა,** რომელიც გემის ეკიპაჟს მუსრს ავლებდა. ლიმონი ამ სენის უებარი წამალი აღმოჩნდა, რადგან მასში შემავალი C **ვიტამინი** ავიტამინოზისა და, მათ შორის, სურავანდის დაუძინებელი მტერია!

**— ლიმონის პოპულარობა მხოლოდ იმან განაპირობა, რომ C ვიტამინს შეიცავს?**

— 1 ცალი ლიმონი C ვიტამინის დღიური ნორმის ნახევარს შეიცავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ლიმონი C ვიტამინის საბადო ნამდვილად არ არის! გაგიკვირდებათ, მაგრამ ფაქტია, რომ C ვიტამინი წიწაკასა და მჟავე კომბოსტოში ბევრად მეტია, ვიდრე ლიმონში! არადა, ბევრი ლიმონს მხოლოდ იმის გამო მიირთმევს, რომ C ვიტამინის წყაროდ მიაჩნია. უფრო მეტიც, ადამიანების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ლიმონს სხვა სასარგებლო თვისებები არა გააჩნია.

**— მაინც რა სასარგებლო თვისებები აქვს ლიმონს?**

— **1.** ლიმონი უებარი საშუალებაა ღვიძლის გაცხიმოვნების დროს;

**2.** ამცირებს ცუდი ქოლესტერინის დონეს;

**3.** ხელს უწყობს წონის დაკლებას;

**4.** არაჩვეულებრივი საშუალებაა დიაბეტის წინააღმდეგ საბრძოლველად;

**5.** აქვს დაბერების საწინააღმდეგო ეფექტი;

**6.** გააჩნია ანტისიმსივნური მოქმედება;

**7.** ხელს უშლის თირკმელში კენჭების წარმოქმნას;

**8.** აქვს ძლიერი ანთების საწინააღმდეგო მოქმედება;

**9.** ამაგრებს სისხლძარღვთა კაპილარებს;

**10.** აქვს ანტიბაქტერიული, ანტივირუსული და სოკოს საწინააღმდეგო მოქმედება!

**— მოდით, განვიხილოთ თითოეული ეს სიკეთე...**

— ღვიძლის გაცხიმოვნების დროს ადგილი აქვს ე.წ. სტეატოჰეპატოსს... **სტეატა** ნიშნავს ცხიმის გაჟონვას ღვიძლის შიგნით, ხოლო **სტეატოჰეპატოზი** ცხიმოვანი ღვიძლის აღმნიშვნელია, რომელსაც, თუ ყურადღება არ მივაქციეთ, ციროზით დამთავრდება.

ლიმონში შედის უნიკალური ნივთიერება **ბერიოციტრინი,** რომელსაც ღვიძლიდან ცხიმი გამოაქვს. აქედან გამომდინარე, ვისაც ღვიძლის გაცხიმოვნება აქვს, ლიმონი ყოველდღე უნდა მიიღოს! ლიმონი ღვიძლს ზედმეტ ქოლესტერინსაც აშორებს. დავუშვათ, ჩვენი ნაღვლის ბუშტი მოდუნებულია ან ღვიძლი არასაკმარისად ფუნქციონირებს, ეს ნიშნავს, რომ ნაღველიც არასაკმარისი რაოდენობით გამომუშავდება და სანაღვლე გზებში



## „ცხელ ჩაიში ჩაწურული ლიმონი ყველანაირ სასარგებლო თვისებას კარგავს!“



## „თირკმელში კენჭები რომ არ დაგვიგროვდეს, ლიმონი ხშირად უნდა მივირთვათ!“

ფერხდება. ლიმონი აუმჯობესებს ნაღვლდენას და ღვიძლს ზედმეტ ქოლესტერინს აშორებს.

**— მაინც რა მექანიზმით ამცირებს სხეულის წონას ლიმონი?**

— წონაში ვერანაირი მეთოდით ვერ დავიკლებთ და ცხიმოვანი უჯრედები არ შემცირდება, თუ, შესაბამისად, სისხლში ინსულინის რაოდენობა არ შემცირდა. მთელი რიგი კვლევები ადასტურებს, რომ ლიმონის მიღება სისხლში შაქრის რაოდენობას მნიშვნელოვნად აქვეითებს, რასაც ავტომატურად მოსდევს ინსულინრეზისტენტობისა და ინსულინის რაოდენობის შემცირება. შესაბამისად, ადამიანი წონაში იკლებს. **ჩვენი რჩევაა, თუ ტკბილი მიირთვით, აუცილებლად დააყოლეთ ლიმონი,** რადგან მასში შემავალი ფლავონოიდები წინააღმდეგობას უწევენ შაქრისგან გამოწვეულ ჟანგვით სტრესს. რაც შეეხება დაბერების საწინააღმდეგო ეფექტს, რომელიც აქვს ლიმონს, ჩატარდა ასეთი ექსპერიმენტი: თაგვების ერთ ჯგუფს ჩვეულებრივად კვებავდნენ, ხოლო მეორეს საკვებში ლიმონს უმატებდნენ. მეორე ჯგუფში თაგვების სიცოცხლის ხანგრძლივობა გაიზარდა.

ლიმონი ძალიან სასარგებლოდ მოქმედებს მსხვილი ნაწლავის ჯანმრთელობისთვის აუცილებელ ფლორაზე. აღარაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რომ კუჭ-ნაწლავის მდგომარეობაზე ადამიანის სიცოცხლის ხარისხი და ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული.

**— მაინც როგორ ებრძვის ლიმონი კიბოს?**

— ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ლიმონით სიმსივნური პაციენტის მკურნალობა შეიძლება, მაგრამ არის კვლევები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ლიმონში შემავალი **ფიტონუტრიენტები** ენის, ფილტვისა და მსხვილი ნაწლავის სიმსივნურ უჯრედებს ანადგურებენ! რაც შეეხება თირკმელში გაჩენილ კენჭებს და მასზე ლიმონის დადებით ზემოქმედებას, ეს იმით აიხსნება, რომ მასში განსაკუთრებული ნივთიერებები — **ციტრატები ოქსალატებს** უკავშირდება. სწორედ კალციუმის ოქსალატია ყველზე უფრო გავრცელებული თირკმლის კენჭებს შორის. შესაბამისად, ვისაც თირკმელში კენჭები უჩნდება, მას სწორედ ციტრატები აკლია. აქედან გამომდინარე, თირკმელში კენჭები რომ არ დაგვიგროვდეს, ლიმონი ხშირად უნდა მივირთვათ. ეს ეხება იმათაც, ვისაც პოდაგრა აწუხებს...

**— სისხლძარღვების პათოლოგიები მსოფლიო პრობლემაა. მაინც რა მექანიზმით ახდენს მათზე დადებით გავლენას ლიმონი?**

— სისხლძარღვების მდგომარეობას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მისი შიდა გარსის, ანუ ენდოთელის მთლიანობა. თუ იქ რამე დეფექტი ან ანთება გაჩნდა, მას ლეიკოპლასტირივით ზემოდან მაშინვე გადაეფარება ქოლესტერინი. სწორედ ასე წარმოიქმნება **ათეროსკლეროზული ფოლაქები...** ლიმონში შემავალი C **ვიტამინი** და სხვა ნივთიერებები ენდოთელის მთლიანობას ინარჩუნებს და კაპილარებს ამაგრებს. აქედან გამომდინარე, **ლიმონი ყველა იმ ადამიანმა უნდა მიიღოს, ვისაც გულ-სისხლძარღვთა პრობლემები აქვს!** ამასთან, ლიმონი უებარი საშუალებაა ვარიკოზული ვენებისა და ბუასილის დროსაც.

დადგენილია, რომ ლიმონში შემავალი ნივთიერება **ნარინგინი** ალცჰაიმერის დაავადების განვითარებას უშლის ხელს. ის, რომ ლიმონი შეუცვლელი პროდუქტია გრიპისა და სხვა სეზონური ვირუსების დროს, ყველამ იცის, მაგრამ შესაძლოა, ადამიანებმა არაფერი უწყოდნენ იმის შესახებ, თუ რატომ ასხამენ თევზის კერძს ლიმონის წვენს? ჯერ ერთი, ლიმონი თევზს პიკანტურ გემოს აძლევს, მაგრამ ყველაზე მთავარი ის გახლავთ, რომ

**ლიმონი ანადგურებს იმ ბაქტერიებსა და მიკროორგანიზმებს, რომლებიც შესაძლოა, თევზში, განსაკუთრებით კი უმ თევზში მოხვდეს!**

ბევრს უყვარს მიდიები, რომელსაც ხშირად უმადაც მიირთმევენ... უმ მიდიაზე ლიმონის

## „ვისაც ღვიძლის გაცხიმოვნება აქვს, ლიმონი ყოველდღე უნდა მიიღოს!“

# სიკეთის შესახებ?



წვენის მოსხმა აუცილებელია, რადგან ანადგურებს იმ ბაქტერიების 95 პროცენტს, რომლებიც შესაძლოა, მასში სახლობდნენ.

**— ლიმონს ხშირად ჩააწურავენ ჩაიში და ამას განსაკუთრებით გრიპისა და გაციების დროს აკეთებენ. რამდენად გამართლებული და ეფექტურია ეს მეთოდი?**

— როცა ლიმონს ადუღებული წყალი მოხვდება, მასში არსებული **C ვიტამინი** მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით იშლება. ამიტომ **ცხელ ჩაიში ჩაწურული ლიმონი ყველანაირ სასარგებლო თვისებას კარგავს!** ლიმონმა ჩაის შესაძლოა, მხოლოდ გემო მისცეს, სამაგიეროდ, მაშინ არის ეფექტური, როცა ნელთბილ ან ოთახის ტემპერატურის სითხეში ჩაწურავენ! მაღაზიებში ნაყიდი ლიმონის წვენი, ფაქტობრივად, სრულიად უსარგებლოა. მას გემოს მისაცემად ლიმონმჟავას უმატებენ, რომელსაც **C ვიტამინთან** არავითარი კავშირი არა აქვს. ასეთ პროდუქტს ლიმონმჟავაც რომ არ დაუმატონ და სუფთა ლიმონის წვენი ვიყიდოთ, მაინც უვარგისი იქნება, რადგან თერმულად არის დამუშავებული და **C ვიტამინი** მასში არ არსებობს!

## „თუ ლიმონს მანდარინივით შევჭამთ ან მის წვენს განზავების გარეშე დავლევთ, კბილებს დავკარგავთ!“

**— შეიძლება თუ არა ლიმონის მანდარინივით ჭამა?**

— ლიმონის მანდარინივით ჭამა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგან მისი მჟავე-ტუტოვანი წონასწორობის მაჩვენებელი 2-დან 3-მდეა, რაც მარილმჟავას მაჩვენებელს უახლოვდება. **თუ ლიმონს მანდარინივით შევჭამთ ან მის წვენს განზავების გარეშე დავლევთ, კბილებს დავკარგავთ!**

**საერთოდ, მიჩნეულია, რომ ნახევარი ლიმონისგან მიღებული წვენი 250 გრამ წყალში უნდა გავხსნათ და ისე დავლიოთ!**

**— ვინ არ უნდა მიიღოს ლიმონი?**

— ლიმონის წვენი ძლიერი მჟავაა, ამიტომ, ვისაც კუჭის ან თორმეტგოჯა ნაწლავის ანთება და წყლული აქვს, ლიმონი არ უნდა მიიღოს! ხშირად ადამიანებმა არ იციან, რომ გასტრიტი, დუოდენიტი ან წყლული აქვთ, ამის გამოვლენა კი ძალიან მარტივია. დავლიოთ გაზავებული ლიმონის წვენი და თუ კუჭის არეში დისკომფორტი ვიგრძენით ან წვა დაგვეწყო, ე.ი. კუჭში, ან თორმეტგოჯა ნაწლავში ანთებითი პროცესია. აქედან გამომდინარე, ლიმონს უნდა შევეშვათ!.. ზოგიერთი ლიმონს უშუალოდ ჭამის წინ ღებულობს, რაც არ შეიძლება. ლიმონის წვენი მართალია, მჟავაა, მაგრამ, როცა ჭამის წინ კუჭში ხვდება, სხვადასხვა რეაქციის შედეგად ტუტოვანი ხდება და კუჭს ატუტიანებს. ამის გამო საჭმლის მონელება ფერხდება. ლიმონიანი წყალი ჭამამდე ნახევარი ან ერთი საათით ადრე უნდა მივიღოთ! ვისაც გასტრიტი ან წყლული არ აწუხებს, ჯანმრთელობისთვის ძალზე კარგია, თუ 350 გრამ წყალში 1 ცალ ლიმონს ჩაწურავს და ხსნარში ერთ სუფრის კოვზ ვაშლის ძმარსაც დაამატებს. თუ დიაბეტიანები ამ რეცეპტით ისარგებლებენ, მალე იგრძნობენ შვებას. ეს ნარევი არამარტო დიაბეტიანების, არამედ აბსოლუტურად ყველა ადამიანისთვის დიდი სიკეთის მომტანია!

**— მანდარინი, ფორთოხალი და გრეიპფრუტი ლიმონივით მარგებელია?**

— მანდარინში, ფორთოხალსა და გრეიპფრუტში გაცილებით ნაკლები **C ვიტამინია,** ვიდრე ლიმონში. გარდა ამისა, ლიმონისაგან განსხვავებით, ეს ციტრუსები არ შეიცავენ ფლავონოიდ ერიოციტრინს, რომელიც დადებითად მოქმედებს შაქარზე, ქოლესტერინზე, ღვიძლის გაცხიმოვნებაზე და ა.შ. მანდარინი, გრეიპფრუტი და ფორთოხალი ხილია, სადაც ფრუქტოზის შემცველობა მაღალია. ამიტომ ამ პროდუქტების გადაჭარბებული ჭამა არ შეიძლება! რაც შეეხება გრეიპფრუტს, იგი შეიცავს **კუმარინებს,** რომლებიც რეაქციაში შედიან მთელ რიგ მედიკამენტებთან, განსაკუთრებით წნევის დამარეგულირებელ და დამწევ პრეპარატებთან. ამიტომ,

**ვინც სამკურნალოდ ქიმიურ მედიკამენტებს ღებულობს, გრეიპფრუტს საერთოდ არ უნდა გაეკაროს!**

ბევრს ჰგონია, რომ ვაშინგტონი ცალკე ციტრუსია... სინამდვილეში, ვაშინგტონი ფორთოხლის ერთ-ერთი ჯიშია!

*ესაუბრა*
*დიტო ჩუბინიძე*




## „C ვიტამინი წიწაკასა და მჟავე კომბოსტოში ბევრად მეტია, ვიდრე ლიმონში!“



თარაზულად: 3. ანდამატი; 9. „მშვიდობის“ ფრინველი; 10. სოხუმის ძველი ქართული სახელწოდება; 11. ბამბის წმინდა ქსოვილი; 12. იაპონიის იმპერატორების ტიტული; 13. ამერიკული მანქანა; 14. ცენტრალური მცველი ფეხბურთში; 15. სტუმრობა; 18. ხორთუმიანი ცხოველი; 21. ექსპრომტი; 24. საეკლესიო თანამდებობათა ყიდვა-გაყიდვა; 25. ფრანგი ფერმწერი; 26. აჩრდილი; 27. მიუზიკლი; 28. ნოდარ დუმბაძე — „... ღამე“; 29. ტაძარი თბილისში; 30. ერთგვარი დეკორატიული მცენარე; 34. არატიპურობა; 38. ქალიშვილო! — (ინგლ.); 40. უნაღდო ანგარიშსწორების ფორმა სახელმწიფოებს შორის; 41. ჯულიეტას სატრფო (შექსპირი); 42. ძველებური ოთხადგილიანი ეტლი; 43. მუსიკალური ინსტრუმენტის დაკვრის ერთ-ერთი ხერხი; 44. ვაშლის ღვინო; 45. წყნარი, უქარო ამინდი.

შვეულად: 1. ხალხური ჩასაბერი საკრავი; 2. ტბა სომხეთში; 3. კუნძულ კრეტას მითოლოგიური მეფე; 4. ვენეციური ნავი; 5. მონასტრის წინამძღვარი; 6. ვიქტორ ჰიუგო — „კაცი, რომელიც...“; 7. ელექტრობის რაოდენობის საზომი ერთეული; 8. ქართული ფილმი (დანელია); 15. ხელოვნური აბრეშუმი; 16. მდინარე სამხრეთ აფრიკაში; 17. ორადგილიანი ველოსიპედი; 19. პრივილეგიური წოდების წარმომადგენელი ძველ რომში; 20. გერმანელი ფერმწერი; 21. ბერძენი საოპერო მომღერალი ქალი; 22. ძალზე უცნაური, ფანტასტიკური მოვლენა, მოჩვენება; 23. მიმიკის მოშლა; 31. თივის პატარა ზვინი; 32. ენციკლოპედიების გამომცემლობა პარიზში; 33. ჯგუფ „ბითლზის“ წევრი; 35. იგივეა, რაც ამინდი; 36. ტუჩის საცხი; 37. სიკვდილისწინა მდგომარეობა; 38. ჩეხი რეჟისორი ... ფორმანი; 39. ფრანგი მწერალი ქალი.



თარაზულად: 1. რძის შაქარი; 6. იაპონური ალუბლის ხე; 9. ნაივური მხატვრობა; 10. მუყაო; 11. ერთგვარი ტკბილი ნამცხვარი; 12. ერთ-ერთი შეგრძნება; 13. ა. დიუმას ერთ-ერთი მუშკეტერი; 17. მდინარე გერმანიაში; 19. დიდი კონცერტი; 22. ბარონის ცოლი ან ქალიშვილი; 23. ბოჭკოვანი ტექნიკური მცენარე; 24. მრისხანე, შემზარავი შესახედაობა; 25. ჯ. კამერონის ფილმი; 26. საშუალო სასწავლო დაწესებულება.

შვეულად: 1. საჭმლის მცირე ნაწილი; 2. ახალი, ნორჩი; 3. ფრანგი კინორეჟისორი; 4. ძველი სომხეთის დედაქალაქი; 5. კინოს მოძველებული სახელი; 6. თამბაქოს ნაწარმი; 7. ლივი; 8. რაიმე ელემენტების თანაბარზომიერი მონაცვლეობა; 14. იგივეა, რაც ბრინჯაო; 15. კეთილთვისებიანი სიმსივნე; 16. ცხენოსნის ერთგვარი წკეპლა; 18. წარსული დრო; 19. აირი ანუ?; 20. ვულკანური მასა; 21. მთავარი საწყობი; 23. ნომრის გამეორების მოთხოვნა.

### ამავე გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

თარაზულად: 3. მაგნიტი; 9. მტრედი; 10. ცხუმი; 11. ნანსუკი; 12. მიკადო; 13. ნეონი; 14. სტოპერი; 15. ვიზიტი; 18. სპილო; 21. კაფია; 24. სიმონია; 25. მატისი; 26. ლანდი; 27. ოპერეტა; 28. მზიანი; 29. სიონი; 30. აბილილი; 34. ატიპია; 38. მის; 40. კლირინგი; 41. რომეო; 42. ლანდო; 43. გლისანდო; 44. სიდრი; 45. შტილი.

შვეულად: 1. სტვირი; 2. სევანი; 3. მინოსი; 4. გონდოლა; 5. იღუმენი; 6. იცინის; 7. კულონი; 8. მიმინო; 15. ვისკოზა; 16. ზამბეზი; 17. ტანდემი; 19. პატრიცი; 20. ლესინგი; 21. კალასი; 22. ფანტომი; 23. ამიმია; 31. ბულული; 32. ლარუსი; 33. ლენონი; 35. ტაროსი; 36. პომადა; 37. აგონია; 38. მილოშ; 39. სანდი.

თარაზულად: 1. ლაქტოზა; 6 საკურა; 9. ნაივი; 10. კარტონი; 11. გალეტი; 12. სმენა; 13. არამისი; 17. რაინი; 19. გალა; 22. ბარონესა; 23. ბამბა; 24. ზავთი; 25. ტიტანიკი; 26. სკოლა.

შვეულად: 1. ლუკმა; 2. ქორფა; 3. ოზონი; 4. ანისი; 5. სინემა; 6. სიგარა; 7. კალკი; 8. რიტმი; 14. რვალი; 15. მიომა; 16. სტეკი; 18. ნამყო; 19. გაზი; 20. ლავა; 21. ბაზა; 23. ბის.

### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. ვაგნერი; 11. ბარაკუდა; 12. ტრილოგია; 13. ქორბუდა; 14. სურინამი; 15. ლეონიძე; 16. რანჟირი; 17. პაგანინი; 21. აპელაცია; 22. მაგია; 25. ბირდაბირი; 26. პიპინია; 30. წანდილი; 31. კარენინა; 35. სეკანსი; 36. პაგოდა; 37. ცენტრალური; 38. ტიული; 39. ნოვატორი; 43. კარიკატურა; 48. სიტი; 50. სონატინა; 51. ლაბირინთი; 52. ფარი; 53. ნარიტა; 54. სანიტარია; 55. ლინარესი; 56. ატომი.

შვეულად: 1. მარულა; 2. მამიდა; 3. ქურანი; 4. ვაქირი; 5. გარინჩა; 6. ერუდიტი; 7. იტალია; 8. პინოჩეტი; 9. ბოლივარი; 10. ნიკელინი; 17. პაბი; 18. გორდა; 19. ნუარე; 20. ნაიკი; 22. მიწა; 23. გენია; 24. არიზონა; 26. პისარო; 27. პაკეტი; 28. ნონიუსი; 29. აბილილი; 31. კრეტა; 32. რიტმი; 33. ნიასა; 34. ნაურუ; 36. პინა; 40. ვიოლინო; 41. ტრამალი; 42. რეიგანი; 43. კალასი; 44. რაბინი; 45. კარატე; 46. ტენორი; 47. რკინა; 48. საფარი; 49. ტაროსი.

**მუზარადისტიქიაჩელინიაგარაკიმონოკლიტეილორი**
**შარადავარიანტიკვარიათინათიაბაკარაფასადილი**

# რით უნდა ამაყობდეს ქართველი?

*დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2025 წლის №1-2, 3-9*

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი აცხადებს, რომ ქართველ ერს ქრისტიანობის უდიდესი მამები, მათ შორის უცხოელები, უხსოვარი დროიდან ნოეს უფროსი ვაჟის სემის შთამომავლად მიიჩნევდნენ:***

— ყველაზე ძველი ისტორიული წყარო, რომელშიც გადმოცემულია ინფორმაცია ქართველთა წინაპრების შესახებ, არის **იპოლიტე რომაელისა** (170-235 წ.წ.) და **ეპიფანე კვიპროსელის** (გარდაიცვალა 403 წელს, დაახლოებით ასი წლის ასაკში) ნაშრომები ხალხთა წარმოშობის შესახებ. ორივე ავტორი მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანია. მათი ნაშრომების გადამუშავებული სამეცნიერო თხზულება ხალხთა წარმოშობის შესახებ მე-11 საუკუნის დასაწყისში შეადგინა უდიდესმა ქართველმა საეკლესიო ავტორიტეტმა, იოანე მთაწმინდელის ვაჟმა, ათონის მონასტერთა უმაღლესმა წინამძღვარმა, **წმინდა ექვთიმე მთაწმინდელმა,** რომლის ერთ-ერთი ბიძაც იყო **თორნიკე ერისთავი.** ექვთიმე მთაწმინდელის ნაშრომი შედგენილია მე-10-მე-11 საუკუნეების მიჯნაზე. ექვთიმე მთაწმინდელს ისევე, როგორც **იპოლიტე რომაელსა** და **ეპიფანე კვიპროსელს,** ყველა ქართული ტომი, მათ შორის, ლაზებიც, ჰერებიც, სვანებიც და მესხებიც ნოეს ერთ-ერთი ვაჟის **სემის** შთამომავლებად მიაჩნიათ. ისინი სემის შთამომავლებად, ანუ სემიტებად მიიჩნევენ აქემენიან სპარსთა წინაპარ ელამელებს, შუმერთა და ხურიტთა შთამომავალ ქალდეველებს, არამეელებსა და ებრაელებს, მაგრამ ესპანელები, ბასკები და გერმანელები იაფეტის შთამომავლებად ჰყავთ გამოცხადებული. სამივე მათგანი, რა თქმა უნდა, ითვალისწინებს, შიფრავს და აკონკრეტებს ბიბლიურ მონაცემებს ხალხთა წარმოშობის შესახებ. **ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებისა** და სხვა დიდ ქართველ მოღვაწეთა მიერ თარგმნილ ძველი აღთქმის ტექსტში, კერძოდ, დაბადებაში, **სემის** შვილიშვილად არის დასახელებული **მოსოხი,** რომელიც ეტიმოლოგიურად მესხის იდენტურია. ტერმინ **მესხს,** არამეული და ივრითული ენების თავისებურებათა გათვალისწინებით, არავითარი კავშირი არა აქვს **იაფეტის ვაჟ მოსოქთან.** ექვთიმე მთაწმინდელის, იპოლიტე რომაელისა და ეპიფანე კვიპროსელის თხზულებანი შეკრიბა, მეცნიერულად დაამუშავა და პირველად და ერთადერთხელ გამოსცა **კორნელი კეკელიძემ.** სამწუხაროდ, ეს ნაშრომი მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე ასეულმა ადამიანმა იხილა...

***— რა გახდა ამ ნაშრომის მიჩქმალვის მიზეზი?***

— ეს ნაშრომი დაიბეჭდა 1938 წლის თებერვალში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოცემულ კრებულში, რომელშიც თავისი საუკეთესო ნაშრომები შეიტანეს **ნიკო ბერძენიშვილმა, იუსტინე აბულაძემ, იასე ცინცაძემ, კორნელი კეკელიძემ, შალვა ნუცუბიძემ, მიხეილ ზანდუკელმა** და სხვ. ამ კრებულში ნომერ პირველ სამეცნიერო სტატიად, როგორც ჩანს, თავისი მნიშვნელობის გამო, სწორედ **კორნელი კეკელიძის** ნაშრომია დაბეჭდილი. არადა, პირველად ამავე კრებულში გამოქვეყნდა დიმიტრი უზნაძის გენიალური **„განწყობის ფსიქოლოგიისათვის“...** სამწუხაროდ, ამ კრებულის მხოლოდ დ მხოლოდ სასიგნალო ეგზემპლარები გამოვიდა და კრებულის დაბეჭდვა შეწყდა. უფრო მეტიც, რაც დაბეჭდილი იყო, ისიც ამოიღეს...

# სვიმონ მასხარაშვილი:

# ამ ბინძური და გაყალბებული ისტორიის შესახებ საქართველოში ბევრმა არ იცის!



***— ვის არ მოეწონა კორნელი კეკელიძის გამოკვლევა?***

— ეგ არაფერ შუაშია... ამ კრებულის თანაავტორთა შორის იყო ორი პიროვნება, რომლებიც კრებულის გამოცემის პერიოდში სახელმწიფო ღალატის ბრალდებით დააპატიმრეს. მართალია, შემდგომში ორივე შეიწყალეს და გაამართლეს, მაგრამ მათ დაჭერას კრებულიც გადაჰყვა. ესენი იყვნენ: **სიმონ ყაუხჩიშვილი** და **შალვა ნუცუბიძე.** რა თქმა უნდა, ამ კრებულის ეგზემპლარები გადარჩა, სხვაგვარად ჩვენ მათ ვერ გავეცნობოდით, მაგრამ ფართო მკითხველისათვის ყოველივე ზემოთქმული უცნობი დარჩა. სამწუხარო ის არის, რომ 1938 წელს **სტალინის** მითითებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იუბილე საერთაშორისო დონეზე აღინიშნა. შესაბამისად, დიდი იყო შანსი, რომ **კორნელი კეკელიძის** ზემოხსენებულ ნაშრომს ხალხთა წარმოშობის შესახებ მსოფლიო აღიარება მოეპოვებინა, მაგრამ, ვინაიდან ეს კრებული დაიბლოკა, ნაშრომმა მსოფლიო რეზონანსი ვეღარ გამოიწვია.

ქართველთა წარმომავლობის შესახებ **კორნელი კეკელიძის** ნაშრომში მოტანილი მტკიცებულებანი უტყუარ ჭეშმარიტებად იყო აღიარებული ქართველ და საბჭოთა მეცნიერთა შორის და ამ აზრს **სტალინიც** იზიარებდა. უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი და ამ კრებულის მთავარი რედაქტორი **გიორგი ქიქნაძე** სტალინისა და ბერიას მიერ შერჩეული ახალგაზრდა კადრი იყო და პარალელურად ითავსებდა საბჭოთა კავშირის ხალხთა პედაგოგიკის ინსტიტუტის დირექტორობასაც. შემდგომში — **გიორგი ქიქნაძე** საქართველოს განათლების, ხოლო 1944-1952 წლებში საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა. სწორედ იგი ითხოვდა გაეროში საქართველოს სახელით ტაო-კლარჯეთის დაბრუნებას!

***— გაბატონებული მითია, რომ თითქოს „ქართლის ცხოვრების“ ავტორი არის ლეონტი მროველი, რომელიც, სავარაუდოდ, მე-11 საუკუნეში მოღვაწეობდა...***

— **ლეონტი მროველი** „ქართლის ცხოვრების“ კრებულის ზოგიერთი ნაწილის სავარაუდო გადამწერია. რაც შეეხება ამ კრებულში შეტანილი ნაშრომების ავტორთა ვინაობას, მათი უდიდესი ნაწილი დღემდე დაუდგენელია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საზოგადოებაში გაბატონებული აზრი **ლეონტი მროველს** მიიჩნევს „ქართლის ცხოვრების“ კრებულის ავტორად, სინამდვილეში „ქართლის ცხორებაში“ მოთავსებული თხზულებების ნაწილი მის დაბადებამდე რამდენიმე საუკუნით ადრეა დაწერილი, ხოლო ნაწილი — გარდაცვალებიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგ.

***— ზოგიერთები ლეონტი მროველს მიაწერენ ქართველების სომხების „უმცროს ძმად“ წარმოჩენას. უფრო მეტიც, ქართული ენის სომხურის „დეგრადირებულ ვარიანტად“ გამოცხადებას!***

— ეს ყოველივე **ლეონტი მროველის** გარდაცვალებიდან ხუთასი წლის მერე შექმნილი და ნაძირალა **ნიკიტა ხრუშჩოვის** ბრძანებით გაპიარებული ბინძური ტყუილია, რასთანაც **ლეონტი მროველს** ხელი არა აქვს! დავიწყოთ იმით, რომ ერთადერთ წარწერაში მოხსენიებული **ლეონტი მროველის,** ანუ, ფაქტობრივად, უცნობი ბიოგრაფიის მქონე პიროვნების მსოფლიო ეკლესიის ერთ-ერთ ვარსკვლავთან, **ექვთიმე მთაწმინდელთან** გატოლება სასაცილოა. გარდა ამისა, მე-11 საუკუნეში, როდესაც ქართული ეკლესიის იდეოლოგიას მთლიანად წარმართავდნენ ათონელი მამები, გამორიცხულია, ვინმე ქართველ ეპისკოპოსს, მათ შორის, რიგით **ლეონტი მროველს** გაებედა **ექვთიმე მთაწმინდელის** საპირისპირო აზრების მტკიცება და წერა. მეორე — ის ტექსტი, სადაც ჰაოსი ქართლოსის უფროს ძმად არის გამოცხადებული, **ლეონტი მროველს** არ ეკუთვნის. იგი „ქართლის ცხოვრების“ კრებულის ზოგიერთი ტექსტის თანახმად, მართლაც მიჩნეულია რამდენიმე ხელნაწერის შემკრებ-გადამწერად, მაგრამ არა იმ ტექსტისა, სადაც ჰაოსის ქართლოსზე უფროსობაზეა ლაპარაკი. ეს ტექსტი შეტანილია მხოლოდ და მხოლოდ ანა დედოფლისეულ კრებულში, რომელიც შედგენილი და გადაწერილია მე-17-მე-18 საუკუნეების მიჯნაზე. **ანა დედოფალი,** ანუ **ანა ჩოლოყაშვილი** იყო **ერეკლე პირველის** — ნაზარალი-ხანის ცოლი. 1688-1703 წლებში, როცა რუსეთიდან დაბრუნებული და გამაჰმადიანებული **ერეკლე პირველი** „გურჯისტანის ვალის“ ტიტულით აღმოსავლეთ კავკასიას მართავდა, მის კარზე დაიწყო საისტორიო წყაროების შემოკრება და გადამუშავება. ამ საქმეს ჯერ მისი მეუღლე **ანა დედოფალი** ხელმძღვანელობდა, ხოლო 1703 წლის შემდეგ, რაც **ერეკლე პირველი** „გურჯისტანის ვალის“ თანამდებობაზე ავღანეთში მებრძოლმა **გიორგი მეთერთმეტემ** შეცვალა, რომლის ფუნქციასაც „ჯანიშინის“ წოდებით მისი ძმისშვილი, **ვახტანგ მეექვსე** ახორციელებდა, საისტორიო წყაროების შემკრებისა და გადამუშავების მისია „სწავლულ კაცთა კომისიამ“ გადაიბარა, რომელსაც **ბერი ეგნატაშვილი** ხელმძღვანელობდა. **ერეკლე პირველის** და **ვახტანგ მეექვსის** კარზეც და შემდგომში **თეიმურაზ მეორის** კარზეც მრავლად იყვნენ მხითარისტი სომხები...

***— მაინც ვინ იყვნენ მხითარისტი სომხები?***







## „ქართველთა წარმომავლობის შესახებ კორნელი კეკელიძის ნაშრომში მოტანილი მტკიცებულებანი უტყუარ ჭეშმარიტებად იყო აღიარებული ქართველ და საბჭოთა მეცნიერთა შორის!“



კ. კეკელიძე

ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები ძველს ქართულ მწერლობაში

(Liber Generationis-ის ქართული ვერსია)

ბიზანტიასა და მისგან კულტურულად დამოკიდებულ ქვეყნებში უძველეს დროიდან დამყარდა შეხედულება, რომ წარღვნის შემდეგ კაცობრიობა მომრავლდა ნოეს სამი შვილისაგან, რომელთაც სემი, ქამი და იაფეთი ეწოდებოდათ; თვითეულმა ამ სამ ძმათაგანმა დაიკავა გარკვეული ნაწილი ქვეყნისა, სადაც ფეხი მოიკიდეს შემდეგში მათგან შთამომავალმა ერებმა. ამიტომ საშუალო საუკუნეების ბიზანტიაში ჩნდებიან ისეთი მწერლები, რომელნიც არკვევენ იმ დროს ცნობილ ერთა გენეალოგიას და შთამომავლობას, ვის ვისგან მოაქვს დასაწყისი—სემის, ქამის თუ იაფეთისაგან, რომელი ერი სად ბინადრობდა და რომელ ენას ლაპარაკობდა. ამ ნიადაგზე წარმოიშვა ე. წ. Liber Generationis hominum და Diamerismos, რომელსაც სხვა ერები სთარგმნიდენ თავიანთ ენებზე და შესაფერ კომენტარიებს უკეთებდენ.

ჯერ კიდევ 234—235 წლებში იპოლიტე რომაელს დაუწერია ამგვარი თხზულება ($H^1$), რომელიც საფუძვლად დასდებია შემდეგი დროის რედაქციებს [1]. დღესდღეობით ცნობილია:

$H^2$—მეორე რედაქცია იპოლიტეს ქრონიკისა, რომელიც წარმოდგენილია სამი ვერსიით:



— მაინც რა ჩაგვიწერეს მხითარისტმა სომხებმა ანა დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებაში"?

— **მხითარისტმა სომხებმა** ანა დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებაში" ათასი სიბინძურე შეჩურთეს. კერძოდ, თითქოს ჰაოსი ქართლოსის უფროსი ძმა იყო; თითქოს ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამდე ქართველები მკვდრებს ჭამდნენ და ამიტომ ძველი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნემდე საფლავები არ გვქონდა; თითქოს ქართველების დედაენა იყო სომხური და ე.წ. ქართული მხოლოდ და მხოლოდ „გარყვნილი და დამახინჯებული სომხურია"... ეს ყველაფერი ეჩმიაძინში დაცული ნაყალბევი ხელნაწერებიდან არის წამოღებული და მე-17-მე-18 საუკუნეების მიჯნაზე ჩატენილია „ქართლის ცხოვრების" ტექსტში. **ნიკო მარისა** და **ივანე ჯავახიშვილის** ძალისხმევით, „ქართლის ცხოვრებაში" **მხითარისტი სომხების** მიერ შეჩურთული ეს ბინძური ტექსტები გამოცხადდა ფალსიფიკაციად, სამარცხვინო ტყუილად და 1955 წლამდე მას ყურადღებას არავინ აქცევდა. საუბედუროდ, 1955 წელს საქართველოსა და ქართველი ერის დაუძინებელმა მტერმა **ნიკიტა ხრუშჩოვმა** აკადემიკოს **სიმონ ყაუხჩიშვილს,** რომელიც კათოლიკე იყო და შესაძლოა, წარმოშობით მხითარისტიც, დიდი ზარ-ზეიმით გამოაცემინა „ქართლის ცხოვრების" ოთხტომეული, რომლის მესამე ტომიც, სხვათაშორის, დღემდე არ გამოქვეყნებულა. **სიმონ ყაუხჩიშვილმა** 1955 წელს ნაძირალა ხრუშჩოვის მითითებით, დიდი ზარ-ზეიმით გამოცემულ „ქართლის ცხოვრების" პირველსავე ტომში ისევ შემოაგდო **ივანე ჯავახიშვილის, ნიკო მარის, კორნელი კეკელიძისა** და **სტალინის** მიერ ბინძურ ფალსიფიკაციად მიჩნეული **მხითარისტი სომხების** ტექსტები, რომელიც კიდევ ერთხელ მიაწერა **ლეონტი მროველს!** 1969 წელს **სიმონ ყაუხჩიშვილმა** აკადემიკოსობა სწორედ ამ სიყალბისთვის მიიღო... ამ ბინძური და გაყალბებული ისტორიის შესახებ საქართველოში ბევრმა არ იცის, არადა, საქართველოს მოსახლეობამ ეს უნდა იცოდეს!

*ესაუბრა*
*დიტო ჩუბინიძე*

— **მხითარისტი სომხები** ოფიციალურად განდგომილი იყვნენ ეჩმიაძინისგან, ანუ სომხური გრიგორიანული ეკლესიისგან და რომის პაპის დაქვემდებარებაში მყოფ ერთ-ერთ კათოლიკურ საძმოდ, ორდენად ითვლებოდნენ. ისინი ქართველი მეფეების წინაშე ხშირად კისრულობდნენ ევროპასთან ურთიერთობაში დიპლომატების როლს. **მხითარისტ სომხებს** თავი ისე მოჰქონდათ, თითქოს საქართველოსთვის იღვწოდნენ და ჩვენს მეფეებს ისლამის რკალის გარღვევასა და დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობის აღდგენა-დალაგებაში ეხმარებოდნენ. სინამდვილეში მაქსიმალურად ცდილობდნენ საქართველოში სომხური გავლენების გაძლიერებას და ქართველების ხარჯზე არაერთხელ უნახავთ ხეირი საქართველო-ევროპის დაახლოების მოწინააღმდეგე ოსმალებისგან თუ რუსებისგან.

ფარულად და რეალურად **მხითარისტ სომხებს** უმჭიდროესი კავშირი ჰქონდათ ეჩმიაძინის საპატრიარქოსთან. სწორედ მათ ითამაშეს გადამწყვეტი როლი „ქართლის ცხოვრების" ანა დედოფლისეულ ხელნაწერში ჰაოს-ქართლოსის ტექსტის ჩაჩურთვის საქმეში. **ანა დედოფლისთვის** უცნობი იყო **ექვთიმე მთაწმინდელის** ხელნაწერი, რომლის ერთი ეგზემპლარიც საჩხერეში, მღვიმევის მონასტერში ინახებოდა, ხოლო მეორე — სამეგრელოში, ჭყონდიდში, ხოლო რაც შეეხება იმ ეგზემპლარებს, რომლებიც თბილისში იყო დაცული, 1386 წელს **თემურ ლენგმა** მთელ ბიბლიოთეკასთან ერთად წაიღო და დღემდე ხელმიუწვდომელია. **მხითარისტმა სომხებმა ანა დედოფალს** მოაჩვენეს, რომ ქართველთა წარმოშობის შესახებ ინფორმაცია მათ თითქოს რომის არქივებიდან ჰქონდათ, არადა, ვიცით, თუ რას წერდა ქართველთა წარმომავლობის შესახებ **იპოლიტე რომაელი.** სინამდვილეში **მხითარისტმა სომხებმა** ანა დედოფალსა და „ქართლის ცხოვრების" ტექსტის რესტავრატორებს შეასაღეს ეჩმიაძინში დაცული **ფსევდო გიორგი ამარტოლისა** და **ფსევდო ეფრემ ასურის** გაყალბებული ტექსტები. ამ ტექსტების სიყალბე და ჰაოს-ქართლოსის უფროს-უმცროსობის ცრუ წყაროთა ე.წ. „დედნები" **ნიკო მარმა** აღმოაჩინა და ამის შესახებ **ივანე ჯავახიშვილს** ამცნო. **ნიკო მარი** მსოფლიოში ცნობილი არმენოფილი იყო, მაგრამ **ეყო სინდისი, ეთქვა სიმართლე, რომ**

**„ქართლის ცხოვრებაში" შეჩურთული ქართველთა შეურაცხმყოფელი ბინძური ტექსტი თავიდან ბოლომდე ეჩმიაძინელ ფსევდოავტორთა სიყალბე გახლდათ!**




**„სიმონ ყაუხჩიშვილმა 1955 წელს ნაძირალა ხრუშჩოვის მითითებით, დიდი ზარ-ზეიმით გამოცემულ „ქართლის ცხოვრების" პირველსავე ტომში ისევ შემოაგდო ივანე ჯავახიშვილის, ნიკო მარის, კორნელი კეკელიძისა და სტალინის მიერ ბინძურ ფალსიფიკაციად მიჩნეული მხითარისტი სომხების ტექსტები, რომელიც კიდევ ერთხელ მიაწერა ლეონტი მროველს!"**

იმედის კლინიკა
თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა
imediclinic.com
* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი
პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო
სამშობიარო:
032 229-56-50
პედიატრიული კლინიკა:
032 223-85-80


საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა
გიდმედი
გქონდეთ ჩვენი იმედი!
ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია
თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55



მაღაზია «ბუკვიცა»
ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე
574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90
მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.


## საეკლესიო კალენდარი



8 მარტი – ხსენება დიდმოწამისა თეოდორე ტირონისა

✝ 3 მარტი. ორშაბათი. **დიდმარხვის დასაწყისი. ნიკოლოზისა, ყოვლისა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისა;** ლეონ რომის პაპისა; აღაპიტო აღმსარებლისა, სვინაელი ეპისკოპოსისა, სასწაულმოქმედისა; ღირსისა პავლე კორინთელისა, ქრისტესთვის სალოსად სახელდებულისა; მოწამეთა ლეონისა და პარიგორისა, ლიკიის პატარში მოღვაწეთა; მოწამისა პიულისა.

✝ 4 მარტი. სამშაბათი. მოციქულთა: არქიპოსი და ფილიმონისა, 70-თაგანთა და მოწამისა, მოციქულთა სწორისა აპფიასი; წმიდათა პირველმოწამე ლაზთა: მაქსიმესი, თეოდოტისი, ევსუქისი და ასკლიპიდოსი; ღირსთა ევგენი და მაკარი აღმსარებელთა, ანტიოქიელ ხუცესთა; ღირსისა რაბულასი; ღირსისა კონონ კილიკიელისა; მოწამისა ფილოთეა ათენელისა.

✝ 5 მარტი. ოთხშაბათი. **ღირსისა ლეონისა, კატანელი ეპისკოპოსისა, სასწაულმოქმედისა; მღვდელმოწამისა სადოკისა, სპარსელი ეპისკოპოსისა და მისთანა 128-თა მოწამეთა;** ღირსისა აღათონ რომის პაპისა; ღირსისა ბესარიონ ეგვიპტელისა, სასწაულმოქმედისა; ღირსისა პლოტინესი; ღირსისა კინდეოსისა, პისიდიის ეპისკოპოსისა; ღირსისა დედისა მილდრედისა ბრიტანეთიდან.

✝ 6 მარტი. ხუთშაბათი. **ღირსისა ტიმოთე სიმბოლელისა;** ევსტათისი, ანტიოქიელი მთავარეპისკოპოსისა; გიორგისი, ამასტრიდელი ეპისკოპოსისა; იოანე სქოლასტიკოსისა, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა; ნეტარისა ზაქარიასი, იერუსალიმელი პატრიარქისა; ღირსთა ანდრიასი და ანატოლისა, იერუსალიმელთა; მაქსიმიანოსისა, რავენელი მთავარეპისკოპოსისა.

✝ 7 მარტი. პარასკევი. **წმიდათა მოწამეთა ცხრათა ყრმათა კოლაელთა; პოვნა წმიდათა ნაწილთა ევგენიელ მოწამეთა:** მოციქულისა, 70-თაგანისა ანდრონიკესი, იუნიასი და სხვათა; მოწამეთა მავრიკისა და 70-თა მხედართა: ფოტინისი, თეოდორესი, ფილიპესი და სხვათა.



9 მარტი – მართლმადიდებლობის ზეიმი. დიდმარხვის პირველი კვირა

✝ 8 მარტი. შაბათი. **დიდმოწამისა თეოდორე ტირონისა; თევდორობა;** მღვდელმოწამისა პოლიკარპესი, ზმირნელი ეპისკოპოსისა; ღირსთა: იოანესი, ანტიოქესი, ანტინოესი და მოსესი; ღირსთა: ზევინისი, პოლიქრონისი, მოსესი და დამიანესი, სირიელ მეუდაბნოეთა; ღირსისა ალექსანდრე მონაზონისა, „მღვიძარეთა" სავანის წინამძღვრისა.

✝ 9 მარტი. კვირა. **მართლმადიდებლობის ზეიმი. დიდმარხვის I კვირა. წმიდისა დიდებულისა წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანეს პატიოსნისა თავისა პირველად და მეორედ პოვნა.**

„ასავალ-დასავალის" რედაქცია
უსამძიმრებს **გელა ზედელაშვილს** დედის

**ზეინაბ ნატროშვილის**

გარდაცვალების გამო და იზიარებს ოჯახის მწუხარებას.





„ასავალ-დასავალის" რედაქცია
უსამძიმრებს **მაია ნიკოლეიშვილს** დედის

**ნუნუ ნიკოლეიშვილი-ნაცვლიშვილის**

გარდაცვალების გამო და იზიარებს ოჯახის მწუხარებას.



ზურა ხაჩიძე:

## „გამალებით მიმდინარეობს ფარული დასის მხილება, რომელიც ეროვნულ სახელმწიფოებში თანამედროვე მანქურთების გამოძერწვით არის დაკავებული!“




# ქართველი ერი ბრძენია და კარგად ხვდება, როგორი ვერაგი ძალა ელობებოდა სამართლიანობის აღდგენას!

*„რასაც ამჟამად* ***ფარული დასის*** *მიერ დაფინანსებული მანიფესტანტები საქართველოში სჩადიან, ყოველ ზღვარს სცილდება. უტიფრობისა და უზნეობის მსგავსი მაგალითები მე არ მახსენდება!“* ***— აცხადებს ცნობილი მომღერალი, სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ზურა ხაჩიძე:***

— 11 წლის განმავლობაში ვაპროტესტებდით სააკაშვილის დანაშაულებრივ რეჟიმს და პროტესტს იმგვარად გამოვხატავდით, რომ ხიდან ფოთოლიც არ ჩამოვარდნილიყო, მაგრამ, რასაც დღეს ვხედავთ, შორს არის გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი ფორმისგან და ჩვეულებრივ ფაშიზმში გადადის!

მარტო იმის გამო, რომ მათ პოზიციას არ იზიარებს, ეს ადამიანები ზიზღით ეპყრობიან უმრავლესობას და ხშირ შემთხვევაში პირდაპირ აგინებენ იმ ლექსიკით, რასაც ქართველი, როგორც წესი, წყობიდან გამოჰყავს. წინასწარი გეგმის მიხედვით, ეს დაპირისპირება შემდგომში მასშტაბურ კონფლიქტში უნდა გადაიზარდოს.

ამერიკის ხელისუფლებაში **ტრამპის** მოსვლის შემდეგ გამოქვეყნდა მასალები, რომ საქართველოში არეულობის გამოსაწვევად უზარმაზარი ფულადი რესურსები შემოდიოდა, რაც ეკლესიისა და პატრიარქის გინებას, ქართველების ღრუზინებად შერაცხვასა და ეროვნული გრძნობების შელახვას უნდა მოხმარებოდა.

**— გეგმა თავად შეიმუშავეს?**

— ეს ვერაგული გეგმა უცხოეთის სპეცსამსახურების კაბინეტებში დაიწერა. რაღა შორს წავიდეთ, საქართველოს სტუმრობდა ამერიკელი ბიზნესმენი **პიტერ აკერმანი,** რომლის სახელსაც სხვადასხვა ქვეყანაში ფერადი რევოლუციების მოსაწყობი ტექნოლოგიების დაფინანსება უკავშირდება. სწორედ მისი შემუშავებულია სახელმძღვანელო სახელწოდებით **„საკონტროლო სია ტირანიის დასასრულებლად“!** საგულისხმოა, რომ საქართველოდან **აკერმანის** გაძევების გამო არაერთი ისეთი ხელოვანი მოთქვამდა, რომელთა წვლილიც ხელოვნებაში ქართველ ხალხს არც კი ახსოვს! ღვდის გინების გარდა, ქართველის გასაღიზიანებელ გეგმაში შედიოდა ჩვენი ეროვნული მენტალიტეტის ფარგლებში ნებისმიერი ტაბუდადებული მოქმედება, ვთქვათ, დაკრძალვის ცერემონიალის მასხრად აგდება; კუბოს დაწვა, რომელზეც ქრისტეა გამოსახული; ჯვრის მონასტერზე წარწერების მიჩხაპნა, **მამა შალვასთან** ეკლესიაში მივარდნა...

შეურაცხყოფის აპოგეად იქცა საკვებში ჩაფურთხების იდეა, ანდა, ვინ იცის, რა პრობლემის მოსაგვარებლად მანქანით მიმავალი მოქალაქისათვის გზის გადაკეტვა, რათა მოთმინებით ელოდოს მავანთა ახირების დასრულებას, თუნდაც ფეხმძიმე ცოლი სამშობიაროში მიჰყავდეს...

**— და რა შედეგს მიაღწევენ ამით?**

— შედეგად მიიღეს არა ქართველების სამოქალაქო დაპირისპირება, არამედ საზოგადოებისგან ბოლომდე გარიყული რამდენიმე ასეული დაზომბილი ადამიანი, რომლებმაც თავადაც არ იციან, რას აპროტესტებენ!

მართალია, მათ ბოლო დროს წყაროები შეუმცირდათ, მაგრამ მაინც ფინანსდებიან ევროკავშირის რეაქციული სტრუქტურებიდან წინასწარ გაწერილი გეგმით იმის ჩასადენად, რასაც თავმოყვარე ადამიანი არ იკადრებს — **ხან „ნეხვის ტორტი“ უკავიათ, ხან მაგიური რიტუალის მსგავს ქმედებებს მიმართავენ და ნემსით ჩხვლეტენ თოჯინებს.** არადა, სკეპტიკოსიც ვერ უარყოფს, ბოლო თვეებში რა თამამ და შედეგიან ნაბიჯებს დგამს ხელისუფლება ქვეყნის სუვერენიტეტის სრულყოფისკენ; ბევრი ისეთი კანონი შემოდის, რასაც წლების განმავლობაში უშედეგოდ მოითხოვდა საზოგადოების უმრავლესობა.

ქართველი ერი ბრძენია და კარგად ხვდება, როგორი ვერაგი ძალა ელობებოდა სამართლიანობის აღდგენას.

**თვით ამერიკის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, რომელიც წინ აღუდგა მსოფლიო ფარულ დასს, ე.წ. დიფ სთეითს, იქცა თავდასხმებისა და ბულინგის ობიექტად, არამცთუ ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც მოთმინებითა და სიბრძნით მიიყვანა ქვეყანა იმ დღემდე, როცა სამართლიანობისა თუ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ილუზიად აღარ ითვლება.**

ფაქტია — ე.წ. ლიბერასტულმა ოპოზიციამ თვით ამერიკის პრეზიდენტსა და მის 50 მილიონ ამომრჩეველს მიაკრა რუსეთის აგენტის იარლიყი, მაგრამ მას მერე, რაც სამართლიანობის აღდგენის კომისიის ხელმძღვანელობა **თეა წულუკიანმა** ითავა, ხოლო მის მოადგილედ **სოზარ სუბარი** დაინიშნა, იოტისოდენი ეჭვიც აღარ მაქვს, რომ ყველა მოვლენას თავისი სახელი დაერქმევა და ყველა რეზიდენტი იმხილება!

**— მანიფესტანტთა შორის საშუალო და უფროსი თაობის ინტელიგენტებიც არიან, რომლებიც თავის დროზე ეროვნულ ღირებულებებზე გაიზარდნენ. თუნდაც ჩაფურთხების მოწოდებას რად არ აღუდგნენ?**

— ინტელიგენტები კი არა, ისინი უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ გადაბირებული უნუგეშო იდიოტები არიან. აქამდე დუმდნენ და გადამწყვეტ მომენტში პატრონებისგან გააქტიურების მითითება მიიღეს. **ბევრი მათგანი აქამდე სახელმწიფო სამსახურებშიც იყო ჩანერგილი და თავი მას მერე გამოამჟღავნეს, როცა უცხოეთიდან ინსპირირებულ გადატრიალებას მიემხრნენ, საბოტაჟის მიზნით სამსახურები კოლექტიური განცხადების შემდეგ მიატოვეს,** თუმცა, სახელმწიფო მაინც ვერ ჩამოშალეს. სამწუხაროდ, მარგინალთა შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, ვისაც ხალხი აქამდე პატივს სცემდა!

ახლახან მეგობრებთან ერთად მცხეთაში სიწმინდეები მოვილოცე და შემდეგ ერთ რესტორანში წასახემსებლად შევიარეთ. მარგინალების ერთმა ჯგუფმა სოციალურ ქსელებში პირდაპირ ჩვენთვის საკვებში ჩაფურთხებისაკენ მოუწოდა რესტორნის პერსონალს, მაგრამ მათზე მეტად იმ ხელოვანთა დუმილმა აღმაშფოთა, რომლებიც ასეთ მოწოდებას აღშფოთებით არ შეგებებიან! **ჩვენთვის „რუსეთის აგენტის“ მოწებების კამპანიაში განსაკუთრებით საწყენია უფროსი თაობის იმ მსახიობთა მონაწილეობა, რომელთა შემოქმედებითი კარიერა მთლიანად რუსეთთან არის დაკავშირებული!** არადა, ყველანი ოჯახებში გავიზარდეთ, სადაც მორალი გვასწავლეს, მაგრამ საზოგადოების ნაწილმა ამ მორალს გადააბიჯა — ზოგმა ფულის სიყვარულით, ზოგმაც — კომპრომატის საფუძველზე უცხოელი სპეცსამსახურების გადაბირებით...

**— ბოლო მანიფესტაციებზე ისევ გააქტიურდა „სლავაუკრაინე“ ხალხი.**

— ეს ბრბო უკვე ამერიკის დროშასაც წვავს, რადგან **ტრამპი** „რუსეთის აგენტად“ მიაჩნიათ! ამ ფონზე მისასალმებელია, რომ **ფარული დასის** მიერ უკრაინის პრეზიდენტად გამწესებული **ფაშისტი ზელენსკი** ამერიკის პრეზიდენტმა ოვალური კაბინეტიდან გამოაპანღურა! სამწუხაროდ, **ფარულმა დასმა** შეძლო უკრაინაში თავისი მსახვრალი პროგრამის განხორციელება, თუმცა, ჩვენდა გასახარად, იმავე პროგრამაში საქართველო ვერ ჩაითრია.

გონების გამორეცხვისა და ადამიანისგან მანქურთის გამოძერწვის საფრთხის შესახებ კაცობრიობა ჯერ კიდევ **ჩინგიზ აიტმატოვმა** გააფრთხილა თავისი ნაწარმოებით **„და დღე იყო ბრძელი წუთისოფელზე“.** ამჟამად გამალებით მიმდინარეობს **ფარული დასის** მხილება, რომელიც ეროვნულ სახელმწიფოებში თანამედროვე მანქურთების გამოძერწვით არის დაკავებული და, იმედია, ამ ბინძური ექსპერიმენტის ავტორებს ძალიან მალე გამძვინვარებული კაცობრიობა საკადრის სასჯელს მიაგებს!

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**





**„თვით ამერიკის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, რომელიც წინ აღუდგა მსოფლიო ფარულ დასს, ე.წ. დიფ სთეითს, იქცა თავდასხმებისა და ბულინგის ობიექტად,**

**არამცთუ ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც მოთმინებითა და სიბრძნით მიიყვანა ქვეყანა იმ დღემდე, როცა სამართლიანობისა თუ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ილუზიად აღარ ითვლება!“**




## მარტის თვის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
მარტში ვერძის უმრავლესობა თავს უფრო დაუცველად იგრძნობს, ვიდრე სხვა პერიოდებში. თუმცა, დადებითი ენერგიები დაეხმარება შეინარჩუნოს აქტიური, საქმიანი რიტმი. გარდა ამისა, გახდება უფრო პასუხისმგებელი და გულუხვი, მეგობრები და კოლეგები დადებით ემოციებს, მხარდაჭერასა და მადლიერებას მიანიჭებენ დახმარებისთვის. 5 მარტიდან მეტად კონცენტრირდება მთავარ მიზნებზე. ბევრ საკითხს გადაჭრის და პროექტებს წარმატებით დაასრულებს. თვის მეორე ნახევარში ვერძის ენერგია დაიწყებს განახლებას. გააქტიურდება, მოემზადება რისკისთვის, შთაგონებული იქნება ახალი იდეებით.

**კურო** (21.04-20.05)
მარტი ძალიან პოზიტიური თვეა კუროსთვის, ის საშუალებას მისცემს, გახდეს უფრო თავშეკავებული, არ აჩქარდეს გადაწყვეტილების მიღებაში და რეალურად შეაფასოს თავისი შესაძლებლობები. თვის დასაწყისში კურო უფრო იმპულსური იქნება, დიდ ფულს დახარჯავს, სურვილებს აჰყვება. 5 მარტიდან სიტუაცია უფრო წარმატებულად განვითარდება, განსაკუთრებით სხვებთან ურთიერთობის კუთხით, რომლებიც ჩაერთვებიან მის გეგმებში. მნიშვნელოვანია, რომ კურო არ აჩქარდეს გარკვეულ ქმედებებზე თანხმობის მიღებაზე. მესამე დეკადაში კუროს პოტენციალი შესუსტდება, თუმცა, შეინარჩუნებს საქმიან აქტივობას, შეძლებს, წარმატებით შეცვალოს სიტუაციები.

**ტყუპი** (21.05-22.06)
მარტში ტყუპების ენერგიებისთვის დიდად ხელსაყრელი პერიოდი არ არის, თუმცა, ტყუპების პოპულარობა და თვითშეფასება გაიზრდება, გაუმართლებს კომუნიკაციის მხრივაც, ახალ მეგობრებსა და ნაცნობებს გაიჩენს, მაგრამ ამავე დროს, არსებობს საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების გადაჭარბების საშიშროება, ის ადვილად შეჰპირდება და შემდეგ ისევე ადვილად დაივიწყებს. მარტის მეორე ნახევარი უფრო პოზიტიური და წარმატებულია, განსაკუთრებით პირად ცხოვრებაში. მას ელოდება ახალი სიყვარული, პერსპექტივები ფინანსურ საკითხებში და ბიზნესში. ტყუპები შეძლებს, გამოიმუშაოს სოლიდური თანხა, განახორციელოს მნიშვნელოვანი შესყიდვები და დაიწყოს საკუთარი ბიზნესი. ტყუპები ნებით დაეხმარება სხვებს, გამოიჩენს გულუხვობას, რაც მის პოპულარობას გაზრდის.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
კირჩხიბისთვის მარტი ძალიან ჰარმონიული პერიოდია როგორც ჯანმრთელობის, ასევე ენერგეტიკული და ამბიციური მისწრაფებების რეალიზაციის თვალსაზრისით. კირჩხიბი იგრძნობს საყვარელი ადამიანების მხარდაჭერას, რაც გაზრდის მის მონდომებას, გამბედაობას, მზადყოფნას, თავი დააღწიოს, რაც ხელს უშლის მის თვითრეალიზაციას. თვის დასაწყისში შესაძლოა წარმოიშვას უსიამოვნებები, რომლებიც გამოწვეულია წარსული შეცდომებით ან პრობლემების დაყოვნებით. 5 მარტიდან სიტუაცია საკმაოდ ხელსაყრელი გახდება, კირჩხიბი შეძლებს, გახდეს ლიდერი თავის სფეროში, მართოს ადამიანები, იყოს ძალიან დამაჯერებელი, რაც გამოიწვევს მეგობრებისა და კოლეგების პატივისცემას. მას შესთავაზებენ უფრო პრესტიჟულ და მაღალანაზღაურებად სამსახურს, რაც კირჩხიბის ამბიციას სავსებით დააკმაყოფილებს.

**ლომი** (23.07-23.08)
მარტის თვის წყლის ენერგიები ნაკლებად სასიამოვნოა ლომის ცეცხლოვანი სტიქიის ენერგიებისთვის, რაც არ მისცემს მას სრულად გამოხატვის საშუალებას. ლომი უფრო მჭიდროდ ჩაერთვება უკვე დაწყებულ პროექტებში და შეასრულებს ვალდებულებებს, ასე რომ, ის უფრო მეტად იქნება დამოკიდებული სხვებზე და გარემოებებზე. მეორე დეკადაში ლომის ენერგია გაიზრდება, მეტად ფილოსოფიური გახდება, ხელსაყრელი პერიოდია კომუნიკაციისა და თანამშრომლობისთვის. ლომი შეძლებას, დადოს შედეგი, წარსული ძალისხმევით, დაეხმარება სხვებს, რითაც შეიქმნის პოზიტიურ კარმას, უფრო ადვილად დაალაგებს პრობლემას, თავს დააღწევს მჩაგვრელ ვალდებულებებსა და ურთიერთობებს. მესამე დეკადაში მეტად ენერგიულია, წარმატებით გააცნობიერებს თავის ამბიციებს პოლიტიკურ და სოციალურ საქმიანობაში.

**ქალწული** (24.08-23.09)
მარტი ქალწულისთვის ხელსაყრელი პერიოდია პარტნიორისგან მხარდაჭერის, დიდ მოთხოვნილებას იგრძნობს (სამსახური თუ ქორწინება). თვის დასაწყისში მას ბიზნესში გარკვეული იმედგაცრუება შეექმნება. გარდა ამისა, ქალწული გადაჭარბებულად შეაფასებს საკუთარ შესაძლებლობებს და ძლიერ მხარეებს, მოუწევს ზედმეტი ენერგიის დახარჯვა შედეგის მისაღწევად. ამ დროს მეტად უნდა ჰქონდეს კოლეგებისა და მეგობრების დახმარების იმედი. მეორე დეკადა ამ მხრივ საკმაოდ პოზიტიური იქნება. ნებისმიერი თანამშრომლობა დაეხმარება ქალწულს, დაზოგოს დრო და ენერგია, ამ პერიოდში შესაძლოა მოულოდნელი მოგზაურობა, სასიამოვნო სიურპრიზები, საქმიანი კავშირების გაფართოება, ახალი იდეები და კონტრაქტები. ასევე პოზიტიური გარდაქმნები ფინანსურ საკითხებში, მოგება და მსხვილი შენაძენები.

***მარტში დედამიწის ბიოსფეროს მდგომარეობა ძალზე ჰარმონიული იქნება, რაც ბევრ ქვეყანაში სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებას გააქტიურებს, მიუხედავად იმისა, რომ 14 მარტს იქნება მთვარის დაბნელება, ხოლო 29 მარტს — მზის დაბნელება.***

**მარტში,** განსაკუთვრებით **9-დან 29-მდე,** დედამიწა იქნება დადებითი და ჰარმონიული კოსმიური ვიბრაციების ზონაში. განსაკუთრებით პროდუქტიული იქნება პერიოდი **3 მარტიდან 13 მარტამდე, პლანეტა მერკურის ვერძის ზოდიაქოში ტრანზიტის წყალობით საქმიანი, შემოქმედებითი პოტენციალი გაიზრდება.** გაზაფხულის მოსვლასთან ერთად, ვერძის ენერგიები და მზარდი მთვარე ბევრ ადამიანს გაუჩენს ცვლილების სურვილს. ბევრის გაკეთება უნდა მოვასწროთ, რადგან **15 მარტიდან პლანეტა მერკური** რეტროგრადულ მოძრაობას დაიწყებს და ახალ წამოწყებებსა და გეგმებს „შეანელებს". **14 მარტს მთვარის დაბნელებამდე პლანეტა მერკური ხელს შეუწყობს პროგრესს და გადაუდებელი ცვლილებების გადაწყვეტას. ამიტომ 15-დან 21 მარტამდე გეგმები თუ ტრანზაქციები უფრო ნელა განვითარდება ან საერთოდაც გადაიდება.**

მარტის მესამე დეკადა წარმატებით დასრულდება, სასიყვარულო ურთიერთობები, რომლებმაც ჩიხს მიაღწიეს, წარმატებით მოგვარდება, **27 მარტს პლანეტა ვენერა თევზების** ზოდიაქოში შევა და კომუნიკაციას უფრო რბილსა და მოქნილს გახდის, ადამიანებს — უფრო მიმღებს და თანამგრძნობს, ხოლო **პლანეტა მარსი,** რომელიც **18 აპრილამდე კირჩხიბის** ზოდიაქოში იქნება, დაეხმარება ადამიანებს შემოქმედებითი და განახლებული ენერგიების გაღვიძებაში, რაც დაეხმარებათ გათავისუფლდნენ დამთრგუნველი ტენდენციებისა და ძველი ურთიერთობებისგან, გამოავლინონ ნიჭი სხვადასხვა სფეროში. საქმიანი აქტივობის ყველაზე მაღალი დონე შეინიშნება **ასტროლოგიური ახალი წლიდან — 20 მარტიდან, როდესაც მზე 13.03 საათზე შევა ვერძის ზოდიაქოში და შეუერთდება პლანეტა მერკურს და მისი ვიბრაციებით ხელს შეუწყობს ენერგიების განახლებას. ამ ენერგიების ძალიან წარმატებით გამოყენება შეიძლება ახალმთვარეობამდე და 29 მარტს მზის დაბნელებამდე,** ნებისმიერი პროექტის დასაწყებად, თუნდაც იყოს მოულოდნელი და რადიკალური. **29 მარტს ახალი მთვარის შემდეგ და 13 აპრილს გაზაფხულის პირველ სავსემთვარეობამდე, ეს პერიოდი აღდგომის მოახლოებულ ვიბრაციასთან ერთად ცვლილებებსა და ძალას შეჰმატებს.**




## მარტის თვის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
მარტი სასწორისთვის საკმაოდ აქტიური თვეა. მიუხედავად იმისა, რომ თვის დასაწყისში არ იმოქმედებენ ისე ეფექტურად, იქნება ბევრი შეუსაბამობა, წინააღმდეგობა, მაინც საუკეთესო შედეგებს დადებს. მეორე დეკადაში, გარემოებების გავლენით, იძულებული იქნება, დიდი დრო და ძალისხმევა დაუთმოს ბიზნესს სხვების დასახმარებლად, რაც გამოიწვევს მისთვის მნიშვნელოვან პერსპექტივებს როგორც ფინანსურად, ასევე პროფესიულად. მესამე დეკადაში თავს საკმაოდ თავდაჯერებულად იგრძნობს, მისი გავლენა მნიშვნელოვნად გაიზრდება. ბევრი სასწორი იგრძნობს მუდმივ ტრანსფორმაციას საკუთარ თვითშეგნებაში, რაც ზეგავლენას მოახდენს არამხოლოდ ბიზნესზე, არამედ საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობაზეც. ამ დროს სასწორს შეუძლია მთლიანად დამორჩილდეს ვნებებს და სიყვარულს, რაც ცხოვრებისეულ დიდ და სასიამოვნო ცვლილებებთან მიიყვანს.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
მარტში ღრიანკალი აღსავსე იქნება ენერგიებით, რომელსაც ის დახარჯავს საყვარელი ადამიანებისა და შვილების კომფორტისა და უსაფრთხოების შექმნაზე, განათლებაზე, სულიერ განვითარებაზე. შესაძლოა, ზოგიერთი ღრიანკალი ჩაერთოს საქველმოქმედო საქმიანობაში, ვიღაცამ გააძლიეროს მისი პოზიცია. მისი თქმით, თვის დასაწყისში შესაძლებელია უსიამოვნებები, რომლებიც გამოწვეულია საბუთებში შეცდომებით. მეორე დეკადაში ღრიანკალს ექნება მეტი შესაძლებლობა, გამოხატოს საკუთარი თავი, შეცვალოს ცხოვრების წესი, მოიშოროს მავნე ჩვევები, იპოვოს შესაძლებლობების ახალი გამოყენება და ამავდროულად გაიზრდება მისი კონტროლი საყვარელ ადამიანებთან მიმართებაში, მნიშვნელოვანია, არ გამოიყენოს ძალაუფლება. გარდა ამისა, პარტნიორებს შეუძლია, ძლიერი გავლენა მოახდინონ ღრიანკალზე, მათ სულიერ ტრანსფორმაციაზე.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
მშვილდოსნისთვის გაზაფხულის დასაწყისი ასოცირდება ჩვეული რუტინის შეცვლის, უფრო თანმიმდევრულად მოქმედების აუცილებლობასთან, შემდეგ კი მცირე შესაძლებლობა მიეცემა, დაისვენოს და იმოქმედოს საკუთარი გეგმების მიხედვით. გარდა ამისა, არ არის გამორიცხული, რომ პარტნიორებმა შეცვალონ მშვილდოსნის გეგმები და თვითშეფასება. მეორე დეკადაში ის თავს უფრო თავდაჯერებულად იგრძნობს, პოპულარობა და მოწონების სურვილი გაიზრდება. ამ პერიოდის განმავლობაში პირადი ცხოვრება უფრო აქტიურად განვითარდება, ზოგისთვის კი ეს ბედის პოზიტიური გარდაქმნების დრო იქნება. მარტის მესამე დეკადა უფრო ჰარმონიული იქნება.

**თხის რქა** (22.12-19.01)
თხის რქისთვის მარტი საკმაოდ ხელსაყრელი პერიოდია, მას შეუძლია, გააძლიეროს საქმიანი კავშირები, გააფორმოს კონტრაქტები, გამოიყენონ მენეჯმენტისა და სპონსორების მხარდაჭერა. 5 მარტიდან თხის რქა უფრო ეფექტურად იმოქმედებს, მისმა ძალისხმევამ შესაძლოა პატივისცემა ან ფულადი ჯილდო მოუტანოს. მას შეიძლება ახალი და უფრო საინტერესო პასუხისმგებლობებიც გაუჩნდეს. თუმცა, თხის რქა უფრო მეტად იქნება დამოკიდებული პარტნიორებზე და მათ ინიციატივებზე, რამაც შეიძლება შეცვალოს მისი ჩვეული რუტინა და შექმნას ახალი წინაპირობა პროფესიული და ინტელექტუალური თვალსაზრისით. იქნება მოულოდნელი მოგზაურობა, შეხვედრები, მოვლენების მორევი, ასევე საუკეთესო პერსპექტივები სამსახურში და ბიზნესში.

**მერწყული** (20.01-18.02)
მერწყული მარტში ძალიან წარმატებით მოაგვარებს ფინანსურ საკითხებს, განახორციელებს მნიშვნელოვან და დიდ შენაძენებს, რაც დაეხმარება ფინანსური სტაბილურობის მიღწევაში და უფრო თავდაჯერებულად იგრძნობს თავს. მას ასევე მოუწევს შრომა, ორგანიზაციული პასუხისმგებლობის აღება. მეორე და მესამე დეკადაში იღბლიანი იქნება, მოგება გაიზრდება წარმატებული გარიგებით. ზოგიერთს სიყვარულში იღბალი ელის, დაქორწინებაც დიდ გამარჯვებას წააგავს. მესამე დეკადაში გაიზრდება მისი ენერგეტიკული პოტენციალი, ავტორიტეტი, ზოგიერთი წარმატებით ჩაერთვება პოლიტიკურ ან სოციალურ საქმიანობაში.

**თევზები** (19.02-20.03)
მარტი თევზებისთვის ყველაზე ჰარმონიული და დინამიკური პერიოდია, ის იგრძნობს მზარდ ძალას და მზადყოფნას აქტიური მოქმედებისთვის. ბევრი მათგანი აღმოჩნდება წარმატებული სტრატეგი, რომელიც გამოთვლის ქმედებებს რამდენიმე ნაბიჯით ადრე, რაც დაეხმარება, იმოქმედოს სიზუსტით და დაიცვას თავი უსიამოვნო სიურპრიზებისგან. შეძლებს შიშებისა და ეჭვების დაძლევას, წარსულ პრობლემებთან გამკლავებას, ცხოვრების ჩვეული რიტმის შეცვლას და საკუთარი თავის დისციპლინას. ისე უნდა იმოქმედოს, რომ არ გამოტოვოს იღბლიანი შანსი. სასიამოვნო ცვლილებები ელის ოჯახში, მატება, ცხოვრების გაუმჯობესება, მოულოდნელი მოგზაურობები, რაც პოზიტივს მოუტანს თევზებს სიახლეებით სავსე ცხოვრებაში.

# თევზების ზოდიაქოს ნიშანი –

*მარტში დაბადებული ადამიანები, რომელთა ზოდიაქოს ნიშანი თევზებია, ცნობილი არიან ემოციურობით, თანაგრძნობის უნარითა და ინტუიციით. აქვთ ძლიერი სამართლიანობის გრძნობა და ყოველთვის მზად არიან დახმარებისთვის. ახასიათებთ კრეატიულობა, არიან შრომისმოყვარენი, მიაჩნიათ, რომ ხშირად გრძნობები და ემოციები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მატერიალური ან პრაქტიკული საკითხები. ხანდახან კარგავენ რეალობასთან კავშირს და ცდილობენ, თავიანთ გარშემო, შეძლებისდაგვარად, შექმნან იდეალური სამყარო. მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია სულიერი ზრდა და შინაგანი ჰარმონია, ასევე მიზანსწრაფულობა, საკუთარი თავის რწმენა და ამტანობა. ამ პერიოდში დაბადებულებს უყვართ საქმის წინასწარ დაგეგმვა, აქვთ გამჭრიახი გონება და ყოველ ნაბიჯს საგულდაგულოდ ზომავენ.*

## ზოდიაქოს ნიშნები

**ვერძი:** 21 მარტი — 20 აპრილი; **კურო:** 21 აპრილი — 20 მაისი; **ტყუპები:** 21 მაისი — 22 ივნისი; **კირჩხიბი:** 23 ივნისი — 22 ივლისი; **ლომი:** 23 ივლისი — 23 აგვისტო; **ქალწული:** 24 აგვისტო — 23 სექტემბერი; **სასწორი:** 24 სექტემბერი — 22 ოქტომბერი; **ღრიანკალი:** 23 ოქტომბერი — 22 ნოემბერი; **მშვილდოსანი:** 23 ნოემბერი — 21 დეკემბერი; **თხის რქა:** 22 დეკემბერი — 19 იანვარი; **მერწყული:** 20 იანვარი — 18 თებერვალი; **თევზები:** 19 თებერვალი — 20 მარტი.



ობილი ქართველი მწერლის **ოთარ ჭილაძის** ძმა **თამაზ ჭილაძე.** გარდაიცვალა 87 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.



**1932 წლის 5 მარტს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა მწერალი, პუბლიცისტი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი და კულტურის ყოფილი მინისტრი **ნოდარ წულეისკირი.** გარდაიცვალა 82 წლის ასაკში, ცხენის წელიწადში.



**1935 წლის 5 მარტს, ღორის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, კინორეჟისორი და სცენარისტი, საქართველოს დამსახურებული არტისტი **ბაადურ წულაძე.** გარდაიცვალა 83 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.



**1940 წლის 5 მარტს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა პოლიტიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გივი ბოლოთაშვილი.** გარდაიცვალა 83 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1889 წლის 6 მარტს, ხარის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი **ეკატერინე (ცაცა) ამირეჯიბი.** გარდაიცვალა 86 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1893 წლის 7 მარტს, გველის წელიწადში,** დაიბადა დრამატურგი **პოლიკარპე კაკაბაძე.** გარდაიცვალა 79 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.



**1994 წლის 7 მარტს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა საქართველოს ეროვნული გმირი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, გენერალ-მაიორი **ჟიული შარ-**

## ასტროლოგიური კვირა მიხეილ ცაგარელის მიხედვით

## მიმდინარე კვირა – 3 – 9 მარტი

### თევზების ზოდიაქოს ნიშნით დაიბადნენ ცნობილი ქართველები:



**1958 წლის 3 მარტს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა პოლიტიკოსი და სპორტსმენი, საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი **ბიძინა ბეგიძე.** მონაწილეობდა აფხაზეთის ომში, არის მხატვრული ფილმის „წარსულის აჩრდილების“ პროდიუსერი.



**1970 წლის 3 მარტს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი **ნინო კასრაძე.** რუსთაველის თეატრში შექმნილი სახეების შემდეგ, სერიალში **„ჩემი ცოლის დაქალები“** შეასრულა **მაკა ანჯაფარიძის** როლი. თამაშობს „ახალ თეატრში“ (ვასო აბაშიძის სახელობის მუსკომედიის თეატრი)



**1948 წლის 5 მარტს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, 1992-1995 წლებში საქართველოს მე-3 მოწვევის პარლამენტის წევრი **ვალერი კვარაცხელია.**



**1968 წლის 5 მარტს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა იურისტი, მერვე მოწვევის პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, პოლიტიკური გაერთიანება „ლელოს“ პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე **დავით უსუფაშვილი.**



**1979 წლის 6 მარტს, თხის წელიწადში,** დაიბადა პოლიტიკოსი, საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრი, „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკური საბჭოს წევრი **ნიკოლოზ სამხარაძე.**

**1957 წლის 7 მარტს, მამლის წელიწადში,** დაიბადა ხელოვნებათმცოდნე, ჟურნალისტი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი **გიორგი (გოგი) გვახარია.**





**1969 წლის 7 მარტს, მამლის წელიწადში,** დაიბადა იურისტი, პოლიტიკოსი, საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე **გიორგი ცაგარეიშვილი.**



**1979 წლის 7 მარტს, თხის წელიწადში,** დაიბადა მევიოლინე, ბეთჰოვენის ბეჭდის მფლობელი, ცნობილი მევიოლინის **თამაზ ბათიაშვილის** ქალიშვილი **ლიზა ბათიაშვილი.**



**1979 წლის 7 მარტს, თხის წელიწადში,** დაიბადა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე, თბილისის ყოფილი მერი **დავით ნარმანია.**



**1931 წლის 8 მარტს, თხის წელიწადში,** დაიბადა პედაგოგი, ფსიქოლოგი, თბილისის საპატიო მოქალაქე **შალვა ამონაშვილი.**



**1943 წლის 9 მარტს, თხის წელიწადში,** დაიბადა გრაფიკოსი, ფერმწერი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი და რუსეთის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ზურაბ დოლენჯაშვილი.**



**1957 წლის 9 მარტს, მამლის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, კოტე მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი **რეზო ჩხიკვიშვილი.**

### თევზების ზოდიაქოს ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1925 წლის 3 მარტს, ხარის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი და სპორტული კომენტატორი, საქართველოს სახალხო არტისტი **ეროსი მანჯგალაძე.** გარდაიცვალა 57 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.



**1936 წლის 4 მარტს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა კინოსა და თეატრის მსახიობი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, ხელოვნების ქურუმის ჯილდოს მფლობელი **ამირან ქადეიშვილი.** გარდაიცვალა 85 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1942 წლის 4 მარტს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა კომპოზიტორი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე **ბომარ სიხარულიძე,** გარდაიცვალა 77 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.



**1919 წლის 5 მარტს, თხის წელიწადში,** დაიბადა კომპოზიტორი, პედაგოგი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, საბჭოთა კავშირის კომპოზიტორთა კავშირისა და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის წევრი **არჩილ ჩიმაკაძე.** გარდაიცვალა 72 წლის ასაკში, თხის წელიწადში.



**1931 წლის 5 მარტს, თხის წელიწადში,** დაიბადა მწერალი, პოეტი და დრამატურგი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ცნ-

### 3 მარტი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.33 საათზე, ჩადის 17.54 საათზე. **მთვარე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 08.06 საათზე, ჩადის 22.21 საათზე (მთვარის მე-5 დღე იწყება 09.10 საათზე. პირველი ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.00 საათიდან 14.38 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეიდან 30 მარტამდე გონების, ინტელექტის, კომუნიკაციის მმართველი პლანეტა მერკური გადაინაცვლებს ვერძის ზოდიაქოში, ამ ზეგავლენის შედეგად იგი მეტად განავითარებს გონებამახვილობას, კომუნიკაბელურობას, ლიდერულ-ორგანიზაციულ თვისებებს, მებრძოლ ხასიათს, ამავდროულად განავითარებს სიჯიუტეს, უკომპრომისობას, პირდაპირობას, სულსწრაფობას, ეგოიზმს, კამათისადმი მიდრეკილებას, აგრესიას. დღეს ნუ აჰყვებით ილუზიებს. მეტი ყურადღება დაუთმეთ დედებს. ეფექტურია ყელის, ენდოკრინული სისტემის, თირკმლების, კანის მკურნალობა, თუმცა, საღამოს მოერიდეთ ცივ, გაზიან სასმელებს, ორპირ ქარს, სოკოს კერძებს. მოერიდეთ 15 საათამდე ქორწინებას, ფინანსურ ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებას, ხელშეკრულების დადებას, სტომატოლოგიურ პროცესებს, თმის შეჭრას. კარგი დღეა მგზავრობისთვის, ტანსაცმლის, საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად. წესებს ნუ დაარღვევთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, გრძნობათა ორგანოები, ყელი, ენდოკრინული სისტემა. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, აქატი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპებისთვის.

### 4 მარტი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.31 საათზე, ჩადის 17.55 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 08.34 საათზე, ჩადის 23.41 საათზე (მთვარის მე-6 დღე იწყება 09.21 საათზე. პირველი ფაზა). **ტენდენციები:** კარგი დღეა გადადებული საქმეების შესასრულებლად. ნუ განმარტოვდებით. ახალი შეხვედრები და ნაცნობობა კარგ შედეგებს მოიტანს. დღეს დაწყებული საქმე აუცილებლად უნდა მიიყვანოთ ბოლომდე. დაიწყეთ დღე თბილი შხაპით. კარგია დანის გალესვა, გათბობის სისტემის შეცვლა, რემონტის დაწყება. ეფექტურია შარდსასქესო, რეპროდუქციული სისტემის მკურნალობა, სუნთქვითი ვარჯიშების ჩატარება, სახის, კანის, თმის კვება, ნუ განიკითხავთ. დღე ტრავმულია. საკვებ რაციონში მეტად შეიტანეთ რძის ნაწარმი, თევზი, კარტოფილი. მოერიდეთ კისრის მკვეთრ მოძრაობებს, ორპირ ქარს, ცივ, გაზიან სასმელებს, ხელების და პაპილომების მოშორებას, სარისკო მოქმედებებს, სულსწრაფ გადაწყვეტილებებს, აკონტროლეთ საფულე. პოზიტიური დღეა შემოქმედებითი მუშაობისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, პარფიუმერიის, კოსმეტიკის, ავეჯის, მუსიკალური აპარატების შესაძენად, მგზავრობისთვის, ვაჭრობისთვის, ქორწინებისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, მშენებლობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ონიქსი, მარჯანი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

### 5 მარტი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.29 საათზე, ჩადის 17.56 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს ტყუპების ზოდიაქოში 16.31 საათზე. ამოდის 09.08 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-7 დღე იწყება 09.37 საათზე. პირველი ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 14.55 საათიდან 16.30 საათამდე. **ტენდენციები:** დღევანდელი ტყუილი ცუდად აისახება თქვენს ჯანმრთელობაზე. პარტნიორულ ურთიერთობას გააუმჯობესებს შექება და ზრუნვა ერთმანეთზე. კარგია სუნთქვითი ვარჯიშების ჩატარება, სახის, კანის, თმების კვება. დღე ტრავმულია — იყავით ყურადღებით. მოერიდეთ ხალების, პაპილომების მოშორებას, კისრის მკვეთრ მოძრაობებს, ცივ, გაზიან სასმელებს, ორპირ ქარს, გაცივებას, ყურების გახვრეტას, სარისკო მოქმედებებსა და სულსწრაფ გადაწყვეტილებებს, აკონტროლეთ საფულე. პოზიტიური დღეა კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, შემოქმედებითი მუშაობისთვის, ქორწინებისთვის,ახალი ნაცნობობისთვის, ვაჭრობისთვის, მშენებლობისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, აქსესუარების, პარფიუმერიის, კოსმეტიკის, ავეჯის, ცხოველების შესაძენად, მგზავრობისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, ბრონქები, ფილტვები, ხელები. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი, მარჯანი. საღამოს — თოფაზი, აკვამარინი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

### 6 მარტი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.28 საათზე, ჩადის 17.57 საათზე. **მთვარე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 09.50 საათზე, ჩადის 00.59 საათზე (მთვარის მე-8 დღე იწყება 20.34 საათზე. მე-2 ფაზა იწყება 20.34 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სახლიდან გამოსვლისას თუ ძალიან დაგიბერავთ სახეში ქარმა, დაფიქრდით, იქნება არ ღირს იქ მისვლა დღეს, სადაც მიდიოდით, ეს ერთგვარი მინიშნებაა. ეცადეთ, კარგად გამოიძინოთ დღეს და ხვალ. პარტნიორულ უსაფრთხოებაში აკონტროლეთ ზედმეტი ემოცია, ზედაპირულობა, სულსწრაფობა, ფლირტისადმი მიდრეკილება, მეტი ტაქტი და მოთმინება გმართებთ. შედეგიანია ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, საზარდულის, მენჯ-ბარძაყის მკურნალობა, სუნთქვითი ვარჯიშების ჩატარება. მოერიდეთ რძის პროდუქტებს, იგი ხელს უწყობს ლორწოს დაგროვებას სასუნთქ ორგანოებში, მოერიდეთ უჰარო სივრცეებს, თამბაქოს, სიმძიმეების აწევას, ინფორმაციით გონებას გადაღლას, ზედმეტ ლაპარაკს და საიდუმლოს გაცემას, ქორწინებას, პარტნიორულ თანამშრომლობას, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას, სამსახურში ახალი თანამშრომლების მიღებას, რემონტის დაწყებას, მანიკიურის, პედიკიურის გაკეთებას, თმების შეჭრა-შეღებვას. მოიმატებს ტყუილების, დაცინვის, ჭორების ალბათობა. გადაამოწმეთ ინფორმაცია, ახალი საქმე არ დაიწყოთ. სასიკეთო დღეა ტელეფონის, ტელევიზორის, კომპიუტერის და სხვა საკომუნიკაციო სისტემების შესაძენად, აუქციონებისა და კონფერენციებისთვის, ხელშეკრულებისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, ხელები, მხრები. **ქვები:** თოფაზი, ჰიაცინტი, აქვამარინი, ლაბრადორი, ამაზონიტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

# 19 თებერვალი – 20 მარტი

**ტაგა.** მოკლეს 49 წლის ასაკში, მამლის წელიწადში.



**1946 წლის 7 მარტს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა, თეატრისა და კინოს მსახიობი **რუსუდან კიკნაძე.** მონაწილეობა აქვს მიღებული ფილმებში „გიორგობისთვე“, „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“, „მონანიება“, „ფესვები“. გარდაიცვალა 76 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1895 წლის 8 მარტს, თხის წელიწადში,** დაიბადა პოეტი, „ცისფერყანწელთა ორდენის“ წევრი **კოლაუ ნადირაძე.** გარდაიცვალა 95 წლის ასაკში, ცხენის წელიწადში.



**1910 წლის 8 მარტს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა რეჟისორი, პედაგოგი და თეატრალური მოღვაწე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **დიმიტრი (დოდო) ალექსიძე.** გარდაიცვალა 74 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.



**1926 წლის 8 მარტს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა მწერალი **ლადო მრელაშვილი.** გარდაიცვალა 79 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.



**1929 წლის 8 მარტს, გველის წელიწადში,** დაიბადა ჟურნალისტი, საქართველოს მეორე პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მეუღლე **ნანული შევარდნაძე.** გარდაიცვალა 75 წლის ასაკში, მაიმუნის წელიწადში.



**1944 წლის 9 მარტს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა მწერალი, დრამატურგი და ესეისტი **ნუგზარ შატაიძე.** გარდაიცვალა 64 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.

## თევზების ზოდიაქოს ნიშნით დაიბადნენ:



**1953 წლის 3 მარტს, გველის წელიწადში,** დაიბადა ბრაზილიელი ფეხბურთელი, ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელი **ზიკო — ადარტურ ანტუნეშ კოიმბრა.**



**1945 წლის 3 მარტს, მამლის წელიწადში,** დაიბადა ავსტრალიელი კინორეჟისორი, სცენარისტი და კინოპროდიუსერი, ოსკაროსანი ფილმის „ოთხფეხა პატარა“ და „ბედნიერი თათების“ რეჟისორი **ჯორჯ მილერი.**



**1989 წლის 4 მარტს, გველის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მოდელი, „ვიქტორია სეკრეტის“ ანგელოზი **ერინ ჰითერტონი.**



**1961 წლის 5 მარტს, ხარის წელიწადში,** დაიბადა რუსი მსახიობი **ელენა იაკოვლევა.**



**1974 წლის 5 მარტს, ხარის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი **ევა მენდესი.**



**1993 წლის 5 მარტს, მამლის წელიწადში,** დაიბადა ინგლისელი ფეხბურთელი, პრემიერ-ლიგის კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედის“ და ინგლისის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ცენტრალური მცველი **ჰარი მაგუაიერი.**



**1996 წლის 5 მარტს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მოდელი და „ვიქტორია სეკრეტის“ ანგელოზი **მარია ჰილი.**



**1967 წლის 6 მარტს, თხის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი, მომღერალი და პროდიუსერი **ელაინ ბრიტონი.**



**1990 წლის 6 მარტს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა ებრაელი მოდელი და მსახიობი **ესტი გინზბერგი.**



**1955 წლის 9 მარტს, თხის წელიწადში,** დაიბადა იტალიელი მსახიობი **ორნელა მუტი (ფრანჩესკა რომანა რიველი).**

**1964 წლის 9 მარტს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა ფრანგი კინომსახიობი და მხატვარი **ჟულიეტ ბინოში.** მას მიღებული აქვს „ოსკარი“ საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლისთვის ფილმში „ინგლისელი პაციენტი“.



## თევზების ზოდიაქოს ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1922 წლის 5 მარტს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა იტალიელი კინორეჟისორი და მწერალი **პიერ პაოლო პაზოლინი.** მოკლეს 53 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1475 წლის 6 მარტს, თხის წელიწადში,** დაიბადა იტალიური რენესანსის პერიოდის მოქანდაკე, მხატვარი, არქიტექტორი და პოეტი **მიქელანჯელო ბუონაროტი.** გარდაიცვალა 88 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.



**1619 წლის 6 მარტს, თხის წელიწადში,** დაიბადა ფრანგი მწერალი, მატერიალისტური ფილოსოფიის მიმდევარი **სირანო დე ბერჟერაკი.** გარდაიცვალა 36 წლის ასაკში, თხის წელიწადში.



**1926 წლის 6 მარტს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა პოლონელი რეჟისორი და სცენარისტი **ანჯეი ვაიდა.** გარდაიცვალა 90 წლის ასაკში, მაიმუნის წელიწადში.



**1927 წლის 6 მარტს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა კოლუმბიელი მწერალი, სცენარისტი, ჟურნალისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი **გაბრიელ გარსია მარკესი.** გარდაიცვალა 87 წლის ასაკში, ცხენის წელიწადში.



**1908 წლის 7 მარტს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა იტალიელი მსახიობი **ანა მანიანი.** გარდაიცვალა 65 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1941 წლის 7 მარტს, გველის წელიწადში,** დაიბადა რსფსრ-ის სახალხო არტისტი, თეატრის, კინოსა და ესტრადის მსახიობი, **მარია მირონოვასა და ალექსანდრე მენაკერის** შვილი **ანდრეი მირონოვი.** გარდაიცვალა 47 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1814 წლის 9 მარტს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა უკრაინელი პოეტი, მსახიობი და ჰუმანისტი **ტარას შევჩენკო.** გარდაიცვალა 47 წლის ასაკში, მამლის წელიწადში.



**1943 წლის 9 მარტს, თხის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მოჭადრაკე, დიდოსტატი **ბობი ფიშერი (რობერტ ჯეიმზ „ბობი“ ფიშერი).** გარდაიცვალა 64 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.





***პირველ კოსმონავტ ქალს ვალენტინა ტერეშკოვას, რომელიც დაბადებულია თევზების ზოდიაქოს ნიშნით, ხარის წელიწადში, 1937 წლის 6 მარტს 88 წელი უსრულდება, ხოლო 9 მარტს 91 წელი შეუსრულდებოდა პირველ კოსმონავტ მამაკაცს, ასევე თევზების ზოდიაქოს ნიშნით და ძაღლის წელიწადში (1934 წელი) დაბადებულ იური გაგარინს.***

1961 წლის 12 აპრილს **იური გაგარინი** მსოფლიოში პირველი გაფრინდა დედამიწის ახლო კოსმოსურ სივრცეში, ხოლო **ვალენტინა ტერეშკოვამ** 1963 წლის 16-19 ივნისს ქალთა შორის პირველმა იფრინა კოსმოსში.

ასტროლოგების კვლევის საგანს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პირველი ქალი და მამაკაცი, რომელთაც კოსმოსმა კარი გაუღო, **სწორედ თევზების ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ იყვნენ დაბადებულები.** ზოგიერთი კვლევით, ეს იყო დედაბუნების არჩევანი, რომ მის სამყაროში პირველად შესვლის უფლება მიეცა სწორედ **თევზებისთვის,** რომლებიც ყველაზე მეტად განასახიერებენ იდუმალ და ინტუიციურად ძლიერ არსებებს. თევზები ასოცირდება საზღვრების წაშლასთან, სამყაროსთან შერწყმასთან და დიდ საიდუმლოებებთან. კოსმოსიც სწორედ ასეთია: უსასრულო, ამოუცნობი და მიუწვდომელი. ამიტომაც არ არის შემთხვევითი, რომ პირველი ქალი და პირველი მამაკაცი კოსმონავტი სწორედ ამ ნიშნის ქვეშ დაიბადნენ. **სამყარომ თითქოს მათში ჩადო ის შინაგანი ძალა, რომელიც აუცილებელია უკიდურესად უცნობი სივრცის დასაძლევად და კოსმოსში გასაფრენად.** შესაძლოა, ამით კოსმოსმა გვითხრა, რომ მისი შესწავლა მხოლოდ გონების საქმე კი არა, შინაგანი ინტუიცია და გამბედაობაა, რაღაც უფრო ღრმა, რასაც მეცნიერება ბოლომდე ვერ ხსნის. შეგახსენებთ, რომ თევზების ზოდიაქოს ნიშნით არის დაბადებული მე-20 საუკუნის უდიდესი მეცნიერი, ფარდობითობის თეორიის ავტორი, კოსმოსის მკვლევარი **ალბერტ აინშტაინი.**

*მოამზადა **ქეთევან ხამიცაშვილმა***

## ასტროლოგიური კვირა მიხეილ ცაგარელის მიხედვით

### 7 მარტი, პარასკევი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.26 საათზე, ჩადის 17.58 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს კირჩხიბის ზოდიაქოში 20.33 საათზე. ამოდის 10.42 საათზე, ჩადის 02.11 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 10.44 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 18.58 საათიდან 20.40 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მაღალია მოტყუებისა და თვითმოტყუების ალბათობა. პარტნიორულ ურთიერთობებში მოერიდეთ პარტნიორით მანიპულაციას და მისი სისუსტეების გამოყენებას, უნდობლობის და ეჭვიანობის, ფლირტისადმი მიდრეკილების გამოვლენას. რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით იმოქმედეთ, ზედმეტი ფანტაზიების გარეშე. არ ვარგა რძის პროდუქტების გამოყენება. მოერიდეთ უჰაერო სივრცეებს, თამბაქოს, სიმძიმეების აწევას, ინფორმაციით გონების გადაღლას, სიყვარულსა და ქორწინებას, პარტნიორულ თანამშრომლობას, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას, სამსახურში ახალი თანამშრომლების მიღებას, მთების დალაშქვრას, რემონტის დაწყებას, ზედმეტ ლაპარაკსა და საიდუმლოს გათქმას, მანიკიურის, პედიკიურის დახვეწას, თმის შეჭრა-შეღებვას, ახალი საქმის დაწყებას. მაღალია დაცინვის, ჭორების, ინტრიგების ალბათობა. სასიკეთო დღეა რეკლამისა და აქციონერებისთვის, კონფერენციებისთვის, ტელეფონის, ტელევიზორის, კომპიუტერის და სხვა საკომუნიკაციო სისტემების შესაძენად, საბანკო ოპერაციებისთვის, მშენებლობისთვის, სწავლისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, კონტაქტებისა და მოლაპარაკებისთვის, ხელშეკრულების დასადებად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, კუჭი, მკერდი. **ქვები:** თოფაზი, აკვამარინი, ლაბრადორი, ამაზონიტი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** თევზებისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

### 8 მარტი, შაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.25 საათზე, ჩადის 18.00 საათზე. **მთვარე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 11.43 საათზე, ჩადის 03.13 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 11.46 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** შესაძლებელია შეხვედრა ძველ მეგობრებთან და ურთიერთობების გაცივება ამჟამინდელ ურთიერთობებში. კარგი დღეა თვითშემეცნებისთვის, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, შვილებთან კონტაქტისთვის, ტრადიციებში ჩასაღრმავებლად. აკონტროლეთ ემოციები, ეცადეთ, არ გაცივდეთ. პარტნიორულ ურთიერთობებში შესაძლებელი იქნება სიყვარულის ახსნა. შედეგიანია კბილების, სისხლძარღვების, გრძნობათა ორგანოების მკურნალობა. ნეგატიური დღეა ქორწინებისთვის, სახლის მშენებლობის დასაწყებად, ადგილსამყოფლის (ბინის) შესაცვლელად, სესხის ასაღებად, დაპირებების გასაცემად. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა, გადაამოწმეთ საბუთები, სანამ მათ ხელს მოაწერთ. სასიკეთო დღეა საყიდლებისთვის, ვაჭრობისთვის, ხალხური შემოქმედების ნიმუშების შესაძენად სასამართლო პროცესებისთვის, ცხოველების შესაძენად, კულინარიისა და ფოტოგრაფიისთვის, ბავშვის ჩასახვისთვის, პომიდვრის, სალათისა და ბაღჩეული კულტურების თესვისთვის. მიუღებელია ხეხილის დარგვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, რაუხტოპაზი, ოპალი, მარგალიტი, აქატი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

### 9 მარტი , კვირა

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.23 საათზე, ჩადის 18.01 საათზე. **მთვარე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 12.51 საათზე, ჩადის 04.02 საათზე (მთვარის მე-11 დღე იწყება 13.06 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს შესაძლებელი იქნება კარგი ამბის გაგება, ძველი საქმიდან მოულოდნელი მოგების მიღება. პარტნიორულ ურთიერთობებში შესაძლებელი იქნება შეწყვეტილი ურთიერთობების აღდგენა, მეტი სიღრმისა და ვნების გამოვლენა. ნუ იქნებით ზედმეტად ეჭვიანი და ემოციური. ზედმეტ საკვებს ნუ მიიღებთ. საკვებ რაციონში უფრო მეტად შეიტანეთ ფაფა, ხორცი, რძის პროდუქტები, ბურღულეული, ხილი. ნეგატიური დღეა ქორწინებისთვის, სახლის მშენებლობის დასაწყებად, ადგილსამყოფლის (ბინის) შესაცვლელად, სესხის ასაღებად, დაპირებების გასაცემად. მოიმატებს მოტყუების ალბათობა. სასიკეთო დღეა საყიდლებისთვის, ვაჭრობისთვის, ხალხური შემოქმედებისა და მისი ნიმუშების შესაძენად, შემოქმედებითი მუშაობისთვის, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობისთვის, ტრადიციებში ჩასაღრმავებლად, ბავშვის ჩასახვისთვის, ცხოველთა შესაძენად, ინტუიციაზე დაყრდნობით მოქმედებისთვის, კულინარიისა და ფოტოგრაფიისთვის. მოერიდეთ ხეხილის დარგვას. კარგია პომიდვრისა და სხვა ბაღჩეულის თესვისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისა და მორწყვისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** აქატი, ზურმუხტი, რაუხტოპაზი, ოპალი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ტყუპებისთვის, ლომისთვის, ღრიანკალისთვის, მერწყულისთვის.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია: 3,6,7 მარტი

**14 მარტი – მთვარის დაბნელება;**
**29 მარტი – მზის დაბნელება.**

| მეომრის ლითონის ქუდი (ძვ.) | ბუნების მძლავრი მოვლენა | იტალიელი მოქანდაკე | ზაფხულობით დასასვენებელი ადგილი | უმარტივესი ფოტოობიექტივი | ჰოლივუდის მსახიობი ქალი |
|---|---|---|---|---|---|

| პოეტის შთაგონების წყარო | რადიოთი ცნობების გადაცემა – მიღების სპეციალისტი | ქართველი მწერალი ლეო ... | მდინარე და ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში | იაპონური სამოსი | საკეტი | სოფელი აფხაზეთში |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 4. გერმანელი კომპოზიტორი; 11. დიდი მტაცებელი თევზი; 12. ერთი დედააზრის სამი ლიტერატურული ნაწარმოები; 13. დატოტვილრქებიანი ირემი; 14. სამხრეთ ამერიკის სახელმწიფო; 15. ქართველი მწერალი; 16. ჯარისკაცების დაწყობა მწკრივში სიმაღლის მიხედვით; 17. იტალიელი მევიოლინე; 21. განაჩენის გასაჩივრება; 22. ჯადოქრობა, მისნობა; 25. განის ხერხი; 26. აგულის მამა (ფილმი); 30. თაფლით შეზავებული მოხარშული ხორბალი; 31. ლევ ტოლსტოი — „ანა ...; 35. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 36. ბუდისტური ნაგებობა; 37. ცენტრში მოთავსებული რამ; 38. გამჭვირვალე ქსოვილი; 39. სიახლის შემტანი რაიმე საქმეში; 43. დამახინჯებული სასაცილო ნახატი; 48. ლონდონის საქმიანი ცენტრი; 50. მცირე სონეტა; 51. ყურის შიგნითა ნაწილი; 52. ძველი საომარი იარაღი; 53. აეროპორტი ტოკიოში; 54. ღონისძიებები ჯანმრთელობის დაცვისათვის; 55. ქალაქი ესპანეთში; 56. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი.

შვეულად: 1. დოლი; 2. მამის და; 3. წაბლისფერი ცხენი; 4. სოფელი სიღნაღის რაიონში; 5. ბრაზილიელი ექსფეხბურთელი; 6. დიდად განსწავლული ადამიანი; 7. ევროპის სახელმწიფო; 8. ჩილეს სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე; 9. სამხრეთ ამერიკის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ხელმძღვანელი; 10. ნიკელის წითელი ალმადანი; 17. ინგლისური ლუდხანა; 18. თორაძის ბალეტი; 19. ფრანგი მსახიობი ფილიპ ...; 20. სპორტული ნაწარმის ამერიკული ფირმა; 22. დედამიწის ქერქის ზედა ფენა; 23. უდიდესი ნიჟი; 24. აშშ-ის შტატი; 26. ფრანგი ფერმწერი; 27. ქალალდის პარკი; 28. ასტრონომიული ხელსაწყოების ნაწილი; 29. ხვიარა დეკორატიული მცენარე; 31. საბერძნეთის კუნძული; 32. რაიმე ელემენტების პერიოდული მონაცვლეობა; 33. ტბა მოზამბიკში; 34. კუნძული წყნარ ოკეანეში; 36. სასწორის თეფში; 40. სიმებიანი საკრავი; 41. ბალახით დაფარული ვრცელი ვაკე; 42. აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი; 43. ბერძენი საოპერო მომღერალი ქალი; 44. ებრაელთა კულტის მსახური, მოძღვარი; 45. ჭიდაობის სახეობა; 46. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 47. მეტალი; 48. ნადირობა აფრიკაში; 49. იგივეა, რაც ამინდი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 25-ე გვერდზე*

| ერთგვარი თამაში-გამოცანა | რისამე ნაირსახეობა, სახეცვლილება | სოფელი ხელვაჩაურის რაიონში | ქალის სახელი | უმაღლესი ხარისხის ბროლი | შენობის წინა მხარე | ბრი-უს ... |
|---|---|---|---|---|---|---|

| გზატკეცილი | ნესტან-დარეჯანის მამიდა | ძველებური იშვიათი ნივთებით მოვაჭრე | ჭუჭრუტანიდან ბნელში შემოსული მზის სხივი | საფეიქრო ბანანი | ჰორიზონტალური ფიცარი-ფანჯარაზე | შუადღის პურის ჭამა |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზვიარბიული
ასავალ დასავალი
2025 წლის 3 – 9 მარტი №10 (1581)
გამოდის ორშაბათობით

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:
mail@asavali.com
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: www. facebook.com/Asavali.com
გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**



THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001

Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol